მოშიმშილეების ჯანმრთელობა უარესდება A2

დიდი განხეთქილება უშიშროების საბჭოში A4

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 22 იანვარი, 2003 წელი. №20 (232)

ფასი 50 თეთრი

## „ალ ქაედას" ქსელი საქართველოში

რაში დაიხარჯა "სიტიბანკიდან" "თი-ბი-სი" ბანკში გადმორიცხული 600 ათასი დოლარი?

ზაზა წულაძე

*სკანდალური მასალებიდან, რომელიც "24 საათმა" მოიპოვა, ირკვევა, რომ 1999 წლის ნოემბრიდან 2001 წლის მაისამდე საქართველოს ტერიტორიაზე ნომერ პირველი ტერორისტული ორგანიზაციის - "ალ ქაედას" კარგად ორგანიზებული ქსელი მოქმედებდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა (ფსბ) და საქართველოს უშიშროების სამინისტროს (სუს) მონაცემებით, ტერორისტული ქსელი საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების ასოციაციის - "მადლის" სახელით მოღვაწეობდა და საკუთარი ფილიალები ჰქონდა თბილისსა და პანკისის ხეობის სოფელ დუისში. "მადლის" დამფუძნებლები იყვნენ რუსეთის (ორი), კანადის, ამერიკისა და საქართველოს მოქალაქეები. სპეცსამსახურების მონაცემებით, საქართველოში "მადლი" წარმოადგენდა ჩიკაგოს მუსულმანური საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის -* **Benevolence International Foundation***-ის (არაბულად, "ალ ბირ, ალ დავალია") ფილიალს. იანვრის დასაწყისში თეთრმა სახლმა* **Benevolence** *"ალ ქაედას" ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სპონსორად გამოაცხადა, საბანკო ანგარიშები გაუყინა და "შავ სიაში" შეიყვანა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღეს ნინო ანანიაშვილი თბილისში იცეკვებს

B1



გოგი ცაგარეულის ფოტო

*ნინო ანანიაშვილი რეპეტიციაზე.*

## ნინო ბურჯანაძის დაძაბული შეხვედრები მოსკოვში

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის მეორე, ასევე დაძაბული დღე, რუსეთის ფედერაციათა საბჭოს მონახულებით დაიწყო. რუსეთის პარლამენტში სამშაბათიც "მკვდარი" დღეა - სხდომები არ ტარდება. ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვი დიდი პატივით შეხვდა ქართველ კოლეგას.

სამშაბათის მიუხედავად, ფოიეში ხუთასამდე ჟურნალისტმა მოიყარა თავი. მირონოვი და ბურჯანაძე ჟურნალისტებთან გამოდიან.

სერგეი მირონოვი: **"ახლა უნდა დავაჩქაროთ მუშაობა ახალ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე. არის მთელი რიგი გამაღიზიანებელი პრობლემები, რაც ქართულ მხარეს აწუხებს და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს პრობლემები რუსეთ-საქართველოს თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვით განვიხილოთ. დღევანდელ შეხვედრაზე იმ პრობლემების გადაჭრის სურვილი დავინახეთ, რაც ხელს უშლის ჩარჩო-ხელშეკრულების დაჩქარებას, ბაზების საკითხზე მოლაპარაკებების გაგრძელებას. მთავარია, რომ ყველა შეკითხვაზე პასუხი მივიღეთ."**

ნინო ბურჯანაძემ ისაუბრა ორი ქვეყნის ურთიერთობათა სირთულეებზე და ყურადღება გაამახვილა რუსეთ-საქართველოს შორის გამაღიზიანებელი ფაქტორების მოხსნის აუცილებლობაზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

### სამართალი

## კახი ასათიანის მეუღლისა და გენერალური პროკურატურის ვერსია ერთმანეთს ემთხვევა

სამართალდამცველთა მიერ პროფესიონალ ქილერებად გამოცხადებული სერგეი ნიკოლაევისა და ბაჩუკი ყოლბაიას დაჭერისა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში მათთან ჩატარებული ორდღიანი მუშაობის შემდეგ, დაქირავებულ მკვლელთა საქმეში ახალი დეტალები ჩნდება.

A7

### საზოგადოება

## ცემა-ტყეპა - სწავლის მწარე ძირი

181-ე საშუალო სკოლაში, შესაძლოა, სწავლის პროცესი ჩაიშალოს. სკოლის პედაგოგები პროტესტის ჩვენში კარგად აპრობირებული ფორმით, პარლამენტის წინ შიმშილობის დაწყებით და ქუჩის გადაკეტვითაც იმუქრებიან.

A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 9 |
| ბათუმი | 12 |
| სოხუმი | 9 |
| ფოთი | 11 |
| თელავი | 6 |
| ზუგდიდი | 10 |
| გორი | 4 |
| ახმეტა | 4 |
| ჭიათურა | 6 |
| გაგრა | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.3237 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5067 |
| რუბლი | 0.0687 |

## FBI ტერორიზმთან და კორუფციასთან ბრძოლაში დაგვეხმარება

სოფიკო ჩხაიძე

ამერიკის ხელისუფლებამ საქართველოსთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების გაწევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოს უშიშროების მინისტრმა საჯაროდ აღიარა პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკებისა და არაბი ტერორისტების ყოფნა. ამ განცხადებიდან ძალიან მალე საქართველოში სამხედრო დახმარების – "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყება გადაწყდა. დღეს ოფიციალური სტრუქტურები ირწმუნებიან, რომ მაშინვე, 2002 წლის გაზაფხულზე, შედგა აშშ-სა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეთანხმება თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) წარმომადგენლობის გახსნის შესახებ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ შეთანხმების განხორციელება დროში იმ უბრალო მიზეზით გაიწელა, რომ ამერიკის მხარე ე.წ. ბიუროკრატიულ პრობლემებს აგვარებდა. გუშინ კი აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა, FBI-ს საერთაშორისო ოპერაციათა განყოფილების ხელმძღვანელმა მაიკლ ფუშემუშკამ და FBI-ს ანკარის წარმომადგენლობის დირექტორმა მაიკლ დორისმა საქართველოს პრეზიდენტთან სპეციალურ თათბირზე შეკრებილ საქართველოს

გაგრძელება A7 გვერდზე

## უსაფრთხოების სტრატეგია ახალი ეპოქისათვის

*"მეოცე საუკუნის უდიდესი ბრძოლა თავისუფლებასა და ტოტალიტარიზმს შორის თავისუფლების ძალების დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა,"- განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა 2002 წლის 17 სექტემბერს. ამ სიტყვებით იწყება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ღერძად შეიძლება იქცეს.*

თემურ იაკობაშვილი

**საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი**

ძნელია, ცივი ომის შემდგომ პერიოდს რაიმე კონკრეტული სახელი მოუძებნო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიამ ისტორიული წყალგამყოფის როლი შეასრულა და ამ პერიოდის დასასრული გვამცნო.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენების ნანგრევებს მიღმა გამოჩნდა ის რეალობა, რომელიც თითქოსდა ჩვენს გვერდით იყო, მაგრამ თითქმის ყველა ჯიუტად ცდილობდა მის იგნორირებას. შეურაცხყოფილმა და გამოფხიზლებულმა ამერიკამ, პირველმა დაიწყო ახალი რეალობების დაფიქსირება და მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესწავლა. ამდენად გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ სწორედ აშშ-ში შეიქმნა საჯარო დოკუმენტი, რომელმაც ახალი ეპოქის ზოგადი კონტურები განსაზღვრა და საერთაშორისო ურთიერთობების თვისებრივად ახლებური ხედვა შესთავაზა დანარჩენ მსოფლიოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსეთმა აფხაზეთის თანდათანობითი ანექსიის სცენარის განხორციელება დაიწყო

გვანცა კვინიკაძე
მაია ურუშაძე

*რუსეთი ბიჭვინთაში რადიოსარელეო ხაზის სადგურის ამოქმედებას გეგმავს. წინასწარი ინფორმაციით, აფხაზებს სოხუმი-სოჭის პირდაპირი სატელეფონო კავშირის აღდგენა აქვთ განზრახული. საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხის გარკვევა კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ აბაშიძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, საგანგებო სიტუაციათა მინისტრს მალხაზ კაკაბაძესა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრს მერაბ ადეიშვილს დაავალა. დღემდე აფხაზეთის კავშირი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან, მათ შორის - რუსეთთან, "საქართველოს ტელეკომის" არხებით, თბილისის გავლით, ხორციელდებოდა. 1997 წელს საქართველოსა და რუსეთის ფოსტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, თბილისზე გამავალი სატელეფონო არხებით სარგებლობდნენ აფხაზეთში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებიც.*

24 დეკემბერს საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ რუსეთის ფედერაციის რადიოსიხშირეთა სამსახურისგან, ერთი შეხედვით, სტანდარტული მომართვა მიიღო. იგი "კრასნოდარის მხარეში მდებარე რადიოსადგურის სიხშირის კოორდინაციას" ითხოვდა. მაგრამ "თანდართული დოკუმენტაციის" მიხედვით გაირკვა, რომ რუსეთი, არც მეტი, არც ნაკლები, ბიჭვინთის რადიოსარელეო ხაზს გულისხმობდა.

**"ამგვარი შინაარსის წერილები ამ სამსახურისგან ხშირად მოდის,"**

გაგრძელება A6 გვერდზე

# "შევარდნაძისაგან გავათავისუფლეთ თბილისი, ახლა მთელი საქართველოს ჯერია!"

ვასილ გულეური

ასეთი იყო "ნაციონალური მოძრაობის" გორის ორგანიზაციის დამფუძნებელი სხდომის ძირითადი ლაიტმოტივი. სხდომა 21 იანვარს გაიმართა გორის კინოთეატრის შენობაში, რომლის დარბაზიც "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების ჩამოსვლამდე უკვე სავსე იყო.

**"დღეს გორიდან ვიწყებთ მთელი საქართველოს გათავისუფლებას შევარდნაძის რეჟიმისაგან"**, - განაცხადა კობა დავითაშვილმა შეხვედრის დაწყებისთანავე და, როგორც უკვე ცნობილი იყო, გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელად ირაკლი ოქრუაშვილის კანდიდატურა დაასახელა, რომელიც სხდომის დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს.

**"ჩვენი ბლოკი არის ერთადერთი ალტერნატიული ძალა, რომელსაც შეუძლია ჩაენაცვლოს ამ ხელისუფლებას"**, - დაარწმუნა დამსწრენი ზვიად ძიძიგურმა და აღნიშნა, რომ ამ ხელისუფლების წასვლა თითოეულ მოქალაქეზეა დამოკიდებული.

"რესპუბლიკური" პარტიის თავმჯდომარემ დავით ბერძენიშვილმა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე გაამახვილა ყურადღება და პოლიტიკურ ძალებს მათ გვერდით ყოფნისაკენ მოუწოდა: **"ჩვენ უნდა მოვიგოთ არჩევნები გორში. უნდა ვისწავლოთ ცხოვრება შევარდნაძის რეჟიმის გარეშე. თბილისში დაიწყო შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟი. არჩევანი ქართველ ხალხს უკვე გაკეთებული აქვს. ყველა ის პოლიტიკური ძალა, ვინც არ იქნება ჩვენთან, იქნება შევარდნაძესთან, ან არ იქნება პოლიტიკაში!"**

ახლადარჩეული თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ მთელ ძალისხმევას მიმართავს იმედების გასამართლებლად. **"ხალხს სერიოზული იმედგაცრუება აქვს. რესტორანია ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლება შეხვდეთ დეპუტატთა უმრავლესობას."**

სხდომის დასასრულს მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, თბილისის ბიუჯეტიდან,

გაგრძელება A2 გვერდზე



ვასილ გულეურის ფოტო

*მიხეილ სააკაშვილს გორშიც გარს ეხვივნენ ჟურნალისტები.*

A2 ინფორმაცია A3 გამოძიება A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## "შევარდნაძისაგან გავათავისუფლეთ თბილისი, ახლა მთელი საქართველოს ჯერია!"

პირველი გვერდიდან

რომელიც 200 მილიონი ლარია, 120 მილიონზე მეტს ყოველწლიურად იპარავენ და ეს თანხა ხელისუფლებაზე ნაწილდება: **"ერთადერთი გამართლება ამ ქურდებისთვის ის არის, რომ შევარდნაძის ხალხია. მათთვის მთავარია, საქართველოში თავისუფალი არჩევნები აღარ ჩატარდეს და ამისთვის ყველაფერზე წავლენ."** მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, ხელისუფლება გეგმავს შექმნას შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაცია, რათა ხალხის ყურადღება ამაზე გადაიტანოს. **"ვუთხარი, სამი ლარი მოუმატეთ პენსიებს და ბიუჯეტის დამტკიცებისთვის ჩვენს თერთმეტ ხმას მოგცემთ-მეთქი. მთავრობა ამბობს, რომ ეს პოპულიზმი იქნება. რადგან არ სურთ, თბილისში გავზრდით პენსიებს სამი ლარით იმ თანხების ხარჯზე, რასაც აქამდე მალავდნენ."**

შემდეგ მან ოპოზიციის გაერთიანების აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ "გაერთიანებულ დემოკრატებთან" ერთად ყველას იწვევენ თავისთან. მათ შორის, "ლეიბორისტებთან" ერთად, ჯუმბერ პატიაშვილიც დაასახელა.

**"ჩემი იუსტიციის მინისტრობის დროს ავაშენე ძალზე კომფორტული ციხე და იქ გავუშვებთ ყველას, ვისაც უნდა ხალხის ხარჯზე ცხოვრება,"** - დაემუქრა იგი ხელისუფლებაში მყოფთ და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების იმედი გამოხატა: **"ჩათვალეთ, რომ გორში წინა არჩევნებზე ჩვენ გავიარეთ გენერალური რეპეტიცია. ახლა ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ."**

"ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები რაიონულ ორგანიზაციებს სხვა ქალაქებშიც დააფუძნებენ.

## დანაღმული და დაკარგული ბაბაქარის მთა

მაია მოსიაშვილი

საქართველო-სომხეთის საზღვრის დაახლოებით 20 კილომეტრიანი მონაკვეთი, წითელი ხიდიდან სადახლომდე, ქართული მხარის მიერ, კარგა ხანია, ველარ კონტროლდება. უფრო მეტიც, როგორც ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე აცხადებს, ეს ტერიტორია უკვე 10 წელია დანაღმულია. **"ეს არის ბაბაქარის ქედი. ჩვენი ტერიტორია იქითა მხრიდან არის დანაღმული. ამ დანაღმვის შედეგად წლების მანძილზე დაღუპულია ათობით ადამიანი და ასობით პირუტყვი,"** - ამბობს მამალაძე.

ტერიტორია, რომელსაც დანაღმვის გამო ქართული მხარე ვერ იყენებს, დაახლოებით 28 ათასი ჰექტარი სათიბი და საძოვარი მიწაა. როგორც ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, ბაბაქარის ქედზე სომხეთის მხრიდან 1993-95 წლებში 3 ათასი მესაზღვრე იქნა შემოყვანილი. მათ დაარღვიეს საზღვარი, საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის 3 კილომეტრზე შემოიჭრნენ, ხოლო შემდეგი 4 კილომეტრი სიღრმეში დანაღმეს. იმ წლებში სომხები და აზერბაიჯანელები ამ ტერიტორიებზე ერთმანეთის საწინააღდეგო სხვადასხვა ტერორისტულ ქმედებებს ახორციელებდნენ. საგულისხმოა, რომ სასაზღვრო ზონის ის რვა სოფელი, რომელთა საძოვრებიც დანაღმულია, ძირითადად აზერბაიჯანელებით არის დასახლებული.

ნაღმებზე, როგორც ითქვა, ხალხი ფეთქდება. სოფელ კაჩაგანიდან მთელი ოჯახი, 6 კაცი აფეთქდა ნაღმზე და დაიღუპა; აჭარიდან საკოლმეურნეო პროდუქტების შესაძენად ჩამოსული ორი მოქალაქე იმავე მიზეზით დაიღუპა; მდინარე ხრამის არხის მიმდებარე მინდორზე ნაღმზე აფეთქდა სოფელ ხაჯიგაზლოს მცხოვრები ორი ადამიანი და ასე შემდეგ.

ბაბაქარის ქედის ამ ტერიტორიას თავის დროზე ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ. **"ჩვენ ზამთრის საძოვრები გვჭირდება, ბაბაქარი კი უქმად გვაქვს. ხალხი იქ საქონელს ერეკება და ფეთქდება. გარდა ამისა, მრავლადაა ფაქტები, როცა სომეხი მესაზღვრეები საქონელსა და მწყემსებს იტაცებენ, რადგან ჩვენი მესაზღვრეები იქ დიდი ხანია აღარ დგანან. ასევე დანაღმულია ჩვენი საზღვრის მცირე ნაწილი აზერბაიჯანული მხრიდანაც. ამ ორმა ქვეყანამ საქართველოს ტერიტორია პოლიგონად აქცია. გარდა ამისა, ქვეყნის ბიუჯეტს აკლდება გამოუყენებელი მიწის გადასახადი, რომელიც წელიწადში დაახლოებით 60 ათას ლარს შეადგენს,"** - აცხადებენ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში, სადაც უკვე რამდენიმე წელია ამ პრობლემაზე მუშაობენ. გუბერნატორი ლევან მამალაძე იმედოვნებს, რომ შესაძლებელი იქნება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის გამოძებნა, რომლებიც ამ ტერიტორიის განაღმვის სამუშაოებს დააფინანსებს. **"თუ ჩვენი მეზობლები სქემებსაც გადმოგვცემენ, უფრო მარტივი იქნება ამ სამუშაოების ჩატარება. განაღმვა ხელს შეუწყობს იმასაც, რომ ჩვენი მესაზღვრეები საზღვარზე დადგნენ,"** - ამბობს გუბერნატორი. ამჟამად საქართველო-სომხეთის საზღვრის ეს მონაკვეთი უხეშად არის დარღვეული და სომეხი მესაზღვრეები ჩვენს ტერიტორიაზე, სამი კილომეტრის სიღრმეში დგანან.

## მოკლედ

როგორც "24 საათს" სანდო წყარომ აუწყა, აღწერა აფხაზეთში მიმდინარეობს მშვიდ ვითარებაში, რუსული მხარის დაფინანსებით და სერიოზული გაყალბებებით. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** 21-24 იანვარს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება ნატო-ს მრავალეროვნული სწავლებების "მედქერი"-ს და "რესქვერის"-ს წინასწარი დაგეგმარების კონფერენცია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა თხოვნით მიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებს 31 ივნისამდე გაგრძელდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს დამკვირვებელთა საქმიანობის მანდატი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს უშიშროების საბჭოს 31 იანვრის სხდომის მოსამზადებლად გაერო-ს შტაბ-ბინაში დაიწყო ექსპერტებისა და საქართველოს მისიის წარმომადგენლების აქტიური კონსულტაციები. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის სხდომა გადადო და მის ნაცვლად დღეს 11:00 საათზე უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა დანიშნა. როგორც ცნობილი გახდა, ეს სხდომა აფხაზეთის პრობლემატიკას მიეძღვნება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში აფხაზური შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები პოზიციებს მდინარე ენგურის გასწვრივ დაიკავებენ.

ამის შესახებ თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და შტაბის უფროსი ვლადიმერ არშბა აცხადებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გაუქმებას გეგმავს. სავარაუდოდ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ფუნქციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცემა. **ინტერ-პრესი**

**თელავი.** საქართველოს ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე პირველი მარტიდან ოთხი ახალი ბაზა გაიხსნება, რომელიც მთლიანად გააკონტროლებს საქართველო-დაღესტნის სასაზღვრო მონაკვეთს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ვალერი ლოშჩინინი კონფლიქტის ე.წ. "ბოდენის დოკუმენტის" საშუალებით მოგვარებას შეუძლებლად მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოძრაობის "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის" თანათავმჯდომარე ჯანო ჯანელიძე აფხაზეთში შექმნილ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს და მოსახლეობას კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნით საპროტესტო აქციების გამართვისაკენ მოუწოდებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კვლავ არ შეასრულებს პარლამენტის დადგენილებას აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე, აფხაზეთის მებრძოლთა კავშირი დეპუტატებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენების სთხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიზნით, პრეზიდენტ შევარდნაძისგან უკრაინის სამიტზე დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხის დასმას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთსა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების დოკუმენტზე მოლაპარაკებების განახლებას ოფიციალური თბილისი 28-29 იანვარს ივანო-ფრანკოში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა არაფორმალური სამიტის შემდეგ ელოდება. **მედია-ნიუსი**

## ნინო ბურჯანაძის დაძაბული შეხვედრები მოსკოვში

პირველი გვერდიდან

ფედერაციათა საბჭოდან საქართველოს დელეგაცია კრემლში გაეშურა. ელდარ შენგელაია, ირაკლი ბათიაშვილი, ზურაბ აბაშიძე – ერთ მხარეს, მეორე მხარეს - რუშაილოს თანაშემწეები. ორი მათგანი აფხაზეთის თემატიკაზე მუშაობს. ოსეთის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები კი ნინო ბურჯანაძის პირისპირ სხედან და უხერხულად იღიმებიან. ქართველი პარლამენტარები დაძაბულნი უსმენენ პრესისათვის გაკეთებულ ყოვლად უწყინარ განცხადებებს და აშკარად საომრად ემზადებიან.

საგულისხმოა, რომ საქართველოსთან მოუგვარებელი საკითხების ფონზე, ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებს ერთი შეკითხვაც აწვალებთ: რას ნიშნავდა ნინო ბურჯანაძის კრემლში მაღალ დონეზე მიღება და ორსაათიანი დაძაბული საუბარი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანთან ვლადიმირ რუშაილოსთან?

კულუარული ინფორმაციით, საქართველოს დელეგაციის მაღალ დონეზე მიღებით კრემლს დითირამბები სულაც არ გამოუთქვამს ქართული პოლიტიკური ელიტის მისამართით. პირიქით, უშიშროების საბჭოს დონეზე გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რუსეთი მრავალეროვნული აფხაზეთის ინტერესების დაცვის მომხრეა.

საყურადღებოა, რომ იმ ხუთი-ათი წუთის მანძილზე, რაც რუსმა და ქართველმა ჟურნალისტებმა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის კაბინეტში დავყავით, რუშაილოს აფხაზეთთან დაკავშირებით ასეთი ფრაზა პრესის თანდასწრებით არ უხსენებია.

აი, რა განუცხადა პრესას რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა:

**"ერთი წელი გავიდა 30 იანვარს ჩვენი შეხვედრიდან და მის მერე ბევრი რამ მოხდა, ნეგატიურიც და პოზიტიურიც. ჩვენ მივესალმებით ქართველი პარლამენტარების ჩამოსვლას. მოსკოვის კურსი საქართველოსადმი უცვლელია - ურთიერთმეგობრობისა და პატივისცემის გაგრძელებაში დაინტერესებულნი ვართ. რუსეთი დღეს ასევე დაინტერესებულია თავის სამხრეთ საზღვრებზე და მეზობელ საქართველოში სტაბილურობით, ორი ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობის გასაგრძელებლად. ჩვენი საერთო სურვილია, გაიხსნას პრობლემების კვანძი. ამის საფუძველს იძლევა პრეზიდენტების - პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრების სულისკვეთება. რუსეთის პრეზიდენტი მუდამ აღნიშნავს, რომ საქართველოსთან ურთიერთკავშირების ხაზი უცვლელია. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დადებითი დინამიკა მივცეთ პრეზიდენტის მითითებებს ჩვენს ერთობლივ მუშაობაში. მე გარკვეული წვლილი შემაქვს ამ საქმეში: უკვე შედგა ექვსი ოფიციალური შეხვედრა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან... ჩვენი შეხვედრები დადებით შედეგზეა ორიენტირებული და დარწმუნებულნი ვართ, რომ მოვხსნით ნებისმიერ პრობლემას."**


ნინო ბურჯანაძე და სერგეი მირონოვი - შეხვედრა ფედერაციის საბჭოში.

სხვათა შორის, ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ, ბურჯანაძისა და რუშაილოს პრესასთან გამოსვლა წინასწარ იყო დაგეგმილი. ჟურნალისტები სპეციალურ ოთახშიც კი შეგვიყვანეს, კამერები წესისამებრ დააყენეს, მაგრამ ლოდინის შემდეგ რუშაილოს პრესმდივანი გამოვიდა და განაცხადა, რომ პრესკონფერენცია არ ჩატარდება. ასეთი რამ კრემლში იშვიათად ხდება. ე.ი. საქმე ვერ არის მთლად ისე კარგად, როგორც საჭიროა და დისკუსიის მონაწილეებმა საერთოდ გაჩუმება არჩიეს, - დაასკვნეს მრავლისმომსწრე ჟურნალისტებმა. დასკვნით ოქმში კი მოულოდნელად გაჩნდა ზემოთ ნახსენები ფრაზა აფხაზეთის შესახებ. საყურადღებოა ისიც, რომ მხარეების შეხვედრის დროს რუშაილოს მისაღებში ყველასათვის მოულოდნელად შემოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი. ძნელი სათქმელია, დაესწრო თუ არა იგი ამ შეხვედრას (ამ ფაქტს არავინ ადასტურებს), სამაგიეროდ, ჩვენი დელეგაციის წევრები აფიქსირებენ მთავარს, რომ რუშაილოსთან დიალოგი ყველაზე მწვავე და ძნელი იყო. პარლამენტარ ელდარ შენგელაიას თქმით, შედეგებზე მაშინ ისაუბრებენ, როცა მოსკოვში ოფიციალური ვიზიტი დასრულდება. ირაკლი ბათიაშვილის აზრით კი, რუსეთის მხარე საუბარს ამბიციური და იმპერიული პოზიციებიდან აგრძელებს, თუმცა რაღაც პერსპექტივები, პარლამენტარის თქმით, მაინც გამოჩნდა.

დელეგაციის ვიზიტისა და მოსკოვური შეხვედრების კომენტირებისას, ქართული მხარე არ იშურებს ისეთ საყველპურო ფრაზებს, როგორებიცაა: "კონსტრუქციული მოლაპარაკებები", "შეხვედრის პროდუქტიულობა", "გამაღიზიანებელი ფაქტორების მოხსნა" და ა.შ.

მათი აზრით, მოსკოვში ქართული დელეგაციის ამჟამინდელი ვიზიტი უშედეგოდ არ ჩაივლის. უიმედობა ჩვენებს არც ეტყობათ. ყოველი დღე პირველი კლასის რომანტიკული რესტორნებითაა შელამაზებული. ბურჯანაძის მოსკოვში ყოფნის მეორე დღე რუსეთის ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა რესტორან "ესენინში" ბანკეტით აღნიშნა.

დღეს კი საინტერესო შეხვედრები უკვე რუსეთის დუმაში გაიმართება.

## შეძახილი ნატო-ს სტანდარტებით: საქართველოს გულისთვის სიცოცხლეს გავწირავ!

*გუშინ, თავდაცვის სამინისტროს შენობის წინ განთავსებულ პლაცზე, ეროვნული სამხედრო აკადემიის პირველკურსელთა შესრულებით იმ ილეთების დემონსტრირება გაიმართა, რომელიც სამწყობრო მომზადების ახალ წესდებაში უნდა შევიდეს. საჩვენებელ სანახაობას ქვეყნის სამხედრო ელიტა თითქმის მთელი შემადგენლობით დაესწრო. "ეს არის ნატო-სთან თავსებადი სტანდარტი. ამ ტიპის სამწყობრო მომზადება ამერიკულ, გერმანულ და თურქულ ჯარში გამოიყენება," - აღნიშნავს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი და იქვე შენიშნავს, რომ წარმოდგენილი მოდელი რამდენიმე ვარიანტისგან, მათი კომბინირების გზით შეირჩა.*

გიორგი ასანიშვილი

ახალ პროგრამაზე დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს კომისია გენერალური შტაბის უფროსის, ჯონი ფირცხალაიშვილის უფროსი თანაშემწის, გენერალ შოთა ბაიაძის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოზე უკვე სამჯერ განიხილეს ახალი წესდების ნიუანსები, მომავალ სამშაბათს კიდევ ერთხელ მოეწყობა სამწყობრო მომზადების ჩვენება, საბოლოო გადაწყვეტილება კი დაახლოებით ორ-სამ თვეში იქნება მიღებული.

**"ახალი სამწყობრო მომზადება, უწინარეს ყოვლისა, ჯარისკაცთა ფსიქოლოგიური მომზადების კუთხით არის აღსანიშნავი. დღემდე მოქმედი მომზადების საბჭოთა მოდელი ტოტალიტარულ სისტემაზე იყო აწყობილი და მეომრის შინაგანი ინიციატივა უნდა დაეთრგუნა. ახალი წესდება სულ სხვა პრინციპებს გულისხმობს. იგი ჯარისკაცის ინიციატივის წახალისებას ითვალისწინებს. ახალ მოდელზე გადასვლა თავდაპირველად ყველას გაუჭირდება - ჯარისკაცსაც და ოფიცერსაც, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს: თუ ნატო-სკენ ვისწრაფით, მასთან თავსებადი პროგრამა უნდა გვქონდეს"**, - აცხადებს სამხედრო ექსპერტი კახა კაციტაძე.

**"ახალი წესდება სავსებით მისაღებია როგორც მორალურად, ასევე ორგანიზაციულად და დისციპლინის განმტკიცების თვალსაზრისით. იგი ორიენტირებულია ისეთ ცნებებსა და ფასეულობებზე, როგორიც არის "სამშობლო", "დროშა", "ჯარისკაცის ღირსება"**, - განაგრძობს გელა ბეჟუაშვილი.

**"მე ვარ ქართველი სამხედრო ჯარისკაცი, საქართველოს გულისთვის სიცოცხლეს გავწირავ. საქართველოს გაუმარჯოს!"** - ასეთი საბრძოლო შეძახილები ისმოდა გუშინ თავდაცვის სამინისტროს ეზოში საბჭოთა "პესენკისა" და "ჰუსეინ ბიძია, ჰუსეინ ბიძია, ნენეს უთხარი"-ს ნაცვლად.

## მოშიმშილეების ჯანმრთელობა უარესდება

### ხელისუფლების წარმომადგენლებს ისინი ერთხელაც არ მოუნახულებიათ

ვერიკო თევზაძე

*რუსეთის საელჩოსთან მოშიმშილე აფხაზეთიდან დევნილების ჯანმრთელობა დღითი-დღე უარესდება. შიმშილობის მეშვიდე დღეს მამია ჩარქსელიანს ჰიპერტონული კრიზი, ხოლო ჯუმბერ უგულავას ტრაქეობრონქიტი აღენიშნება.*

დანარჩენი მოშიმშილეები თავის ტკივილს და საერთო სისუსტეს გრძნობენ. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ჯინჭარაძე დიაბეტით არის დაავადებული, თუმცა მისი ჯანმრთელობა დღეისთვის შედარებით სტაბილურია.

ვლადიმერ გელენიძე "ინფარქტის" დიაგნოზით მესამე დღეა, რაც ვაკეში მდებარე "ლეჩკომბინატის" რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. აფხაზეთის პოლიკლინიკის მედიკოსებს მისი მონახულების უფლება ჯერჯერობით არ მისცეს. აქციის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯინჭარაძემ და ექიმმა ნინო გაგუამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადეს, რომ გელენიძეს მანამდე გული არ აწუხებდა, ინფარქტი მას ნერვულ ფონზე განუვითარდა.

მოშიმშილეებს სამედიცინო დახმარებას აფხაზეთის პოლიკლინიკის თანამშრომლები უწევენ. აქციის მონაწილეებს სოლიდარობას მხოლოდ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები უცხადებენ.

**"დღემდე ცენტრალური ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი არ მოსულა ჩვენთან. შევარდნაძე ისეთ პოლიტიკას ატარებს, მარტო თბილისი დარჩება, თბილისის მთავარ გუბერნატორად იქცევა... გუშინ გალიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, გვემუქრებიან, თუ რუსულ პასპორტებს არ აიღებთ, თქვენს სახლებში რუსებს შევუშვებთო. გალელები ტერორის ქვეშ იმყოფებიან. რისი იმედი უნდა ჰქონდეთ მათ? გალში კი არა, აქ არავინ გვაქცევს ყურადღებას!"** - ასე გამოხატეს აქციის მონაწილეებმა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გულისტკივილი და უნდობლობა.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, თბილისის მოსახლეობა თანაუგრძნობს და აქტიურად უჭერს მხარს ქუჩაში გამოსულ დევნილებს. მათ ხშირად მოაქვთ შეშა, რათა მოშიმშილეთა კარავში ღუმელი არ ჩაქრეს.

რუსეთის საელჩოსთან აფხაზეთიდან დევნილების ნაკადი მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა. საღამოსკენ დევნილებმა გადაკეტეს ჭავჭავაძის პროსპექტი და მოითხოვეს რუსეთის ელჩთან შეხვედრა. ცოტა ხნის შემდეგ, ჩხიკვიშვილმა მართლაც მიიღო საპროტესტო აქციის მონაწილეთა დელეგაცია და მოშიმშილეებს აღუთქვა, რომ მოსკოვს აუცილებლად აცნობებს მათი მოთხოვნების შესახებ.

და ბოლოს: ენგურის ხიდთან და თბილისში მიმდინარე აქციების ორგანიზატორთა განცხადებით, ორ-სამ დღეში საპროტესტო ტალღა მთელ საქართველოს მოედება.

## ზეზე ბიჭებო, ზეზე!

ზაზა ფაჩუაშვილი

*ორგანიზაცია "ქართული ლიგის" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი) პრეზენტაციას ბევრი ჭრელფორმიანი დაესწრო. ეს ის ბიჭები იყვნენ, რომლებზეც გია ყარყარაშვილმა თქვა, მათ 10 წლის წინათ დაადასტურეს სამშობლოსათვის თავგანწირვის მზადყოფნაო. "ქართული ლიგის" დამფუძნებლებს სწორედ იმ პოტენციალის შენარჩუნება და გაძლიერება სურთ, რომელიც ამ თავდადებულ ხალხს ჯერ კიდევ გააჩნია.*

*ვეტერანთა არა ერთი ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ ამ ჯანსაღი ძალების გაერთიანება მაინც მომავლის საქმედ იქცა. ეს საქმე "ქართულმა ლიგამ" უნდა შეასრულოს.*

გუშინ "24 საათში" დაიბეჭდა ინტერვიუ "ქართული ლიგის" ერთ-ერთ დამფუძნებელთან კახა გველესიანთან, რომელმაც წარმოადგინა ორგანიზაცია და ვრცლად ისაუბრა მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამას აღარ გავიმეორებთ, მაგრამ "ქართული ლიგის" კიდევ ერთი დამფუძნებლის გია ყარყარაშვილის რამდენიმე მოსაზრებას შემოგთავაზებთ:


კახა გველესიანი, გიგა არველაძე, გია ყარყარაშვილი.

**"ჩვენ წინასწარი კონსულტაციები გვქონდა, პრაქტიკულად, ყველა ფორმირებასთან, რომელიც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა. ისინი აღიარებენ ამგვარი ორგანიზაციის შექმნის საჭიროებას და მის საქმიანობაში კიდევაც იაქტიურებენ. რა თქმა უნდა, მორალური უმრავლესობის შექმნის პირობებში, ბევრად უფრო ადვილი იქნება იმ აზრის ტრანსფორმაცია, რომელიც ჩამოყალიბდა ამ ხალხის მიმართ. ამ ადამიანებმა 10 წლის წინათ, ბევრისგან განსხვავებით, დაადასტურეს სამშობლოსათვის თავგანწირვის მზადყოფნა. ამას ემატება ისიც, რომ ვეტერანებს შორის არიან წარმატებული ადამიანები, რომლებსაც ბევრის გაკეთება შეუძლიათ ჩვენი მიზნების განხორციელებისთვის. ძალიან ბევრი ისევ ძველებურად გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის წინაშე და მზად არის, იკისროს ეს პასუხისმგებლობა. მთავარი ესაა.**

**სამწუხაროდ, საქართველოში მხედრული სული, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ძველების გამოცდილებისა და ცოდნის შერწყმა ახალგაზრდა თაობის ენთუზიაზმთან. ასეთ შემთხვევაში, მორალის თვალსაზრისით, ბევრი რამის უკეთესობისკენ შეცვლას შევძლებთ."**

- ალბათ, დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, შეძლებთ თუ არა ურთიერთობას აფხაზ ვეტერანებთან.

**- რა თქმა უნდა. ომის დროსაც კი ძალიან ბევრ ავტორიტეტულ პიროვნებასთან გვქონდა ურთიერთობა და მერწმუნეთ, ეს კავშირი 10 წლის შემდეგაც არ გამწყდარა. მიუხედავად იმ მსხვერპლისა და დაპირისპირებისა, რაც თავს დაგვატყდა ორივე მხარეს, ერთმანეთისადმი პატივისცემა შენარჩუნებულია. ადრე თუ ეს სახელები გასაიდუმლოებული იყო, ახლა ჩვენ შეგვიძლია მათი ვინაობის დასახელება. მაგალითად, აფხაზეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ყოფილი შს მინისტრი.**

**მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც, სამწუხაროდ, არც ქართველების ინტერესებს იცავენ და არც - აფხაზებისა. ისინი სპეცსამსახურებს ემორჩილებიან და ხალხს თავგზას უბნევენ. მათთან ურთიერთობაში რადიკალურები ვიქნებით.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ალ ქაედას" ქსელი საქართველოში

პირველი გვერდიდან

## საუდელი შეიხიდან არნაუტამდე

**Benevolence,** საუდელი მილიონერის, შეიხ ადილ აბდულ გალილ ბეტარჯის ფინანსური მხარდაჭერით, აშშ-ში, ილინოისის შტატში 1992 წელს დარეგისტრირდა, როგორც არასამთავრობო ჰუმანიტარული ფონდი. წესდებაში დეკლარირებული მიზანი მსოფლიოში არსებულ კონფლიქტურ წერტილებში მუსულმანების დახმარება იყო. ფონდს სამი ოფისი ჰქონდა ჩრდილოეთ ამერიკაში (ორი აშშ-ში, ერთი კანადაში), სათავო ოფისი 1993 წლიდან მოქმედებს ჩიკაგოში. ფსბ-ს (ფედერალური საგამოძიებო ბიურო) ინფორმაციით, ათი წლის მანძილზე ფონდმა 13 ქვეყანაში გახსნა ფილიალი, **Benevolence**-ს ქსელში 200-მდე ადამიანი მუშაობდა. ფონდის დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ **Benevolence**-ს ყველაზე დიდი ქსელი ჰქონდა რუსეთში (მოსკოვი, გროზნო, ნაზრანი, მახაჩკალა), პაკისტანში (ისლამაბადი, პეშავარი), საქართველოში (თბილისი, დუისი), ბოსნიასა (სარაევო, ბუგოინო, ტრავნიკი) და აზერბაიჯანში (ბაქო).

მთელი მსოფლიოს მდიდარი მუსულმანებისგან ფონდი დიდძალ ფულად შეწირულობებს იღებდა, რომელიც შემდგომ ღარიბი და ომებით დაზარალებული მუსულმანებისთვის უნდა მოეხმარებინა. **Benevolence**-ს მთავარი ოფისი სწორედ ამ მიზნით განათავსეს ჩიკაგოში, სადაც შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარი მუსულმანები ცხოვრობენ.

აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ინფორმაციით, მხოლოდ 1998 წლის მაისიდან 2000 წლის აპრილის ჩათვლით, ფონდმა, შეწირულობების სახით, **ხუთი მილიონი დოლარი** მიიღო. თუმცა, გამოძიება, რომელიც დღემდე გრძელდება, ვარაუდობს, რომ საუბარი შეიძლება იყოს კიდევ **ათეულობით მილიონ დოლარზე**, რომელიც ფონდის ფინანსურ დოკუმენტაციებში არ აღრიცხულა. მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, 1997-2001 წლებში, ჩიკაგოს ოფისიდან, ამერიკული "სიტიბანკის" გავლით, **3 მილიონ 925 ათასი დოლარია** გადარიცხული.

დაარსების დღიდან 2001 წლის 30 აპრილამდე, ფონდს სირიული წარმოშობის ენაამ არნაუტი, იგივე აბუ-მაჰმუდი ხელმძღვანელობდა. აშშ-სა და ბოსნიის მოქალაქის - არნაუტის წინააღმდეგ სამხილები პირველებმა ბოსნიელმა გამომძიებლებმა შეაგროვეს.

არნაუტი ძალიან ხშირად ჩადიოდა ბოსნიაში, **Benevolence**-ს ფილიალის ოფისში, რადგან მას ცოლად ბოსნიელი ქალი ჰყავდა და 1996 წლიდან ბოსნიის მოქალაქეც იყო.

## არნაუტი და ბენ ლადენი

**Benevolence**-ს ცხრაწლიანი მოღვაწეობის საიდუმლო ფსბ-მ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ამოხსნა, როცა საგამოძიებო ბიუროს აგენტებმა, ბოსნიელ გამომძიებლებთან ერთად, ბოსნიის ფილიალის ოფისში, არნაუტის პირად კომპიუტერში სენსაციური (მათ შორის, ფოტო) მასალები აღმოაჩინეს. 40 წლის არნაუტი, რომლის დედა და და საუდის არაბეთში ცხოვრობენ, 1988 წელს ავღანეთში "ალ ქაედას" დამფუძნებელი თავყრილობის მონაწილე გამოდგა.

**"კომპიუტერში ჩვენ აღმოვაჩინეთ 1988 წელს "ალ ქაედას" პირველი თავყრილობის ამსახველი ჩანაწერები, მათ შორის - "ალ ქაედასთვის" მიცემული ფიცის ტექსტი; დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ არნაუტი 80-იანი წლების ბოლოს ავღანეთში, მოჯახედების იმ ბანაკში მუშაობდა, რომელსაც ოსამა ბენ ლადენი ედგა სათავეში. გვაქვს ფოტომასალა, სადაც არნაუტი და ბენ ლადენი არიან აღბეჭდილნი. მოვიპოვეთ არნაუტის 2001 წლის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, სადაც ის ბოსნიის ფილიალის ერთ-ერთ ხელმძღვანელს სთხოვს, რომ დაჭრილი ბოევიკისთვის ფინანსური დახმარება დოკუმენტაციაში არ ასახოს. ასევე გვაქვს არნაუტისთვის გამოგზავნილი წერილის ასლი, რომელსაც აბუ ალ კააკაა აწერს ხელს. ეს ოსამა ბენ ლადენის ფსევდონიმია. არნაუტი თაღლითურად ატყუებდა ამერიკელი მუსულმანების ნაწილს, რომლებიც, მათი რელიგიიდან გამომდინარე, თავს მოვალედ თვლიდნენ, დახმარებოდნენ კანონიერ საქველმოქმედო ორგანიზაციას,"** – ამბობს ილინოისის შტატის ფედერალური პროკურორი პატრიკ ფიტცჯერალდი.

2001 წლის 29 აპრილს, იმ დღეს, როცა არნაუტი აშშ-დან საუდის არაბეთში გამგზავრებას აპირებდა, იგი ჩიკაგოს სასამართლოში გამოიძახეს. მან ფიცის ქვეშ განაცხადა, რომ ტერორისტებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ამის შემდეგ ფსბ-მ სასამართლოს სარაევოში მოპოვებული ოპერატიული მასალები წარუდგინა. არნაუტი, წელიწადნახევარია, რაც წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, მას შვიდი ბრალდება აქვს წაყენებული (მათ შორის, ფიცის ქვეშ ტყუილის თქმა) და ოთხმოცდაათწლიანი პატიმრობა ემუქრება.

**"არნაუტს ბრალად ედება თაღლითური გზით საქველმოქმედო შეწირულობების მიღება, რომლის უდიდესი ნაწილი შემდეგ "ალ ქაედასა" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებას ხმარდებოდა. მას ასევე ბრალდება რეკეტი, ტერორიზმის მხარდაჭერა, ფულის გათეთრება და თაღლითობა. იმ მიზნით, რომ ტერორიზმის შეგნებულად დამფინანსებელი დონორების ვინაობა დაემალა, არნაუტი ფონდის ფინანსურ დოკუმენტაციაში საქველმოქმედო შეწირულობებსა და ტერორისტებისთვის განკუთვნილ თანხებს ერთად ატარებდა,"** – ამბობს აშშ-ს იუსტიციის მინისტრი ჯონ ეშკროფტი.

ნაწყვეტი აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ჩიკაგოს განყოფილების აგენტის რობერტ უოლკერის ფიცის ქვეშ მიცემული, არნაუტის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებიდან: **"სიტიბანკში" მიღებული ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, 2000 წლის 4 იანვრიდან 11 აპრილის ჩათვლით, Benevolence-მ ჩიკაგოდან, საკუთარი ანგარიშიდან *980110435* ცხრამეტი ტრანსფერი გააგზავნა თბილისში, საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების ასოციაციის - "მადლის" ანგარიშზე, ასევე - ბაქოში, მოსკოვსა და რიგაში, ფონდის ფილიალების ანგარიშებზე. გაგზავნილი თანხის საერთო ოდენობა 685 ათასი დოლარია".**

## კონსპირაციული "მადლი"

"სიტიბანკიდან" გამოგზავნილი თანხის მიმღები საქართველოში, ასოციაცია "მადლი" 1999 წლის ნოემბერში თბილისში მეტად ინტერნაციონალურმა შემადგენლობამ დააფუძნა. "მადლის" გენდირექტორია რუსეთის მოქალაქე, გროზნოელი, 32 წლის **მარატ ავლაგიროვი.** დამფუძნებლები ასევე არიან რუსეთის მოქალაქე, გროზნოელი **ტერმინალ აინურკაევი;** აშშ-ს მოქალაქე, ნიუ-იორკელი **თასიკ მოჰამადი** და კანადის მოქალაქე, კალგარელი **ნაფიზ მოჰამადი** (საერთოდ, მოჰამადის გვარი **Benevolence**-ს ქსელში ერთობ გავრცელებულია, ეს გვარი გვხდება ბაქოსა და სარაევოს ოფისებშიც); დამფუძნებელთა შორის არის საქართველოს მოქალაქე, 34 წლის **არჩილ ისმაილის ძე ხატიაშვილიც.** სად გაიცნეს ამ ადამიანებმა ერთმანეთი, ჯერჯერობით უცნობია. ძალიან საინტერესოა, "მადლის" იურიდიული მისამართის ისტორიაც. საბუთებში მითითებულია, რომ პირველი რვა თვის მანძილზე "მადლი" ფუნქციონირებდა აკურის ქუჩის 8 ნომერში, თუმცა, როგორც "24 საათმა" გაარკვია, ასეთი ორგანიზაცია ამ მისამართზე არასოდეს ყოფილა. შემდეგ "მადლი" ჩიქოვანის ქუჩის 24 ნომერში "გადავიდა", მაგრამ, სინამდვილეში, არც ამ მისამართზე ყოფილა. ტელეფონის ნომერი კი, რომელიც "მადლს" სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში აქვს მითითებული, ონიაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ქართულ კომპანიას ეკუთნის. კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც არ ისურვა საკუთარი ვინაობის დასახელება, გვითხრა, რომ "მადლს" **"ეს ტელეფონი მხოლოდ მითითებული ჰქონდა დოკუმენტაციაში და მეტი არაფერი, ამ მისამართზე "მადლს" არასოდეს უმუშავია".** თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, რა მიზეზით გაუწია კომპანიამ "მადლს" დახმარება. ასეთი სახის კონსპირაცია **Benevolence**-ს სტილია. მაგალითისათვის, მოსკოვის ფილიალის მისამართად მითითებული ჯერ იყო ოქტომბრის ქუჩა 89, შემდეგ - აზოვის ქუჩა 6, სინამდვილეში კი, იქ ფეხსაცმლისა და ფრინველის ხორცის მაღაზიებია. **Benevolence**-ს ფილიალები ასევე ხშირად იცვლიდნენ სახელს. მაგალითისთვის, ბოსნიის ფილიალს ჯერ ერქვა "ლეგალური საქველმოქმედო ორგანიზაცია", შემდეგ - "ბოსანსკა იდეალნა ფუტურა". იგივე "მადლი" ზოგიერთ დოკუმენტში ხშირად მოხსენიებულია, როგორც **BIF-Geo.** სინამდვილეში სად მდებარეობდა "მადლის" ოფისი თბილისში, ბოლომდე გარკვეული არ არის, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს ოფისი იღებდა და განკარგავდა საკმაოდ დიდ თანხებს.

## 600 ათასი "თი-ბი-სი"-ში

საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ინფორმაციით, **"მადლმა" თბილისის "თი-ბი-სი" ბანკში, სხვადასხვა დროს, ოთხი ამერიკული და ერთი ავსტრიული ბანკიდან, დიდი ოდენობით თანხები მიიღო, რაც ეცნობა აშშ-ს სპეცსამსახურებს".** უშიშროების სამინისტრო, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დღემდე არ აკონკრეტებს, რა ოდენობის თანხა დაჯდა "მადლის" ანგარიშზე. თუმცა, უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ შარშან ერთ-ერთ ინტერვიუში გაამხილა, რომ **"საქართველოს ერთ-ერთ ბანკში 600 ათასი დოლარის გადმორიცხვის ფაქტი დაფიქსირდა".** ამერიკული გაზეთის ***The Daily Southtow***-ის საგამოძიებო ჯგუფმა, რომელიც **Benevolence**-ს ქსელის მოღვაწეობას იკვლევს, დაგვიდასტურა, რომ ეს 600 ათასი დოლარი "თი-ბი-სი" ბანკში სწორედ "მადლის" ანგარიზე დაჯდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაფუძნების დღიდან "მადლი" საკმაოდ აქტიურ ჰუმანიტარულ მოღვაწეობას ეწეოდა (1999 წლის ნოემბერში ასოციაციის წარმომადგენლები იყვნენ დუისში და პანკისის ხეობის სხვა სოფლებში; 2000 წლის თებერვალში - ინგუშეთში, ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკებში და შემდეგ - ისევ დუისში), დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 600 ათასი დოლარი მხოლოდ ლტოლვილებს არ მოხმარებიათ.

**"მე რამდენჯერმე შევხვედრივარ მარატ ავლაგიროვს. დუისის საავადმყოფოს მოწყობისთვის, ორი წლის წინათ, მას მადლობაც კი გადაუხადეს, თუმცა ახლა იქ ლტოლვილებს აღარ უშვებენ. თქვენგან გავიგე, რომ მან ჩვენს დასახმარებლად 600 ათასი მიიღო. ეს, თქვენც კარგად გესმით, ძალიან დიდი ფულია. თავად განსაჯეთ, დღეს პანკისში მყოფი ერთი ჩეჩნური ოჯახი ორ თვეში ერთხელ იღებს 27 კილოგრამ ფქვილს, 750 გრამ ზეთს, 3,8 კილოგრამ ლობიოს, ექვს კოლოფ ჩაის და თითო-თითო კოლოფ მარილსა და შაქარს. ჩვენ ვშიმშილობთ, ბავშვების ახმეტის საავადმყოფოში გადასაყვანად ფული არ გვაქვს. ეგ თანხა ჩვენამდე არ მოსულა. თუ ავლაგიროვი წარმოადგენს დოკუმენტაციას, რომ ეს ფული ჩვენზე დაიხარჯა, კარგი იქნება,"** – გვითხრა დუისში მყოფმა ჩეჩნეთის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ასლანბეკ აბდურზაკოვმა. მან ასევე უარყო ინფორმაცია, თითქოს პანკისში მყოფი 75 ობოლი ჩეჩენი ბავშვი თვეში, დახმარების სახით, 35-დან 75 დოლარამდე იღებდეს. ეს ინფორმაცია ასევე **Benevolence**-ს ფინანსურ დოკუმენტებშია მოცემული.

**"ამერიკელების მოთხოვნით, უშიშროებამ 2001 წელს დაკითხა მარატ ავლაგიროვი. "მადლის" საიმპორტო დოკუმენტების გაცნობის შემდეგ დადგინდა, რომ 2000-2001 წლებში ასოციაციამ პანკისში, ჩეჩენი ლტოლვილებისთვის, შეიტანა ჰუმანიტარული ტვირთი: მეორადი ტანსაცმელი (ლაბადები) და ცხვრის ხორცის კონსერვები. ეს ტვირთი საქართველოში იამაიკიდან და ავსტრალიიდან შემოვიდა,"** – გვითხრა უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა.

## იყო თუ არა არნაუტი თბილისში?

საქართველოს შესაბამისი სამსაურები არ ადასტურებენ ენაამ არნაუტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის ფაქტს, თუმცა **Benevolence**-ს დირექტორი ძალიან ხშირად სტუმრობდა კავკასიას. არნაუტი რამდენჯერმეა ნამყოფი აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში, დაღესტანში, რუსეთსა და ინგუშეთში. 2000 წლის თებერვალში ის მონაწილეობდა "მადლის" წარმომადგენლების მიერ ინგუშეთში ჩეჩენი ლტოლვილების ბანაკებისთვის ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემის ღონისძიებაში. ამის დამადასტურებელი ფოტორეპორტაჟი **Benevolence**-ს დოკუმენტებშია მოცემული. ერთ-ერთ ფოტოზე, რომელზეც არნაუტი ლტოლვილს ესაუბრება, არის მინაწერი: **"BIF-Geo. ენაამ არნაუტი ესაუბრება ლტოლვილ ქალს".** ინგუშეთის აქციის შემდეგ, "მადლმა" დუისი მოინახულა, მაგრამ არნაუტი ფოტოებზე უკვე აღარ ჩანს. თუმცა, იმის ბოლომდე გამორიცხვა, რომ არნაუტი არ არის საქართველოში ნამყოფი, არ შეიძლება. ფსბ-ს მონაცემებით, მას რამდენიმე პასპორტი ჰქონდა. არნაუტისგან განსხვავებით, საქართველოს უშიშროების სამინისტრომ თბილისში **Benevolence**-ს სხვა წარმომადგენლის, ვინმე **ნაფიზ შამსის** ვიზიტი 2000 წლის თებერვალში დააფიქსირა. შამსი მარატ ავლაგიროვთან სტუმრობდა და, სავარაუდოდ, დუისშიც იმყოფებოდა. 2000 წლის 11 მარტს კი ავლაგიროვს ამერიკის მოქალაქე, წარმოშობით პაკისტანელი, 31 წლის **ნაიმ უდდინი** სწვევია, რომელმაც "მადლის" დირექტორს 5000 დოლარი გადასცა. ავლაგიროვს ასევე კავშირი ჰქონდა ამერიკის მოქალაქე **ამჯედ ტოფიკთან,** რომელიც არიზონაში ცხოვრობს და მუსულმანურ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან არის დაკავშირებული.

## ფული ტერორისტებს ხმარდებოდათ

კიდევ ერთი ნაწყვეტი აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ჩიკაგოს განყოფილების აგენტის რობერტ უოლკერის ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების ტექსტიდან: **"ბანკის ანგარიშიდან ფულის მოხსნის შემდეგ, თვალის მიდევნება, თუ რისთვის იყენებდა ამ ფულს "ალ ქაედა", შეუძლებელი იყო. საქველმოქმედო ორგანიზაციებს ბანკიდან თითქმის ყოველთვის ნაღდი ფული გაჰქონდათ, შემდეგ იდებოდა ყალბი დოკუმენტები, რომ ფული ჰუმანიტარულ პროგრამაზე დაიხარჯა. სინამდვილეში, ფულის მხოლოდ მცირე ნაწილი მიდიოდა ამ მიმართულებით, დანარჩენი თანხა გადაეცემოდა "ალ ქაედას" იმ მიზნებისთვის, რომელსაც ორგანიზაცია თავად განსაზღვრავდა".**

აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიურო, ისევე როგორც ჩიკაგოს სასამართლოს მოსამართლე იან ლევინი, დამტკიცებულად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ჩეჩნეთისა და საქართველოსკენ წამოსული თანხების უდიდესი ნაწილი (როგორც პანკისში, ისე ჩეჩნეთში) ჩეჩენ და არაბ მოჯახედებს ხმარდებოდათ. **"ფული მიემართებოდა ჩეჩენი მოჯახედების დასაფინანსებლად,"** – ამბობს მოსამართლე იან ლევინი. **Benevolence**-ს თანხების მიმღებად, ფსბ-ს მიერ ყველაზე ხშირად ჰატაბის რაზმები სახელდება. **"1995 წელს ფონდის ბაქოს ფილიალმა 3500 დოლარად შეიძინა და აზერბაიჯანში ჰატაბის წარმომადგენელს გადასცა რენტგენის აპარატი. ფონდი, ასევე, აქტიურად ეხმარებოდა "ალ ქაედას" წევრებს, მათ შორის - ტერორისტ მაჰმუდ სალიდს,"** – ამბობს ფსბ-ს აგენტი თომას ნეირი. სალიდი 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოების აფეთქებისთვის დააპატიმრეს. როგორც ახლა გაირკვა, ბერლინში გადასვლამდე, სალიდი ბოსნიაში **Benevolence**-ს ხარჯზე ცხოვრობდა.

საქართველოს უშიშროების სამინისტროში ადასტურებენ, რომ **"Benevolence-ს მიერ საქართველოში გადმორიცხული თანხების ნაწილი ჩეჩენ ბოევიკებს მოხმარდა",** თუმცა ამ ეტაპზე თემის კიდევ უფრო განვრცობისგან თავს იკავებენ. გაურკვეველი რჩება, გამოძიება განაგრძობს "მადლის" მოღვაწეობის შესწავლას თუ - არა? დღემდე რატომ არ არის გაყინული "მადლის" საბანკო ანგარიში და გაუქმებული რეგისტრაცია, როგორც ეს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, კანადასა და სხვა ქვეყნებში გააკეთეს? თუ ცნობილია, რომ **"თანხის ნაწილი ჩეჩენ ბოევიკებს მოხმარდა",** არის თუ არა ეს დანაშაული? თუ არის, რატომ არ არიან დაკავებული დამნაშავეები? და ყველაზე მთავარი: შემოწმდა თუ არა "მადლის" კავშირები საქართველოში, ხომ არ იყო ასოციაცია დაკავშირებული რომელიმე ძალოვან სტრუქტურასთან?... ერთი სიტყვით, კითხვები ამ მიმართულებით უფრო ბევრია, ვიდრე პასუხები. მით უმეტეს, რომ თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ **Benevolence**-ს ქსელმა, საქართველოს საბანკო სექტორის (და ტერიტორიის) გამოყენებით, 600 ათასზე გაცილებით დიდი თანხა გაატარა, რასაც ამერიკული აუდიტორული კომპანიის **ZHK & Associates**-ის მომზადებული ფინანსური დასკვნაც ადასტურებს. მასში ნათქვამია, რომ 1999-2000 წლებში **Benevolence**-მ ჩეჩნეთის მიმართულებით 843 ათასი დოლარი გააგზავნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა გროზნოში **Benevolence**-ს ოფისი უკვე აღარ არსებობდა, უკვე - მილიონ 333 ათასი დოლარი. დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, არსებობს 90-პროცენტიანი ალბათობა იმისა, რომ ეს ბოლო ტრანში მოჯახედებმა თბილისისა და ბაქოს გავლით მიიღეს.




*საქართველოში Benevolence-ს ფილიალის, ასოციაცია "მადლის" დუისში სტუმრობის ამსახველი ფოტორეპორტაჟი. "მადლი" ირწმუნება, რომ პანკისში 600 ათასი დოლარის ჰუმანიტარული ტვირთი შეიტანა. ფედერალური საგამოძიებო ბიურო დარწმუნებულია, რომ ეს თანხა მოჯახედებსა და ტერორისტებს გადაეცათ.*





*Benevolence-ს დირექტორი ენაამ არნაუტი საკუთარ კომპიუტერში შენახულმა ამ ფოტოებმა დაღუპეს. სურათებზე აღბეჭდილია "ალ ქაედას" ერთ-ერთი პირველი თავყრილობა ავღანეთში, არნაუტისა და ოსამა ბენ ლადენის მონაწილეობით. ამერიკელმა აგენტებმა ფოტოებს სარაევოში მიაგნეს*



## სომხეთში საარჩევნო კამპანია დაიწყო

*საერთაშორისო თანამეგობრობა სომხეთის ხელისუფლებას საგანგებოდ აფრთხილებს, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს.*

ორშაბათს, სომხეთში, ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კომპანია. ზუსტად ერთ თვეში სომხეთის მოქალაქეები ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. საინფორმაციო სააგენტო "არმინფოს" ცნობით, საპრეზიდენტო არჩევნებში 11 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას, რომლებმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან შესაბამისი ნებართვა უკვე მიიღეს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს მხოლოდ რაფი ჰოვანესიანს, სომხეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც სომხეთის მოქალაქეობა მხოლოდ 2001 წელს მიიღო. სომხეთის კონსტიტუციის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელიც, სულ მცირე, 10 წელია, რაც სომხეთის მოქალაქეა და ქვეყანაში მუდმივად ცხოვრობს ამავე პერიოდის განმავლობაში.

საარჩევნო კამპანიის დაწყებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ სომხეთის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ თებერვალში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს. ეუთო-მ უკვე დაიწყო არჩევნების მონიტორინგის პროგრამა, რომელიც არჩევნებს შეაფასებს.

სომხეთში ეუთო-ს საგანგებო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის პიტერ აიხერის თქმით, ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ისეთივე სერიოზული დარღვევების განმეორება, როგორსაც წინა არჩევნებისას, 1998 წელს ჰქონდა ადგილი.

"ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ წელს მისიას შესაძლებლობა ექნება, არჩევნების პროცესის შესახებ დადებითი შეფასება გააკეთოს და მოხსენებაში აღნიშნოს, რომ ამჟამად სომხეთი პირნათლად ასრულებს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების თაობაზე აღებულ საერთაშორისო და საშინაო ვალდებულებებს", - განაცხადა აიხერმა ერევანში საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე და ჟურნალისტებს ეუთო-ს მონიტორინგის პროცესის დაწყება აუწყა.

თავდაპირველად მისიაში ეუთო-ს წევრი 16 სახელმწიფოს 25 დამკვირვებელი იმუშავებს, რომლებსაც არჩევნების დღეს კიდევ 259 დამკვირვებელი დაემატება. ისინი 19 თებერვალს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობას გააკონტროლებენ. დამკვირვებელთა წინასწარი შეფასებები არჩევნების მეორე დღესვე გამოქვეყნდება.

"მისია შეეცდება, საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტს დააკვირდეს, მათ შორის - საკანონმდებლო ბაზას, საარჩევნო ადმინისტრაციის დაფინანსებას, პოლიტიკურ კამპანიასა და მედიას" - აღნიშნა აიხერმა.

მომავალი კენჭისყრა სომხეთის მთავრობისათვის სერიოზული გამოცდა იქნება. ერევანმა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის სერიოზული ვალდებულებები აიღო. არჩევნებს შეერთებული შტატები და ევროკავშირის სახელმწიფოები თვალყურს მიადევნებენ. მათი რეაქცია კი, ძირითადად, ეუთო-ს დამკვირვებელთა შეფასებებზე იქნება დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ ეუთო-მ წინა საპრეზიდენტო არჩევნებისას, როდესაც რობერტ კოჩარიანი პრეზიდენტად აირჩიეს, სომხეთის ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა. დამკვირვებლებმა საარჩევნო ყუთების მოპარვის, ხმების გაყალბების და ოპოზიციონერ აქტივისტთა დაშინების უამრავი ფაქტი გამოავლინეს. ეუთო-მ განაცხადა, რომ 1998 წლის არჩევნები ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

აიხერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა სომხეთის მიმართ ნდობის განმტკიცებისათვის აუცილებელი პირობაა. "მაგალითად, ძალზე იოლია გაზეთებში ყველა საარჩევნო უბნის შედეგის გამოქვეყნება", - თქვა მან.

ოპოზიციის კანდიდატების მტკიცებით, წინა არჩევნების შედეგები სომხეთში, ძირითადად, ხმების დათვლისას იქნა გაყალბებული, რომელსაც საარჩევნო პროცესის წარმმართველი სამთავრობო ორგანოები აკონტროლებდნენ. ხელისუფლება ამ ბრალდებებს ყოველთვის უარყოფდა. თუმცა, მას არასოდეს გამოუქვეყნებია არჩევნების შედეგები თითოეული ოლქის მიხედვით.

გასული წლის ნოემბერში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საგანგებო წერილი გაუგზავნეს ერევანში მყოფმა შეერთებული შტატების ელჩმა და ევროპული სახელმწიფოების დიპლომატებმა. წერილში მთავარი აქცენტი ხმების დათვლის პროცესზე იყო გაკეთებული. დიპლომატებმა ცსკ გააფრთხილეს, რომ აუცილებელია ამომრჩეველთა სიებში ქრონიკული უზუსტობების გამოსწორება და, რაც მთავარია, "მკვდარი სულების" ამოღება.

ანალოგიური პრეტენზიები აქვს ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტს, რომელიც დამკვირვებელთა მისიის გაგზავნას გეგმავს სომხეთში. "2002-2003 წლების საარჩევნო პროცესი აჩვენებს, რა გზით მიდის ქვეყანა", - ნათქვამია ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ ახლახანს გაკეთებულ განცხადებაში. "იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებას - მშვიდობიანად შეცვალონ მთავრობა - პატივს არ სცემს, მაშინ ქვეყნის მართვას ისინი გააგრძელებენ, ვინც ხალხის მხარდაჭერით არ სარგებლობს".

## თარიღთან დაკავშირებით თურქეთზე ზეგავლენა არ მოგვიხდენია

ამერიკის გენერალური შტაბის უფროსი რიჩარდ მიერსი, მრავალი ამერიკელის მსგავსად, ანკარიდან კარგი შთაბეჭდილებებით წავიდა. "გრძელდება მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც თურქეთთან გვაქვს. მჯერა, რომ რეგიონთან დაკავშირებული შეხედულებები, რომელიც ერთმანეთს გავუზიარეთ, უცვლელია," - თქვა მიერსმა. ამერიკელმა სარდალმა განაცხდა, რომ თურქეთში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს თურქეთის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობის დეტალებზე. მისი განცხადებით, პრეზიდენტ ბუშს ერაყის საკითხთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია. მიერსმა დადებითად შეაფასა თურქეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი რეგიონის ქვეყნებში, რომელიც ერაყის საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას ისახავდა მიზნად. ამერიკის გენერალური შტაბის უფროსის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თურქეთი ელოდება ამ წამოწყების შედეგებს. მიერსი შეხვდა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ჰილმი ოზქუქსა და თურქეთის თავდაცვის მინისტრს ვეჯდი გონულს.

"როგორც ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, თუ საჭირო იქნება, ძალის გამოყენებისგან თავს არ შევიკავებთ. თუმცა, ჯერ სამხედრო ვარიანტს უპირატესობას არ ვანიჭებთ," - აღნიშნა რიჩარდ მიერსმა.

***საინფორმაციო სააგენტო "იმედი"***

# დიდი განხეთქილება უშიშროების საბჭოში



*ბაღდადი ომის მოლოდინში.*

REUTERS

შოთა უტიაშვილი

*მაშინ, როდესაც აშშ და დიდი ბრიტანეთი სპარსეთის ყურეში 70 ათას ჯარისკაცს აგზავნიან, საფრანგეთი და გერმანია აცხადებენ, რომ ომი სრულიად გაუმართლებელია.*

გაერო-ს უშიშროების საბჭოს გუშინდელი სხდომა სრულიად მოულოდნელი შედეგით დასრულდა. საფრანგეთმა საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ანტიტერორისტულ ღონისძიებებზე სასაუბროდ მიიწვია, მაგრამ სხდომის მიმდინარეობის დროს საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მოულოდნელად თემა შეცვალა და ერაყთან მომავალი ომის წინააღმდეგ გაილაშქრა.

"ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების გამართლება არაფრით არ შეიძლება, – განცხადა დე ვილეპენმა, - დანამდვილებით ვიცით, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამები შეჩერებულია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს". საბჭოს შემდეგ გამართულ "თეატრალიზებულ" პრესკონფერენციაზე დე ვილეპენმა განაცხადა, რომ, თუ ამერიკა უშიშროების საბჭოს მხარდაჭერის გარეშე დაიწყებს ომს, ეს იქნება "ძლიერის კანონის" მიხედვით მოქმედება.

კითხვაზე, დაადებს თუ არა ვეტოს საფრანგეთი ომის გამოცხადებას, დე ველიპენმა უპასუხა, რომ საფრანგეთი "საკუთარი პრინციპების" მიხედვით მოიქცევა.

კოლინ პაუელი, რომელიც მოვლენების ამგვარ განვითარებას არ ელოდა, იძულებული გახდა, წინასწარ დაწერილი მოხსენება გვერდზე გადაედო და ექსპრომტად მომზადებული სიტყვით გამოსულიყო, რომელშიც მან ოთხჯერ გაიმეორა, რომ "უშიშროების საბჭომ თავისი მოვალეობების შესრულებისაგან უკან არ უნდა დაიხიოს".

საფრანგეთს მაშინვე დაუჭირა მხარი ომის ყველაზე თავგადაკლულმა მოწინააღმდეგემ - გერმანიამ. იოშკა ფიშერმა განაცხადა, რომ "ერაყმა ყველა საჭირო რეზოლუცია შეასრულა". ინსპექტორებს კი დრო უნდა მიეცეთ შემდგომი მოკვლევისათვის. თუ ომი მაინც დაიწყო, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ამას "რეგიონული უსაფრთხოებისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება". ბერლინი აგრეთვე შიშობს, რომ ერაყთან ომი ანტიტეროსტული კოალიციის ერთიანობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

გერმანიის შემდეგ ორი დიდი "პაციფისტის" - რუსეთისა და ჩინეთის ჯერი დადგა. იგორ ივანოვის თქმით, მიზანშეუწონელია ომის დაწყება იმ პირობებში, როდესაც ტერორიზმი საბოლოოდ დამარცხებული არ არის. "ამ კონტექსტში ჩვენ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიან მოგვარებას," – განაცხადა მან.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტან სიაძუანმა კი განაცხადა, რომ 27 იანვარს ინსპექტორების მიერ უშიშროების საბჭოსთვის მოხსენების წარდგენა მათი მოღვაწეობის ახალი დასაწყისი უნდა იყოს და არა დასასრული.

ამერიკელები და მათი მოკავშირე ბრიტანელები, ასეთი დიპლომატიური შემოტევის შემდეგ, სახტად დარჩნენ. ლონდონი და ვაშინგტონი თითქმის დარწმუნებული იყვნენ, რომ, გასულ შემოდგომაზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებით, გაერო-ში საქმე მოთავებული იყო. ორივე ქვეყანა ინტენსიურად ემზადება ომისათვის.

გუშინ აშშ-მ განაცხადა, რომ ყურეში კიდევ 37 ათასი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას იწყებს. 30 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის შესახებ განაცხადა დიდმა ბრიტანეთმაც.

ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე მათგანი აპირებდეს, ამოდენა არმია სპარსეთის ყურეში უქმად დიდხანს ამყოფოს. ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აცხადებს, რომ ერაყისათვის დრო იწურება. ამავეს ამბობს ლონდონი. ორივე ქვეყნის მტკიცებით, სადამმა გაუშვა შანსი, რათა დაერწმუნებინა მსოფლიო, რომ მართლაც განიარაღდა.

თუმცა, ასე არ ფიქრობენ საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი და რუსეთი. ისინი ამტკიცებენ, რომ ინსპექტორთა მისია ერაყში იქამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ ან იარაღს არ იპოვიან, ან ნათელი არ გახდება, რომ ბაღდადს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამები შეჩერებული აქვს. მისიის ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი ამტკიცებს, რომ პასუხს კითხვაზე, გააჩნია თუ არა ერაყს აკრძალული იარაღი, შეიძლება კიდევ ერთი წელი დასჭირდეს.

საეჭვოა, რომ ლონდონმა და ვაშინგტონმა ამდენი ხანი მოითმინონ.

# უსაფრთხოების სტრატეგია ახალი ეპოქისათვის

პირველი გვერდიდან

უკვე აღარავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მოდის დამკანონებლად იქცა. აქედან გამომდინარე, აშშ-ს უშიშროების კონცეფცია, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციისეულ მსოფლიოს ხედვასა და მისი საგარეო პოლიტიკის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს, მრავალი სახელმწიფოსათვის არის ყურადსაღები.

ექსპერტთა აზრით, ახალი კონცეფცია პირველი დოკუმენტია, რომელმაც რეალურად ჩაანაცვლა 1950 წელს გამოქვეყნებული კონცეფცია. ხსენებული დოკუმენტი დეტალურად აღწერდა, თუ რატომ და როგორ უნდა ემოქმედა აშშ-ს ცივი ომის პირობებში. ამ ტექსტში პირველად გაიჟღერა ისეთმა ტერმინებმა, როგორიცაა "დაშინებისა და შეკავების პოლიტიკა", რომლებიც ცივი ომის პერიოდის სიმბოლოდ იქცნენ.

### უნივერსალური ფასეულობები

პირველი, რითიც ახალი დოკუმენტი გამოირჩევა, მისი გულახდილობაა. მანამდე გამოქვეყნებულ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტს არ ულიარებია ამერიკის შეერთებული შტატების ერთპიროვნული ჰეგემონია და არ გამოუცხადებია ამერიკული ფასეულობები ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებად! "ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს სურს: თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, თავად აირჩიოს საკუთარი მმართველი, ილოცოს საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად, განათლება მისცეს შვილებს - ქალსა თუ ვაჟს, ფლობდეს ქონებას და ისარგებლოს საკუთარი შრომის მონაგარით". ეს ფასეულობები, რომლებიც თავისთავად ლიბერალური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს, უნივერსალურად გამოცხადდა. მათ დასაცავად აშშ მზადაა, რომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება.

### ახალი საფრთხეების წყაროები

" მხარდაჭერის გზით გავავრცელებთ მშვიდობას თავისუფალი და ღია საზოგადოებების ყველა კონტინენტზე ". სწორედ თავისუფალი და ღია საზოგადოებების ნაკლებობით ხსნის დოკუმენტი გლობალური ტერორიზმის საფრთხის არსებობას. ამ განცხადებით, ფაქტობრივად, უარყოფილია ცივილიზაციათა შეჯახება, როგორც ტერორიზმის საფუძველი. ამის დასტურად, დოკუმენტი მიუთითებს, რომ ძლიერ სახელმწიფოთა ტრადიციულ დაპირისპირებას ბოლო მოეღო. შესაბამისად, ძირეულად შეიცვალა დაპირისპირების პარადიგმა და მისი ხასიათი - ახალ ეპოქაში არა ცივილიზაციის ცენტრები, არამედ პატარა სახელმწიფოები და არასახელმწიფო სტრუქტურები შეიძლება იქცნენ საფრთხის ძირითად წყაროებად.

### დამსწრები ქმედებები

ამ საფრთხეებთან გასამკლავებლად კონცეფცია სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: დამსწრები ქმედებები (preemption), როგორც სტრატეგიული აუცილებლობა; ამერიკის სამხედრო ჰეგემონიის შენარჩუნება და ძველი ტერმინის - "ძალთა წონასწორობის" ახლებური ინტერპრეტაცია.

ჩვეულებრივი შეიარაღების პირობებში პირველი, დამსწრები დარტყმის მიყენება ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებლად ითვლებოდა. ბირთვული იარაღის გამოგონების შემდეგ დამსწრები ქმედებების ალბათობა გაიზარდა. საბედნიეროდ, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა საშუალება მისცა დაპირისპირებულ მხარეებს თავიდან აეცილებინათ მოვლენათა ამგვარი განვითარების შესაძლებლობა. ახალი საფრთხეების ანუ საერთაშორისო ტერორიზმის პირობებში კი დამსწრები ქმედება, მართლაც, სტრატეგიულ აუცილებლობად იქცევა, რამეთუ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ღია საზოგადოების წყალობით, ერთ პიროვნებას ან პირთა ჯგუფს ქვეყნისათვის აუნაზღაურებელი ზარალის მიყენება შეუძლია. თანაც, დამნაშავე ხშირად არ არის კონკრეტული სახელმწიფო, რაც მის დასჯას ართულებს (გავიხსენოთ "ალ ქაიდა" და მისი ლიდერი ოსამა ბინ ლადენი).

### სამხედრო ჰეგემონია

"ჩვენი სამხედრო ძლიერება საკმარისი იქნება პოტენციურ მოწინააღმდეგეთა დასარწმუნებლად, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ ამერიკელთა თანაბარი ან მასზე უკეთესი სამხედრო ძალის მშენებლობის იმედი". თუ გავითვალისწინებთ აშშ-ს ამჟამინდელ სამხედრო ძლიერებას და იმ ფაქტს, რომ უახლოეს 15 წელიწადში არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ შეუძლია ანალოგიური პოტენციალის შექმნა, სხვების მიერ მნიშვნელოვანი სამხედრო ხარჯების გაწევა უაზრობად მოგვეჩვენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიმე ქვეყნის მიერ საკუთარი სამხედრო პოტენციალის ზრდა სხვა ქვეყნებზე დომინირების მიზნით, აზრს კარგავს. ამან კი მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს მრავალი ქვეყნის სამხედრო ხარჯები. საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი პრობლემა, ე.წ."უსაფრთხოების დილემა", ანუ მეზობლების შიშით სამხედრო ხარჯების მუდმივი ზრდა კი მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ეფექტი მხოლოდ სახელმწიფოებზე გავრცელდება და არ მოიცავს ქვეყნის შიდა კონფლიქტებს.

### ძალთა წონასწორობა

აშკარად რევოლუციურია ამერიკელთა შეხედულება "ძალთა წონასწორობაზე". დღეს უკვე აშკარაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა მრავალპოლუსიან, არამედ უფრო ორპოლუსიან მსოფლიოში, სადაც ერთ მხარეს იმყოფება აშშ, მეორე მხარეს კი - დანარჩენი მსოფლიო, რომელიც მრავალ "ძალთა გლობალური ცენტრის" გარშემო ერთიანდება. ხსენებულ "ძალთა გლობალურ ცენტრებში" განიხილება ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. დოქტრინა გვამცნობს: "2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა საფუძვლიანად შეცვალა აშშ-სა და სხვა ძირითად გლობალურ ძალთა ცენტრებს შორის ურთიერთობების შინაარსი და გზა გაუხსნა ახალ, ფართო შესაძლებლობებს. ჩვენს დიდი ხნის მოკავშირეებთან ევროპასა და აზიაში, ასევე, რუსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის ლიდერებთან ერთად, უნდა განვავითაროთ აქტიური თანამშრომლობა". ასეთი მიდგომა ძირეულად ცვლის "ძალთა წონასწორობის" ძველებურ ინტერპრეტაციას და გვთავაზობს ახალ ფორმატს: "ძალთა წონასწორობა, რომელიც მიმართულია მშვიდობისაკენ". კოალიციებისა თუ ალიანსების შექმნის საფუძვლად სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება კი არა, ისეთი საერთო პრობლემები განიხილება, როგორებიცაა ტერორიზმთან ბრძოლა, ეკონომიკური, ჯანდაცვის, ბუნების დაცვის, მიგრაციისა და სხვა ასეთივე სერიოზული საკითხები.

### რეგიონული კონფლიქტები

ცივი ომის შემდგომი პერიოდის ძირითად მახასიათებლად იქცა არა სახელმწიფოთაშორისი ომები, არამედ დეზინტეგრაციული პროცესები სახელმწიფოების შიგნით და ამის შედეგად ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე გაჩაღებული სისხლისმღვრელი შიდაომები. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება უძლური აღმოჩნდა ამ პრობლემის წინაშე. შედეგად კი მივიღეთ მრავალი დასუსტებული სახელმწიფო. ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად შეარყიეს მსოფლიოს უსაფრთხოება და მრავალ მანკიერ მოვლენას მისცეს გასაქანი (მათ შორის, ტერორიზმს). კონცეფცია სრულად აცნობიერებს ამ საფრთხეს და კონკრეტულ ქმედებებსაც სახავს, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით: "შეერთებულმა შტატებმა რეალისტურად უნდა შეხედოს საკუთარ შესაძლებლობებს. დაეხმაროს მათ, ვისაც სურს და მზად არის, დაეხმაროს საკუთარ თავს. ქვეყნები, რომლებიც დროზე ვერ გააცნობიერებენ ამ სიახლეს, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ან სამხედრო ქმედებების მსხვერპლნი გახდებიან (ერაყი), ან, დავიწყებულნი, უსასრულო ქაოსსა და სიღარიბეში ჩაიძირებიან (აფრიკის მრავალი სახელმწიფო)."

### გლობალიზაცია

კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ თემატიკას, რომელიც, ძირითადად, გლობალიზაციის პროცესს უკავშირდება. კომუნიკაციების რევოლუციურმა განვითარებამ გლობალიზაცია შეუქცევადი გახადა. დღეისათვის არ დარჩა არც ერთი ქვეყანა, რომელზეც ეს პროცესი გავლენას არ ახდენს. განვითარებული სახელმწიფოები, რომელთა სათავეშიც აშშ იმყოფება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ გლობალიზაციის ტენდენციებს. შესაბამისად, კონცეფციაში ასახული საბაზრო ეკონომიკის გავრცელების პრიორიტეტი მნიშვნელოვანი სიგნალია სუსტი და განვითარებადი სახელმწიფოებისთვის. დოკუმენტის მიხედვით: "ისტორიის გაკვეთილები ნათლად გვიჩვენებენ, რომ საბაზრო და არა გეგმური ეკონომიკა, არის საუკეთესო გზა კეთილდღეობისაკენ და სიღარიბის დაძლევისაკენ. პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საბაზრო სტიმულებისა და ინსტიტუტების გაძლიერებისკენ, მიესადაგება როგორც განვითარებული, ისე გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას". გლობალიზაცია არა მარტო უარყოფით ტენდენციებს შეიცავს, არამედ შესაძლებლობებს ქმნის, რომ, ეფექტური სახელმწიფო მართვის შემთხვევაში, მცირე ქვეყნებმაც მაქსიმალური სარგებელი ნახონ. გლობალიზაციამ უნდა აიძულოს გარდამავალ პერიოდში მყოფი სახელმწიფოები, დროზე გაატარონ სათანადო რეფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაძლიერებული კონკურენცია ამ სახელმწიფოებს ულარიბესთა კატეგორიაში დატოვებს.

### ძირითადი ტენდენციები

ყველა კონცეფციის ცხოვრებაში გატარებას დრო სჭირდება, მაგრამ უკვე დღეს შეგვიძლია საუბარი იმ ტენდენციებზე, რომლებიც უკვე აშკარად გამოიკვეთა ან ამჟამად იკვეთება:

თანამედროვე მსოფლიოში ძნელია მოიძიო ადამიანი, რომელიც აშშ-ს მიმართ ინდიფერენტულია. ყველა სახელმწიფო და მათი მოსახლეობა, მეტნაკლები ინტენსივობით, ან პროამერიკულია, ან ანტიამერიკული. ანტიამერიკანიზმი უკვე აერთიანებს მრავალი ჯურის ადამიანს, დაწყებული ტერორისტებით და ანტიგლობალისტებით დამთავრებული. უკვე პარადოქსიც აღარ არის, როცა გერმანიის (!) კანცლერი, არჩევნებს ანტიამერიკული რიტორიკით იგებს;

ამერიკის მოკავშირეთა შორის ევროპის ექსკლუზიური როლის დაკნინება ევროპული საგარეო პოლიტიკის აშშ-ს საგარეო პოლიტიკისგან მნიშვნელოვან დაშორებას გამოიწვევს. მაგალითისთვის ახლო აღმოსავლეთის მიმართ დამოკიდებულებაც კმარა;

აშშ-ს ჰეგემონია აკნინებს საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობას და ეფექტურობას. ამერიკის გარეშე ყველა მათგანი არასრულყოფილი და ეკონომიკურად მყიფეა. მაგალითისთვის, თუ აშშ წარმატებით განახორციელებს ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიას, ნატო-ს როლი შეიცვლება. გაერო კი, თავისი ცივი ომის დროინდელი უსაფრთხოების საბჭოთი, უფრო ჰუმანიტარული ხასიათის პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების ფორუმად იქცევა;

ამერიკის პრიორიტეტების შესაბამისად შეიცვლება საგარეო დახმარების პრიორიტეტებიც. ძირითადი აქცენტები გაკეთდება ანტიტერორიზმზე, ბირთვული ტექნოლოგიებისა და რადიაქტიური მასალების გაუვრცელებლობაზე, რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაზე, დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე. მეტი მნიშვნელობა მიენიჭება სამხედრო კომპონენტს.

■ ■ ■

ერთი შეხედვით, მოვლენათა ხსენებული სცენარებით განვითარებამ მსოფლიო მეტი კონფრონტაციისაკენ უნდა წაიყვანოს. თუმცა, თუ შედეგი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ორპოლუსიანი სისტემა იქნება, გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისითა და არც თუ ისე შორეულ ისტორიაზე დაყრდნობით, საკმაოდ სტაბილური მსოფლიო შეიძლება მივიღოთ. ამასთანავე, კონცეფციის ავტორთა განცხადებით, მათი მიზანია არა მარტო უსაფრთხო, არამედ უკეთესი მსოფლიოს მშენებლობა.

რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი საქართველოზე. მკითხველს ადვილად შეუძლია, თავად იპოვოს ამაზე პასუხი. ის კითხვა კი, თუ რა ორიენტაციის უნდა იყოს საქართველო, შეიძლება სასაცილოდაც ჟღერდეს. თუმცა, ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი გთავაზობთ 24 საათიან სააბონენტო მომსახურებას?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.

გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

# "მაიკროსოფტი" მზადაა კოდი გამოაქვეყნოს

*მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია "მაიკროსოფტი" მზადაა "უინდოუზის" კოდის თაობაზე აქამდე გასაიდუმლოებული ინფორმაცია მიაწოდოს მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.*

თორნიკე შარაშენიძე

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით არის განპირობებული. მან კომპანიას უბრძანა "უფრო საჯარო გაეხადა თავისი პროგრამული კოდები." მაგრამ სინამდვილეში მართლმსაჯულების განაჩენი აქ არაფერ შუაშია, რადგან იგი კოდის კონკურენტებისათვის მიწოდებას ითხოვდა. "მაიკროსოფტი" კი, საკუთარი გადაწყვეტილებით, კოდს სამთავრობო სააგენტოებს აწვდის და არა კერძო კომპანიებს. იმთავითვე ნათელია, რომ "მაიკროსოფტის" ამ ნაბიჯში პრაგმატული გათვლები და მიზნები უფრო მეტია. ბილ გეიტსის კომპანიის მხრიდან ეს არის კონკურენტების ჩამოშორებისა და სამთავრობო ბაზარზე პოზიციების გამაგრების მცდელობა. "მაიკროსოფტი" სამთავრობო სააგენტოებს საშუალებას აძლევს, აითვისონ "უინდოუზის" კოდები და ამით უფრო უსაფრთხო გახადონ თავიანთი პროგრამული უზრუნველყოფა. როგორც ახლა ირკვევა, ნატო-მ და რუსეთმა უკვე გამოთქვეს კოდის ათვისების სურვილი. ამის გარდა, "მაიკროსოფტის" განცხადებით, მოლაპარაკებები დაწყებულია კიდევ 60 ქვეყნის მთავრობასთან.

"მაიკროსოფტის" ეს გადაწყვეტილება ჯერ დიდ სიურპრიზად აღიქვეს, რადგან ანტიმონოპოლიური პროცესის დროს კომპანია ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა კოდის გამოქვეყნებას. თუ გავითვალისწინებთ, რა სერიოზული დაწოლის ქვეშ იმყოფებოდა "მაიკროსოფტი" იმ კონკურენტების მხრიდან, რომლებიც უფასოდ სთავაზობდნენ თავიანთ პროდუქციას მომხმარებლებს, მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება. სულ ახლახანს რამდენიმე წამყვანმა სახელმწიფომ საკუთარი პროგრამული სისტემების გასამართად "ლინუქსის" გამოყენება გადაწყვიტა, რომელიც უფასო და ღიაა ყველასათვის მიუწვდომელი "უინდოუზისგან" განსხვავებით. ეს საბოლოო სიგნალად იქცა ბილ გეიტსისათვის, რათა მას კოდზე ყადაღა აეხსნა.

დაახლოებით ამგვარი ნაბიჯი "მაიკროსოფტმა" 2000 წელსაც გადადგა, როცა კოდზე ინფორმაცია ახსნა საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტებისათვის. თუმცა, მაშინ ამ უკანასკნელთ კოდის მხოლოდ გამოყენების უფლება ჰქონდათ და არა შეცვლა-მოდიფიცირებისა, რისი უფლებაც ახლა უკვე გააჩნიათ.

## მოკლედ

**თბილისი.** ს.ს. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა ადასტურებს ინფორმაციას დივერსიის შესახებ იმ ძირითად და სარეზერვო გაზსადენზე, რომლითაც საქართველო და სომხეთი ბუნებრივ აირს იღებს. ცაავას თქმით, ეს ინფორმაცია მოსკოვში აქამდეც დასტურდებოდა; თუმცა, დეტალები არ გახმაურებულა. რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვა საავარიო ბრიგადას აფეთქებიდან მხოლოდ ორი დღის შემდეგ მისცა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქების მიზეზი, შესაძლოა, ძირითადი გაზსადენის ქვეშ დადებული ტროტილი გამხდარიყო. "სალიკვიდაციო სამუშაოები უფრო დიდხანს, მინიმუმ კვირის ბოლომდე გაგრძელდება", - აღნიშნა ცაავამ. მისი თქმით, გაზსადენის მწყობრში ჩაყენების შემდეგ დედაქალაქის დასატვირთად საქალაქო სამსახურს მინიმუმ 2 კვირა დასჭირდება. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილისის ზამთრის გათბობის პროგრამისთვის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მიერ გამოყოფილი 2.700 ათასი დოლარი „ეი-ი-ეს თელასმა" კომპანიის ლონდონის ანგარიშზე გადარიცხა," - აცნობა „მედია-ნიუსს" კარგად ინფორმირებულმა წყარომ, რომლის თქმითაც, ამის გაკეთება დაუშვებელი იყო, რადგან თანხა საქართველოში უნდა დარჩენილიყო. როგორც „მედია-ნიუსს" ამ ფაქტის კომენტირებისას „ეი-ი-ეს თელასში" განუცხადეს, თანხა კომპანიას ეკუთვნის და გადარიცხვის საკითხიც მისი გადასაწყვეტია. შეგახსენებთ, რომ USAID-ის მიერ ზამთრის პროგრამის დასაფინანსებლად განკუთვნილი 5 მლნ დოლარით უნდა დასრულებულიყო თბილისში გამრიცხველიანება და საწვავის შესყიდვა. პროგრამის დაწყებამდე USAID-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავად გააკონტროლებდა თანხების მოძრაობას და იმას, თუ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა იგი. „ეი-ი-ეს თელასში" არ ადასტურებენ იმას, რომ ამ თანხით გამრიცხველიანება უნდა დასრულებულიყო. „ნურავის ჰგონია, კომპანიას რაიმე მოგება აქვს. პირიქით, ვალებში იხრჩობა, რადგან ყველა კრიზისულ ვითარებაში კრედიტის აღება კომერციული ბანკებიდან უხდება," – განაცხადეს კომპანიაში. ამ საკითხზე უფრო ვრცელ კომენტარს "ეი-ი-ეს თელასში" უახლოეს დღეებში გააკეთებენ. **"მედია-ნიუსი."**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების" ლიკვიდაციის საკითხს უახლოეს მომავალში განიხილავენ სახელმწიფო მინისტრთან. ქონების მართვის სამინისტროში ავიაკომპანიის გაუქმება აუცილებლად მიაჩნიათ. სამინისტროს ცნობით, ავიაკომპანიის ფინანსური მდგომარეობა ბოლო პერიოდში გაუარესდა, რადგან მას, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანებების დაფარვა აღარ გადაუვადდება. ავიაკომპანია რეისებს ახალი წლიდან აღარ ასრულებს. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში ამ რეისებს სხვა ავიაკომპანიებზე ანაწილებენ. სოჭის, თეირანის, სიმფეროპოლი-ოდესის მიმართულებით, სავარაუდოდ, ავიაკომპანია „საქავიასერვისი" იფრენს. პრაღის მიმართულებით რეისის შესრულებაზე მოლაპარაკებებს ავიაკომპანია „აირზენასთან" აწარმოებენ. „საქართველოს ავიახაზების" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბადრი ახალაძემ განაცხადა, რომ ავიაკომპანია ლიკვიდაციამდე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ მიიყვანა. **"მედია-ნიუსი."**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულო 24-25 იანვარს, გუდაურში დაგეგმილ გასვლით სხდომაზე, დედაქალაქის ბიუჯეტის ფორმირების საკითხებზე იმსჯელებს. როგორც „მედია-ნიუსს" საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა განუცხადა, ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა შეხვედრები დაასრულეს საქალაქო სამსახურებთან და რაიონულ გამგეობებთან. მისი ინფორმაციით, გუდაურში საკრებულო განიხილავს ბიუჯეტის პროექტის თითქმის დასრულებულ ვარიანტს. ბექაურის თქმით, დედაქალაქის ბიუჯეტი წელს იმ პროგრამებს დააფინანსებს, რაც მნიშვნელოვანია. მერია და საკრებულო თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდას 164 მლნ-დან 200 მლნ ლარამდე აპირებენ. გასვლით სხდომას „ენდიაი" (ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი) დააფინანსებს და მას, სავარაუდოდ, თბილისის რაიონებიდან პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატებიც დაესწრებიან. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** არძინბას ხელისუფლების მიერ აფხაზეთში ტყეების მასობრივი ჩეხვა ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო. შარშან გაჩეხილი ტყეების მასივმა 50 ათას კუბურ მეტრს მიაღწია, წლეულს კი 61 ათას 800 კუბური მეტრის ტყის განადგურებას აპირებენ, რადგან აფხაზეთის ბიუჯეტის 30 პროცენტი სწორედ ხე-ტყის ექსპორტით სულდგმულობს. სეპარატისტებს ხე-ტყე თურქეთში გააქვთ, საიდანაც იგი ევროპაში გადის. ჯერ კიდევ 1999 წელს არძინბას ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხე-ტყის ექსპორტისა და ტყის კანონზომიერი ჩეხვის საკითხი უნდა გამოეკვლია. კომისიამ დაასკვნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მოშიშვლებულია. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგოსექტორში არსებულ დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია. მის თავმჯდომარედ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი დაინიშნა. უკანასკნელი ოფიციალური მონაცემებით, ენერგოსექტორში დავალიანებამ 1 მლრდ ლარს გადააჭარბა. დავალიანების ნახევარზე მეტი დარიცხულ ჯარიმებსა და საურავებზე მოდის. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ბიზნეს-კონფედერაციის ხელმძღვანელი ფადი ასლი ითხოვს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების ამოქმედების ვადის გადაწევას. ცვლილებები, რომლებიც ძალაში მიმდინარე წლის 1 მარტს უნდა შევიდეს, ქვეყნის ბაზარზე გამოტანილ იმპორტირებულ საქონელზე აუცილებელი ინფორმაციის ქართულ ენაზე მითითებას ითვალისწინებს. ფადი ასლი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება, ეს განხორციელდეს დროის მცირე მონაკვეთში, რადგან იმპორტიორები მათ მომზადებულნი უნდა შეხვდნენ. ფადი ასლის პოზიციას ეთანხმება ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძეც. **"ინტერ-პრესი"**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 16 - 22 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6211 | 0.883 | 0.0052 |
| US$ | 1.6101 | | 1.0675 | 0.0084 |
| Euro | 1.5083 | 0.9368 | | 0.0079 |
| Yen | 190.89 | 118.56 | 126.56 | |

2003 წლის 22 იანვრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3237 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.5067 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5907 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1850 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3179 ლარი |
| იაპონური იენი | 1 | 0.1835 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0687 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4458 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3754 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0964 ლარი |

# ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ხელშეკრულებებს აუქმებს

ნინო ნარჩემაშვილი

**"2003 წლის იანვრიდან სახელმწიფო წილის მქონე ელექტროგენერაციის ობიექტებთან გაფორმებული ყველა პირდაპირი ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება და შეჩერდება ახალი კონტრაქტების გაფორმება. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოთხოვნით, მომხმარებელსა და გენერაციის ობიექტებს შორის ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ საბითუმო ბაზრის საშუალებით იწარმოებს,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის დირექტორმა ალბერტო სოლისმა. მისივე ინფორმაციით, დღეისათვის ე. წ. პირდაპირი ხელშეკრულებების რიცხვი 68-ს აღწევს, რაც ნიშნავს, რომ წარმოებული ელექტროენერგიის 38 პროცენტი საბითუმო ბაზრის გარეთ გაედინება, არ კონტროლდება და საბოლოო ჯამში თანხები იკარგება.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ამ ორგანიზაციებს წერილობითი შეტყობინება უკვე გაუგზავნა და აცნობა, რომ პირდაპირი ხელშეკრულებები მხოლოდ არსებულ წესებთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ და იმ შემთხვევაში გაფორმდება, თუ: მომხმარებელს არ ექნება ელექტროდავალიანება, გადახდები იწარმოებს საბითუმო ბაზრის სატრანსფერო ანგარიშის გავლით და დაცული იქნება მაქსიმალური გამჭვირვალობა. ალბერტო სოლისის განცხადებით, რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი კვლავ საკმაოდ დაბალი რჩება, რაც დარგის ფინანსურ მდგომარეობას უკიდურესად ამძიმებს. არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად პრეზიდენტის განკარგულება სახელმწიფო წილით მომუშავე საწარმოებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 100 პროცენტიან გადახდას ავალდებულებს. ესენია: ფეროშენადნობთა ქარხანა, ჭიათურმანგანუმი, მადნეული, ფოთის პორტი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილგანათება, თბილწყალკანალი, მეტროპოლიტენი, ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო და ტყიბულის საქნახშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებათ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ალბერტო სოლისი

საბითუმო ბაზრის დირექტორის განცხადებით, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მხრივ ძირითად პრობლემას კვლავ აფხაზეთი წარმოადგენს, რადგან თანხები საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში არ შემოდის და რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურს მთავრობა ბიუჯეტიდან ანაზღაურებს. 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ეს თანხა 21 მილიონ ლარს შეადგენს.

ალბერტო სოლისი აცხადებს, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასთან ერთად მუშაობს ახალ კანონპროექტზე, რომელიც დაახლოებით ორ თვეში იქნება მზად. კანონპროექტის ამოქმედება კი ხელს შეუწყობს გენერაციის ობიექტებზე ელექტროენერგიის საფასურის თანაბრად გადანაწილებას, თანხების დაფარვისა და დატაცების აღმოფხვრას, შესაძლებელს გახდის დარგის ფინანსურ რეაბილიტაციას. პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ახალი კანონის ამუშავებამდე აღნიშნული 68 ობიექტი ვალდებულია მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, მიუხედავად გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებისა, საბითუმო ბაზრის მეშვეობით გადაიხადოს.

# რუსეთმა აფხაზეთის თანდათანობითი ანექსიის სცენარის განხორციელება დაიწყო

"როსტელკომი" სოხუმი-სოჭის პირდაპირი სატელეფონო კავშირის აღდგენას გეგმავს

პირველი გვერდიდან

– აცხადებს კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე. მისი განმარტებით, "საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების" ("აი-თი-იუ") მიერ დადგენილი სტანდარტებით, მეზობელი ქვეყნები ვალდებულნი არიან, საკუთარი სიხშირეები ერთმანეთს შეუთანხმონ, რომ არ მოხდეს ერთმანეთის სიგნალების ჩახშობა. თუმცა, ამ შემთხვევაში, სამსახურმა "შეცდომით" ბიჭვინთა "კრასნოდარის მხარედ", ხოლო ბიჭვინთის სადგური – "როსტელკომის" კუთვნილად მონათლა.

**"პროცედურის მიხედვით, ჩვენ ვუგზავნით ხოლმე მათ დადასტურებას, რომ თხოვნა შემოსულია. რაც შეეხება კომისიის დასკვნას – უარს ან დასტურს, ამას 4 თვის ვადაში ვუგზავნით. უარს არგუმენტაცია სჭირდება. გარდა ამისა, 4 თვეში თუ პასუხი არ მივიდა, ავტომატურად დადასტურებულად ითვლება,"** – აცხადებს ვახტანგ აბაშიძე.

**"ეს მომართვა - ჩვეულებრივი პროცესია და იგი გარკვეული პერიოდულობით მეორდება მეზობელ ქვეყნებს შორის. სერიოზული პრობლემა რუსული სახელმწიფო ორგანიზაციის ოფიციალურ განაცხადში ბიჭვინთის რუსულ, უფრო კონკრეტულად კი – კრასნოდარის მხარის ტერიტორიად დაფიქსირებამ შექმნა. ალბათ, რუსეთს სურს, შეგვაჩვიოს ოფიციალურ დოკუმენტაციაში აფხაზეთის საკუთარ ნაწილად მოხსენიებას",** - აცხადებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე გიორგი კაკუბერი და ამ შემთხვევას, რუსეთისგან განზრახ დაშვებულ უზუსტობად მიიჩნევს. იგი დაუკავშირდა რუსეთის რადიოსიხშირეთა სამსახურის რადიოსარელეო ხაზების დეპარტამენტის უფროსს ვლადიმირ პოლიაკოვს, რომელიც ამ ვითარებაში გარკვევას და "შეცდომის გამოსწორებას" დაჰპირდა. მინისტრის მოადგილის თქმით, არაოფიციალურ საუბრებში პოლიაკოვი და მისი მოადგილე ბიჭვინთის რუსულ ქალაქად მონათვლის "აღმოჩენამ" საკმაოდ გაახალისა. საბოლოოდ, გუშინ, სამუშაო დღის ბოლომდე, რუსეთის რადიოსიხშირეთა სამსახურმა შეცდომა მართლაც გამოასწორა და ქართულ მხარისთვის ხელმეორედ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ბიჭვინთა საქართველოს ტერიტორიად აღიარა.

თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ რუსეთი აფხაზეთის კავშირგაბმულობის სივრცის საკუთარი ფედერაციის სივრცესთან ინტეგრირებას ცდილობს, საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიაში შემაშფოთებლად მიაჩნიათ. "მოსტელკომი", რომელმაც ბიჭვინთის სადგური უნდა აამოქმედოს, 100 პროცენტით სახელმწიფო კომპანიაა.

**"ეს რუსეთის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკაა, რომლის კოორდინაცია ხდება და ეს კომპანიაც ასრულებს სახელმწიფო მითითებას. ჩვენ, ნორმალური ურთიერთობების შემთხვევაში, შეიძლება, ეს გაპარულ შეცდომად ჩაგვეთვალა. მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არ არის,"** – აცხადებს ვახტანგ აბაშიძე და იხსენებს, რომ ადრე იმავე სამსახურმა კრასნოდარის მხარის ნაწილად ბიჭვინთის შუქურა მონათლა. როცა მისი კოდის შეცვლას ითხოვდა, ის რუსეთის ფედერაციის კუთვნილი შუქურების ნუსხაში მოიხსენია. მაშინ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია. უბრალოდ, რუსეთს "კრასნოდარის მხარე" "საქართველოთი" შეაცვლევინეს.

ამჯერად კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ამ ნაბიჯის მიღმა სხვა პროცესებს ხედავს. ის მიიჩნევს, რომ ეს საკითხი უკვე სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას საჭიროებს. **"ბიჭვინთაში რადიოსარელეო ხაზის სადგურის ამოქმედება საერთაშორისო, საქალაქთაშორისო სატელეფონო თუ სხვა ინფორმაციული ნაკადის აფხაზეთის რეგიონიდან (საქართველოს სატელეკომუნიკაციო სამსახურების გვერდის ავლით) რუსეთის ფედერაციაში და პირიქით, გადადინების შესაძლებლობას შექმნის,"** – მიიჩნევს კომისია და აპირებს, მიმართოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირს, **"რათა არ მოხდეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სამსახურის არაკანონიერი მცდელობის ოფიციალური აღიარება".**

**"ჩვენ ვეტყვით მათ არგუმენტირებულ უარს. თუ უკანონოდ გააკეთებენ, საქართველომ ისეთივე ბერკეტები და ხერხები უნდა გამოიყენოს, რასაც რუსეთი იყენებს. ზუსტად ისეთივე მტკივნეული მექანიზმები უნდა გამოიძებნოს,"** – აცხადებს ვახტანგ აბაშიძე.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის გიორგი კაკუბერის თქმით კი, ტექნიკური თვალსაზრისით, ეს ფაქტი არანაირ სიახლეს არ შეიცავს. რუსეთი საქართველოს ადლერი-ბიჭვინთის იმ რადიოსარელეო ხაზის სიხშირეების შეთანხმებას სთხოვდა, რომელიც კარგა ხანია არსებობს. ეს რადიოსარელეო ხაზი სარეზერვო ფუნქციას ასრულებს აფხაზეთის გარე სამყაროსთან დაკავშირების უზრუნველყოფისას. **"1997 წლიდან აფხაზეთი საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირს შემდეგი სქემით ამყარებს: სოხუმი-გუდაუთა-ადლერი-ნოვოროჟდენსტვენსკოე-პიატიგორსკი-არდონი-ყაზბეგი-თბილისი. ამ გზით, აფხაზეთიდან თბილისში შემობრუნებული ტრაფიკი "საქართველოს ტელეკომის" მეშვეობით გადიოდა ნებისმიერ ქვეყანაში. ადლერი-ბიჭვინთის სარელეო ხაზი კი ყოველთვის სარეზერვო დანიშნულების იყო და მას განსაკუთრებულ შემთხვევებში ვიყენებთ",** - განაცხადა კაკუბერმა. მისი ინფორმაციით, რუსეთის მიერ გამოგზავნილ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შემლახველ დოკუმენტს საერთაშორისო დონეზე ოფიციალური აღიარება არ უწერია. საქმე ის არის, რომ ქვეყნებს შორის სიხშირეთა გაკონტროლების თაობაზე მიღწეული შეთანხმება "აი-თი-იუ"-ს უნდა გადაეგზავნოს, ოფიციალური რეგისტრაციისა და აღიარებისთვის. მაგრამ რუსეთი პირველად შეთავაზებულ ვარიანტზე საქართველოსგან თანხმობას ვერ მიიღებს, შესაბამისად, "აი-თი-იუ"-ც არ სცნობს მას ოფიციალურად.

თუმცა, რუსული კომპანიების მხრიდან აფხაზეთის სატელეკომუნიკაციო სფეროსადმი სერიოზული ინტერესის არსებობას მინისტრის მოადგილე ადასტურებს. კაკუბერის თქმით, ორიოდე თვის წინ სამინისტრომ რუსულ-აფხაზური კომპანიისგან ოფიციალური თხოვნა მიიღო, აფხაზეთის ტერიტორიაზე GSM ქსელის მშენებლობისა და, შესაბამისად, 900-მეგაჰერციანი სიხშირის ლიცენზიის მიღების თაობაზე. ამ თხოვნას სამინისტრომ, ცხადია, უარით უპასუხა.

# ქართულ წარმოებას დამბლა დაეცა

ნინო ნარჩემაშვილი

*სახელმწიფო ძლიერია, თუ მას ძლიერი ეკონომიკა აქვს. ეკონომიკის სიძლიერეს კი მომგებიანი, რენტაბელური წარმოება და წარმატებული ბიზნესი ქმნის. საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობენ წარმატებული კომპანიები, მაგრამ მათი რიცხვი არც ისე დიდია. საწარმოთა უმრავლესობა გაჩერებულია და ხალხი – უმუშევარი. სახელმწიფო ბიუჯეტს თანხები აკლდება, ქვეყანას - საკუთარი პროდუქცია. მცირე და საშუალო ბიზნესი, კერძო წარმოება თუ მრეწველობა, რომელზეც ორიენტირებულია ეკონომიკურად ძლიერი ყველა ქვეყანა, საქართველოში ვერა და ვერ გახდა პრიორიტეტული.*

სააქციო საზოგადოება "ბახტრიონის" დირექტორი ზურაბ ბერიშვილი აცხადებს, რომ საწარმო, რომელიც საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა მსუბუქი მრეწველობის სფეროში, უკვე შვიდი წელია გაჩერებულია, ხოლო 700 თანამშრომელი - დაუსაქმებელი. მიზეზი კი მწარმოებლებისთვის უვარგისი საგადასახადო სისტემა, ელექტროენერგიისა და წყლის მაღალი სატარიფო გადასახადებია, რომლებიც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის წარმოების ამუშავებას. გარდა ამისა, არ კონტროლდება საზღვარი და კონტრაბანდული საქონელი განუკითხავად შემოდის ქვეყანაში, რაც ხელს უშლის შიდა წარმოების პროდუქციის ნორმალურ რეალიზაციას. ზურაბ ბერიშვილი აცხადებს, რომ გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდის შემთხვევაში შეუძლებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება და ის, ვინც წარმატებულად მუშაობს, აუცილებლად იპარავს. მისთვის წარმოუდგენელია, **"გადაიხადო 20 პროცენტი მოგებიდან – მოგების გადასახადი, საბალანსო ღირებულების ერთი პროცენტი – ქონების გადასახადი, ხელფასის მოცულობის 31 პროცენტი – სოციალური გადასახადი, მიწისა და საშემოსავლო დიფერენცირებული გადასახადები, დამატებითი ღირებულების გადასახადი და ყოველივე ამის შემდეგ წარმატებული ფუნქციონირება შეძლო"**. არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი კი, ზურაბ ბერიშვილის აზრით, სამამულო წარმოების პროდუქციისათვის პრიორიტეტის დაწესება და ცივილური, არამტაცებლური საგადასახადო სისტემის შექმნა გახლავთ.



იური მეჩითოვის ფოტო

გაჩერებული "პროგრესი"

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ქობულაშვილი არ იზიარებს საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებით გამოთქმულ ასეთ პოზიციას და აცხადებს, რომ გაჩერებული საწარმოების პრობლემა არა საგადასახადო სისტემაში, არამედ მომწოდებელთან (თუ მომხმარებელთან) საწარმოთა ხელმძღვანელობის შეუთანხმებელ მუშაობაში უნდა ვეძებოთ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოს განეკუთვნება შპს "პროგრესიც". საწარმოს დირექტორის შოთა დგებუაძის განცხადებით, მათი **"პროდუქცია, ძირითადად, შიდა და რუსეთის ბაზრებისათვის იყო განკუთვნილი. ახლა კი, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების უქონლობის გამო, ნედლეული ვეღარ შემოდის და საწარმო ექვსი წელია ვერ ფუნქციონირებს. დაუსაქმებელი დარჩა 115 თანამშრომელი. გადასახადები ხომ წარმოუდგენელი ცინიზმითაა გაზრდილი."** საწარმოს შენარჩუნება მხოლოდ მისი კუთვნილი ტერიტორიების გაქირავებით ხდება. შოთა დგებუაძე აცხადებს, რომ შპს "პროგრესმა" საკრედიტო ტენდერში გაიმარჯვა. ამასთან, "თი- ბი-სი ბანკს", მაშინდელი მმართველი პარტიის - "მოქალაქეთა კავშირის" - წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, საწარმოსათვის სესხი უნდა გამოეყო. მაგრამ თანხის გამოყოფა არ განხორციელდა ერთადერთი მიზეზის გამო – ბანკმა უკანონოდ მოითხოვა პროცენტის გადახდა, რაც, ფაქტობრივად, სესხისათვის განკუთვნილი თანხის ნახევარს შეადგენდა. გარიგება არ მოხდა და საწარმო ვერ ამუშავდა. საწარმოს დირექტორის განცხადებით, საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და საგადასახადო სისტემა სპეციალურად იმისთვისაა შექმნილი, რომ სამამულო წარმოება და მრეწველობა საბოლოოდ "დაიმარხოს".

# ზაიცევის მკვლელობის საქმე სასამართლოში გადაიგზავნა

თამარ კაკიტაძე

უახლოეს მომავალში უზენაეს სასამართლოში პოლკოვნიკ იგორ ზაიცევის განზრახ მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყება.

რუსი პოლკოვნიკის მეუღლის - ნატაშა ზაიცევას ჩვენებით, მისი ქმარი 2002 წლის 27 ივლისს გაუჩინარდა. დაახლოებით, დილის რვის ნახევარზე ზაიცევს მეუღლისთვის მისთვის უცნობი პიროვნების მანქანით სიდედრის ბინაში მოუკითხავს. ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ, ზაიცევი კვლავ იმ მანქანაში ჩამჯდარა და უთქვამს, "პროპორშჩიკი" სამსახურში მიმიყვანსო. მაგრამ, გამოძიების მტკიცებით, პოლკოვნიკი იმ დღეს სამსახურში არ მისულა.

პოლკოვნიკის გაუჩინარებიდან რამდენიმე დღეში ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში ერთ-ერთმა თანამშრომელმა - ლევან ნანიეშვილმა გამოძიებისთვის საგულისხმო ინფორმაცია მიიტანა. ნანიეშვილის ახლობლების - ცოლ-ქმარ გერრობ ავაქოისოვისა და ზინაიდა მოსოლოვას ჩვენებებით, ისინი 27 ივლისს, დაახლოებით, ცხრა საათიდან ათის ნახევრამდე ქიქიას ქუჩაზე გაჩერებულ ტყეში სეირნობდნენ. ამ დროს ცოლ-ქმარს რუსული სამხრეს ნიშნებიანი შუქი ფერის გაჩერებული მანქანა დაუნახავთ, რომლის გვერდითაც სამხედრო ტანსაცმელი ეგდო. ცოლ-ქმარს მიწის თხრის ხმა და სიტყვა "მე შოკი" გაუგიათ, მაგრამ ახალგაზრდა ნეველი ჭირნებით და ყურადღება არ მოუქცევიათ.

ზაიცევის გაუჩინარების შესახებ ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტის ნახვის შემდეგ, ცოლ-ქმარს რუსულნომრიანი მანქანა გახსენდა და საგულისხმო ინფორმაცია შტაბში მომუშავე ახლობელს აცნობა.

8 აგვისტოს, დასახელებულ ტყეში, გამოძიებამ მართლაც მიაგნო იგორ ზაიცევის გვამს. ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის თანახმად, სიკვდილი ქალა-ტვინის ღია ტრავმამ და თავის მრავლობითმა დაზიანებამ გამოიწვია. ამასთან, გარდაცვლილს სხეულის სხვა ნაწილებზე აღენიშნებოდა ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებები.

გვამის აღმოჩენიდან რამდენიმე დღეში, სამართალდამცველებმა ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში ზემდეგი, შტაბის უფროსის ადიუტანტი დავით გაზაშვილი დააპატიმრეს. თუმცა, მკვლელობაში ეჭვმიტანილ გაზაშვილს თავდაპირველად ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურატურამ ბრალად იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა წარუდგინა.



ეჭვმიტანილი თავდაპირველად იარაღის უკანონო შენახვა-შენახვისთვის დააკავეს

დის ოჯახში აღმოჩენილი იარაღი – ჩეხური წარმოების "მ-26" მოდელის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი და სხვა საბრძოლო მასალა რომ მას ეკუთვნოდა, გაზაშვილს არ უარყვია. პირიქით, აღნიშნულ დანაშაულში მან თავი დამნაშავედაც ცნო, რისთვისაც სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გამოძიებამ სწორედ ამ პერიოდში მოახერხა ზაიცევთან დაკავშირებით გაზაშვილის დაკითხვა. **"იგორ ზაიცევი შტაბში მუშაობის პერიოდში გავიცანი და მასთან მხოლოდ სამსახურებრივად ვიყავი დაკავშირებული,"** – განმარტა დაკითხვისას გაზაშვილმა და დასძინა, – პოლკოვნიკი ბოლოს ერთი თვის წინ ვნახეო.

გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ გაზაშვილს ავტომობილი "ფიატ-კრომა" ჰყავდა, სანომრე ნიშნით - FAS-722, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, იგი წლების განმავლობაში სამხედრო სანომრე ნიშნებით (05-05თო) დადიოდა.

მკვლელობაში არაოფიციალურად ეჭვმიტანილმა საკუთარ ავტომობილთან დაკავშირებითაც დამაფიქრებელი ჩვენება მისცა. **"ვინაიდან ეკონომიკურად მიჭირდა, 2002 წლის 1 აგვისტოს მანქანა ჩემთვის უცნობ მოქალაქეს მივყიდე (სამხედრო ნომრები, მეგობრების რჩევით, მტკვარში გადაუყრია). თუმცა, გაყიდვამდე, დაახლოებით, ათი დღით ადრე, ამ ავტომანქანასთან დაკავშირებით პრობლემა შემექმნა. რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, ასე, 20 ივლისი იქნებოდა, დილით, დაახლოებით, შვიდ საათზე, მგზავრები უნდა გადამეყვანა, რათა ფული მეშოვა. წინ წითელი ფერის "ჟიგული" გადამიდგა და იძულებული გავხდი, გავჩერებულიყავი. მანქანიდან მძღოლის გვერდით მჯდომი მამაკაცი გადმოვიდა და მითხრა: შენი მანქანა უნდა წავიყვანოთ და სამ-ოთხ საათში დაგიბრუნებთო. თანაც, დამემუქრა, ხმას თუ ამოიღებ, გაგამწარებთო. ავტომობილიდან გადმოვედი. მან მობილურის ნომერი გამომართვა. მე ქუჩაში დავიწყე სიარული. მრცხვენოდა იმის თქმის, რაც დამემართა და დასახმარებლად ვერავის მივმართე. დაახლოებით ორ საათში, მანქანის გამტაცებლები დამიკავშირდნენ და მითხრეს: მანქანა ვარკეთილის ბაზრობასთან არის და წაიყვანეო. ამის შესახებ არავისთვის არაფერი მითქვამს",** – აღნიშნა გაზაშვილმა.

გამოძიებამ გაყიდულ ავტომობილში სისხლის მაგვარი ლაქა აღმოაჩინა და სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზა დანიშნა. ექსპერტიზის დასკვნით, სისხლი AB მეორე ჯგუფს მიეკუთვნება, რაც ზაიცევის სისხლის ჯგუფს დაემთხვა.

გაზაშვილი და მისი ავტომობილი ამოიცნო ზაიცევის მეუღლემაც. ამ და სხვა მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ, გაზაშვილს განზრახ მკვლელობის ბრალდება წარუდგინეს, რაშიც მან თავი დამნაშავედ არ ცნო და დუმილის უფლება გამოიყენა. ამასთან, ბრალდებულმა უარი განაცხადა მოწმეებთან დაპირისპირებასა და სხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაზეც.

მოგვიანებით, გამოძიებით დადგინდა მკვლელობის მოტივიც. საქმის მასალების თანახმად, ვინაიდან ზაიცევი საქართველოში რუსეთის ჯარების წარმომადგენელი იყო, ამიტომ დავით გაზაშვილი მას რუსეთის მოქალაქეობის მიღებაში დახმარებას სთხოვდა, რის გარეშეც სამხედრო პენსიის დანიშვნას ვერ ახერხებდა.

გამოძიების პროცესში დაიკითხნენ გაზაშვილის დაცვის მიერ დასახელებული მოწმეებიც, მაგრამ, გამომძიებელ თამაზ ფირცხალავას მტკიცებით, მათი ჩვენებები თვით ბრალდებულის ჩვენებებთანაც კი არის წინააღმდეგობაში.

ერთი სიტყვით, საბრალდებო დასკვნის თანახმად, ზაიცევის მკვლელობის საბოლოო სურათი ასეთია:

დილით ზემდეგმა გაზაშვილმა საკუთარი ავტომობილით ზაიცევი სახლიდან წაიყვანა. ნახევარი საათით პოლკოვნიკმა მეუღლე მოინახულა, რომელიც სიდედრთან იყო, რის შემდეგაც იგი ზემდეგის მანქანით სამსახურში აპირებდა წასვლას. მაგრამ ცოტა ხანში მათ გამოძიებით დაუდგენელი პიროვნება დაემგზავრათ. გზაში გაზაშვილმა, რუსეთის მოქალაქეობის გამო, ზაიცევს ჩხუბი დაუწყო. კამათი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ამ დროს ზემდეგმა ბლაგვი საგანი აიღო, პოლკოვნიკს თავში ჩაარტყა და იგი მანქანაშივე მოკლა. გაზაშვილმა და იმ უცნობმა, კვალის დაფარვის მიზნით, გვამი ტყეში მიიტანეს, გახადეს ტანსაცმელი და ხის ძირში დამარხეს.

თუმცა, რამდენად გაიზიარებს სასამართლო გამოძიების მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებს, და საერთოდ, აღიარებს თუ არა გაზაშვილის მიმართ წარდგენილ განზრახ მკვლელობის ბრალდებას, წინასწარ ძნელი სათქმელია.

# FBI ტერორიზმთან და კორუფციასთან ბრძოლაში დაგვეხმარება

პირველი გვერდიდან

უშიშროების საბჭოს მდივანსა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს აცნობეს, რომ მზად არიან, უახლოეს მომავალში თბილისში ფედერალური საგამოძიებო ბიუროს წარმომადგენლობა გახსნან. ახლა უკვე ამ გეგმის განხორციელებას არაფერი აბრკოლებს, გარდა, ასე ვთქვათ, ტექნიკური პრობლემებისა, რომელთა მოგვარებასაც საქართველოს ხელისუფლება ფორსირებული ტემპებით შეეცდება. FBI-ს წარმომადგენლობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობას შეეხიზნება.

რაც შეეხება წარმომადგენლობის მიზნებს, ოფიციალურ წყაროთა ინფორმაციით, უკვე გაზაფხულზევე იყო ცნობილი, რომ თბილისში FBI-ს წარმომადგენლობის გახსნა უშუალოდ საქართველოსა და საერთოდ, კავკასიაში არსებული ტერორისტული კერების წინააღმდეგ მიმართული აქციაა, შესაბამისად, არაფერი აქვს საერთო რამდენიმე დღის წინ რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ალექსანდრე ვერშბოუს განცხადებასთან იმის თაობაზე, თითქოს ვაშინგტონი მოითხოვდეს პანკისის ხეობაში მოქმედი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას, "ვინაიდან ოპერაცია ჯერ არ დასრულებულა" და თანაც, ელჩის თქმით, საქართველოს ხელისუფლება "ზოგიერთ რამეს" უმალავდა არა მარტო მოსკოვს, არამედ ვაშინგტონსაც კი.

საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ფიქრობს, რომ თბილისში ფედერალური ბიუროს რეგიონული ოფისის გახსნა სრულიად საწინააღმდეგოზე, კერძოდ კი, იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკელი კოლეგები პანკისში სპეცღონისძიებების ჩატარებით კმაყოფილნი არიან. მისივე თქმით, ქართული სპეცსამსახურები არავის არაფერს უმალავდნენ, თუმცა საიდუმლო სამსახურების საქმიანობის მთლიანად გამოტანა სამსჯავროზე, ხშირ შემთხვევაში, მიზანშეუწონელია. მიუხედავად ამისა, გუშინ იაპონიაში ვიზიტით გამგზავრებული საქართველოს უშიშროების მინისტრი ამომავალი მზის ქვეყნიდან ვაშინგტონში გადაფრინდება, სადაც, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ხელმძღვანელთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებაზე და ამერიკის მხრიდან ტექნიკური დახმარების საკითხებზე საუბარს, პანკისის ხეობაში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციაც დაემატება. თავად ხაბურძანიას თქმით, ის საგამოძიებო ბიუროს დირექტორს მოახსენებს, თუ რა გაკეთდა და კიდევ რის გაკეთებას აპირებენ ხეობაში ქართული სპეცსამსახურები.

ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს თბილისის წარმომადგენლობის მსგავსი ოფისები 50-მდე ქვეყანაში აქვს გახსნილი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან კი საქართველო, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, მესამე იქნება, სადაც შეერთებული შტატების სპეცსამსახურის წარმომადგენლები დაიდებენ ბინას.

სხვათა შორის, ბოლო ათი წლის მანძილზე ფედერალური საგამოძიებო ბიურო საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე არაერთხელ წამოსულა. უმეტეს შემთხვევაში, ეს მაშინ ხდებოდა, როცა ქართველ სამართალდამცველებს რომელიმე გახმაურებული დანაშაულის გახსნაში დახმარება ესაჭიროებოდათ. ასეთი თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი, როგორც ცნობილია, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამოძიებისას დაფიქსირდა - ეს გახლდათ არა მხოლოდ პირველი, არამედ ჯერჯერობით უკანასკნელი შემთხვევა, როცა ამერიკული სპეცსამსახური საკუთარი ინიციატივით ჩაერთო გამოძიებაში და მის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის ექსპერტიზის შედეგები ქართველი კოლეგებისთვის არ უცნობებია. FBI-ს შემდგომი ჩარევები საქართველოში მომხდარ სერიოზულ დანაშაულებში საქართველოს მხარისვე თხოვნით ხდებოდა და, ძირითადად, ექსპერტიზის ჩატარებით შემოიფარგლებოდა. ასე იყო პრეზიდენტზე განხორციელებული ორი ტერაქტის გამოძიებისას. ხოლო "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის გახსნაში გადამწყვეტი როლი სწორედ FBI-ს მიერ ჩატარებულმა ბალისტიკურმა ექსპერტიზამ ითამაშა. თუმცა, აქამდე ეს თანამშრომლობა ანკარის წარმომადგენლობის საშუალებით ხორციელდებოდა. რამდენიმე თვეში თბილისში FBI-ს წარმომადგენლობა ამოქმედდება და ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლებს ექსპერტიზის ჩასატარებლად შორს წასვლა აღარ დასჭირდებათ – მათ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიურო მოემსახურებათ, რომლის შესაბამისი აპარატურით აღჭურვაში ამერიკულ სამსახურებს დიდი წვლილი მიუძღვით.

გარდა ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარებისა, საქართველოს უშიშროების მინისტრს იმედი აქვს, რომ საგამოძიებო ბიუროს წარმომადგენლობის გახსნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კორუფციასთან ბრძოლის გააქტიურებასაც.

# კახი ასათიანის მეუღლისა და გენერალური პროკურატურის ვერსია ერთმანეთს ემთხვევა

*სამართალდამცველთა მიერ პროფესიონალ ქილერებად გამოცხადებული სერგეი ნიკოლაევისა და ბაჩუკი ყოლბაიას დაჭერისა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში მათთან ჩატარებული ორდღიანი მუშაობის შემდეგ, დაქირავებულ მკვლელთა საქმეში ახალი დეტალები ჩნდება.*

ინგა ალავიძე

თბილისის შერიფის ლევან მაისურაძის ვარაუდი - ნიკოლაევი პროფესიონალი მკვლელია, გვაქვს წინასწარი ინფორმაცია, რომ ნიკოლაევმა და ყოლბაიამ თბილისშიც ჩაიდინეს მძიმე დანაშაულებები, შესაძლოა, სხვა შეკვეთილი მკვლელობებიც გაიხსნასო - გამართლდა.

გარდა პარტიზანთა ლიდერის დავით შენგელიას მკვლელობის მცდელობისა, დაკავებულებმა კიდევ ერთი დანაშაული აღიარეს - სოლომონ ლაშაურის მკვლელობა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, 2002 წლის 11 ნოემბერს ნიკოლაევმა და ყოლბაიამ სოლომონ ლაშაური, რომელიც კერძო ტაქსს "გაზ-21-21"-ს მართავდა, დიღმის მასივში გააჩერეს და გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონში წასვლა აიძულეს. ადგილზე მიყვანის შემდეგ, ლაშაური "პსმ"-ს სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტით მოკლეს.

პროფესიონალ ქილერთა საქმეს გუშინ გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე გაეცნო და ის გამოსაძიებლად კვლავ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურას დაუტოვა.

სამართალდამცველები დათო შენგელიას შეკვეთილი მკვლელობის ჩაშლითა და სოლომონ ლაშაურის მკვლელობის გახსნით არ კმაყოფილდებიან და თბილისში მომხდარ სხვა გახმაურებულ დანაშაულებზეც მუშაობენ.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ნიკოლაევი-ყოლბაია კიდევ ერთ მძიმე დანაშაულში - კახი ასათიანის შეკვეთილ მკვლელობაშიც არიან ეჭვმიტანილნი. პოლიცია, ორი დღეა, ამ ვერსიის დადასტურებას ცდილობს, თუმცა, ჯერჯერობით - უშედეგოდ. მართალია, ნიკოლაევისა და ყოლბაიას გარეგნობა ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის თვითმხილველთა მიერ აღწერილ გარეგნულ მონაცემებს ემთხვევა და ისიც ცნობილია, რომ ამ მკვლელობის დროს ისინი თბილისში იმყოფებოდნენ, მაგრამ ასათიანის მკვლელობის გახსნილად გამოცხადებისთვის ეს საკმარისი მტკიცებულება არ არის. თანაც, თავად დაკავებულები აღიარებით ჩვენებას არ იძლევიან. მაგრამ ამ ორი დაკავებულისგან მხოლოდ აღიარების მიღება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს კახი ასათიანის მკვლელობის შემკვეთების დადგენას.

არადა, იმას, რომ ამ მკვლელობის უკან საკმაო გავლენის მქონე ფიგურები დგანან, კახი ასათიანის მეუღლის მიერ გაკეთებული განცხადებაც ადასტურებს.

**"კახი ასათიანის მკვლელობა "აირზენას" დაუფლებას უკავშირდება,"** - განაცხადა ლუიზა თავართქილაძემ. მოკლულის ოჯახს აქვს უტყუარი მტკიცებულებები, რომ კომპანიის ხელში ჩასაგდებად იბრძვის ორი საკმაოდ გავლენიანი დაჯგუფება. **"უნდა აღიკვეთოს იმ ბიზნესმენთა საქმიანობა, რომლებიც ქვეყანაში ყველაფრის მისაკუთრებას აპირებენ, რისთვისაც ბინძურ მეთოდებსაც არ ერიდებიან,"** – განაცხადა კახი ასათიანის მეუღლემ.

კახი ასათიანის მკვლელობის თაობაზე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მიერ მოკვლეული რამდენიმე ვერსია, დამუშავების შემდეგ, ერთ, ძირითად ვერსიამდე დავიდა. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ლუიზა თავართქილაძის მიერ დასახელებული მკვლელობის მოტივი და გამოძიების მიერ სარწმუნოდ მიჩნეული ვერსია ერთმანეთს ემთხვევა და ის "აირზენას" საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ერთი სიტყვით, არაა გამორიცხული, რომ კახი ასათიანის მკვლელობის შემკვეთის ვინაობა გენერალური პროკურატურისთვის ცნობილი იყოს, ოღონდაც, ძნელი სათქმელია, რამდენად შეძლებენ კანონდამცველები დიდი გავლენის მქონე ფიგურის წინააღმდეგ წასვლას.

## სამარელ მილიციელებს ბარაევის ტერორისტებთან კავშირში ადანაშაულებენ

სამარის ოლქის სამართალდამცველები ყალბი პასპორტების გაცემის ფაქტთან დაკავშირებით აწარმოებენ გამოძიებას. საქმე ისაა, რომ "ნორდ-ოსტის" ტერორისტული აქტის მომწყობ ბოევიკთა დიდ ნაწილს სამარის საპასპორტოს მიერ გაცემული პასპორტები ჰქონდათ.

სამარის პროკურატურაში საპასპორტო-სავიზო სამსახურის საქმიანობას სწავლობენ, აღძრულია სამი სისხლის სამართლის საქმე. წინასწარი მონაცემებით, ტერორისტებს პასპორტები ყალბი ბეჭდისა და არარსებული სარეგისტრაციო ნომრის გამოყენებით დაუმზადეს.

## „ნორდ-ოსტის" საქმის მოსმენა გრძელდება

მოსკოვის სასამართლოში გრძელდება კულტურის ცენტრის აღებისას დაზარალებული 24 მომჩივანის სასამართლო პროცესი.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოუსმინეს სამი დაზარალებულის პრეტენზიებს. "ნორდ-ოსტის" შენობაში დაღუპული მძევლების ოჯახის წევრებმა მათი ახლობლების ტრაგიკულ სიკვდილში ხელისუფლება დაადანაშაულეს. დაზარალებულთა მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მოთხოვნილმა თანხამ 48 ათას დოლარს მიაღწია.

## სკოტლენდ-იარდმა მორიგი ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატარა

გუშინ, გამთენიისას, სკოტლენდ-იარდის 150 ოფიცერმა ფინსბერის ბაღში მდებარე ლონდონის მეჩეთში სპეცოპერაცია ჩაატარა. ვერტმფრენებისა და მაძებარი ძაღლების გამოყენებით ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად პოლიციამ 7 ტერორისტი დააკავა. ბრიტანეთის პოლიციის განცხადებით, გუშინდელი დაპატიმრება სულ ცოტა ხნის წინ გახსნილი "რიცინის საქმის" გაგრძელებაა. ბრიტანეთის შს მინისტრი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოპერაციას, დარწმუნებულია, რომ ინგლისში "ალ ქაიდას" წევრები კიდევ იმყოფებიან და ამიტომაც ტერორისტული აქტების მოწყობის საშიშროება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

ლონდონის მეჩეთის ჩხრეკა დაახლოებით 12 საათის მანძილზე მიმდინარეობდა. პოლიციის ინფორმაციით, მეჩეთში ნაპოვნია დოკუმენტაცია, რომელიც ღვთისმსახურთა და ტერორისტთა კავშირს ადასტურებს. სკოტლენდ-იარდის განცხადებით, ეს კავშირი მომწამვლელი ნივთიერების ერთობლივად დამზადებაში გამოიხატება.

ფინსბერის ბაღში მდებარე მეჩეთი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ ნაგებობად. მისი წინამძღოლია შეიხი აბუ ხამზა, რომელიც თავის რადიკალური მოძღვრებითაა ცნობილი. 11 ოქტომბრის ტერაქტის შემდეგ იგი ფინანსურ დახმარებას უწევდა ავღანეთში, დაღესტანსა და ჩეჩნეთში მყოფ მოჯახედებს. იგი რამდენჯერმე დააკავეს, როგორც ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი, მაგრამ ბრალდების დამამტკიცებელი მასალის შეგროვება ვერ მოხერხდა და გაათავისუფლეს.

ლონდონის მეჩეთში დაკავებული 6 ტერორისტი ალჟირელია.

## მოკლედ

**თბილისი.** ავჭალის №6 კოლონიაში 29 წლის მსჯავრდებული არტურ სიმონიანი გულ-მკერდის არეში ბასრი საგნით დაჭრეს. წინასწარი მონაცემებით, სიმონიანი 22 წლის მსჯავრდებულმა დავით გოგოლაძემ დაჭრა, შემდეგ კი, ეჭვის გაფანტვის მიზნით, თვითდაზიანება მიიყენა მუცლის არეში. ორივე მსჯავრდებული ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2002 წლის 12 ოქტომბერს „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოსა და რუსეთის საფეხბურთო ნაკრებების შეხვედრის დროს განათების გათიშვის საკითხის კვლევისას ექსპერტიზამ აღმოაჩინა დარღვევები და ახსნა ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზები, თუმცა კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება გამოძიების პრეროგატივაა", — განაცხადა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა მაია ნიკოლეიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** გალის რაიონის სოფელ განახლებაში რამდენიმე აფხაზმა ბოევიკმა წამებით მოკლა სოფლის მკვიდრი, ქართველი ნიკოლოზ ფირცხელავა. 17 იანვარს ფირცხელავას ოჯახში სტუმრად ოთხი ნიღბიანი მივიდა. მათ ოჯახის წევრებს თავი ქართველ პარტიზანებად გააცნეს და სუფრის გაშლა სთხოვეს. ქეიფის შემდეგ მთვრალმა ბოევიკებმა ოჯახს ათასი რუბლი გამოსძალეს, თუმცა თანხა ეცოტავათ და დიასახლისი აიძულეს, მდუღარე წყალი დაესხა ქმრისთვის. ოჯახის წევრები გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურამდე ფეხით ატარეს და იქ დატოვეს. სახლში დაბრუნებულებს ნიკოლოზ ფირცხელავა წამებით გარდაცვლილი დახვდათ. მას კონდახით უმძიმესი ტრავმები ჰქონდა მიყენებული. ბოევიკები რუსულად ლაპარაკობდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** №5 საპყრობილეში მსჯავრდებულმა ემზარ შამათავამ პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა. პატიმარი გამოძიების ობიექტურად წარმართვასა და მოწმეთა ხელახალ დაკითხვას მოითხოვს. ემზარ შამათავას ბრალად ედება შარშან №1 საპყრობილიდან გაქცევის მცდელობისას ოპერატიული მორიგისა და ექიმის მძევლად აყვანა. საქმეს იძიებს სასჯელაღსრულების ადგილებში კანონიერებაზე ზედამხედველი თბილისის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ოფიციალური ვიზიტით იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება. იაპონიაში იგი ამ ქვეყნის უშიშროების მინისტრს, ხოლო ამერიკაში აშშ-ს ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელს შეხვდება. უშიშროების მინისტრი აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელს მიაწვდის ინფორმაციას პანკისის ხეობაში ამჟამად არსებულ მდგომარეობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია პანკისის ხეობაში ტერორისტების ხელმეორედ მოხვედრის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს. ხაბურძანიას მონაცემებით, პანკისის ხეობაში ამჟამად მდგომარეობა სტაბილურია და კონტროლს ექვემდებარება, თუმცა იქ მაინც რჩება რამდენიმე ისეთი ფიგურა, რომელიც არა მარტო რუსეთის, არამედ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესს წარმოადგენს და მათ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზომები იქნება მიღებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ჩრდილოეთ რუსეთის ქალაქ ტიუმენში ორი ქართველი მოკლეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან მოკლული ორი მამაკაცის გვამი მოსტოსტროიტელების ქუჩაზე მდებარე ფეხსაცმლის სახელოსნოში სამშაბათს აღმოაჩინეს. მოკლული ქართველების ვინაობა არ სახელდება. ადგილობრივი მილიციის ოპერატიულმა ჯგუფმა შესძლო ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის ადვოკატი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში ასანიძისთვის მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 3 მილიონ ევროს ითხოვს. ევროსასამართლოში სარჩელი ასანიძის ადვოკატმა ზაზა სულიაშვილმა 2001 წლის ივნისში შეიტანა და მაშინ 5 ათას ევროს ითხოვდა. საქმის განხილვა 6 თვეში იყო შესაძლებელი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი პოზიციის ამსახველი მასალების მოსამზადებლად დამატებითი დრო ითხოვა და პროცესი განზრახ გააჭიანურა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე ორი აზერბაიჯანელი ამხილეს. ზეინაბ ზეინალოვამ და სვეტლანა კასიმოვამ ბაქო-თბილისის მატარებლით აზერბაიჯანიდან სხვადასხვა დასახელების 90 000 ლარის ღირებულების კონტრაბანდული საქონელი შემოიტანეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი. 21 იანვარი.** სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი ასლანბეი ქჩაჩი კატეგორიულად უარყოფს ქართველ პარტიზანთა ლიდერის დავით შენგელიას ბრალდებას მისი ლიკვიდაციის ბრძანების გაცემის თაობაზე და აცხადებს, რომ "ასეთ შემთხვევაში შენგელია დიდი ხნის მკვდარი იქნებოდა". ქჩაჩმა ასევე უარყო შენგელიას ანალოგიური ბრალდება სოხუმის ხელისუფლების უშიშროების მინისტრის ზურაბ აგუმავასა და სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურის ვალმერ ბუთბას წინააღმდეგ. "აღნიშნულ პირებს რომ შენგელიას ლიკვიდაციის გეგმა შეემუშავებინათ, ამის შესახებ აუცილებლად მეცოდინებოდა," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

# 12 წლის ირაკლი მესამე წიგნის გამოსაცემად ემზადება



ირაკლი გუნია და კათალიკოს პატრიარქი ილია II

*12 წლის ირაკლი გუნია უამრავი ტიტულის მფლობელია. მას გამოცემული აქვს ორი წიგნი" - თბილისის მართლმადიდებლური ტაძრები" (2001 წ.) და "მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები" (2002 წ.). ამჟამად აგროვებს ინფორმაციას საქართველოს მონასტრების შესახებ და უახლოეს მომავალში მესამე წიგნს გამოსცემს.*

თამარ დვალი

ირაკლი "ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების" ყველაზე მცირეწლოვანი წევრია მსოფლიოში. გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის ოთხგზის სტიპენდიდატი. 2000 წელს ინტელექტუალურ კლუბ "მემატიანეს" მიერ საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ცოდნაში ჩატარებული საქალაქო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა. 1999 წლიდან არის გაზეთ "ნერგთან" არსებულ "სწავლულ ბავშვთა დარბაზის" პრეზიდენტი. აქვს საკუთარი სამეცნიერო ნაშრომები, გამოკვლევები და პუბლიკაციები. რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობისთვის დაჯილდოებულია პირველი ხარისხის განათლების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის დიპლომებით.

პატარა ვუნდერკინდი თავმდაბალი და ჩვეულებრივი ბავშვია. არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, სამაგიეროდ, ბევრს და საინტერესოდ საუბრობს ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, ფერწერაზე. მან საქართველოს ისტორიის მთლიანი სასკოლო კურსი ჯერ კიდევ მესამე კლასში იცოდა. 10 წლის ასაკში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა სამეცნიერო მოხსენება "ვეფხისტყაოსნის" ისტორიულ ფაქტებზე. ახლახან დაამთავრა ნაშრომი, რომელშიც განხილული აქვს წანარების როლი კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში.

ირაკლის ბავშვობის ოცნება იყო, რომ ჰქონოდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა, რომელშიც, წიგნებთან ერთად, ძველი ხელნაწერებიც იქნებოდა. 7 წლის ასაკში, თავისუფალ თემაში, დაწერა, რომ მისი იდეალია ლეონარდო და ვინჩი. ამან მასწავლებლები გააკვირვა, თუმცა, ირაკლის არც ახლა შეუცვლია აზრი და მიიჩნევს, რომ ლეონარდო და ვინჩი კაცობრიობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელია და მან მოასწრო იმდენი, რამდენსაც ათასი კაცი ერთად ვერ შეძლებდა. თავისუფალ დროს ირაკლი ხატავს, თამაშობს ჭადრაკს. მშვენივრად უკრავს ფორტეპიანოზე, კითხულობს სამეცნიერო ლიტერატურას.

ირაკლი პატარაობიდანვე რვეულში იწერდა მისთვის საინტერესო ფაქტებს და ამ რვეულს "ჭკვიან რვეულს" უწოდებდა. რაკი ვერ ნახა წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ინფორმაცია საქართველოს მონასტრების შესახებ, გადაწყვიტა, თავად დაეწერა ასეთი წიგნი. როგორც კი პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა და გარკვეულ თანხას მოუყარა თავი, მუშაობას შეუდგა. თბილისის ტაძრების აღწერის შემდეგ, ირაკლი საქართველოს მართლმადიდებლური მონასტრების პირველ ენციკლოპედიურ ცნობარს გამოსცემს. ამისთვის ის საჯარო ბიბლიოთეკაში დილიდან საღამომდე მუშაობს, საქართველოს კუთხეებში მოგზაურობს... წიგნში მოთავსებული იქნება ავტორის მიერ გადაღებული ფოტოები.

"უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, მე და დედამ დავიწყეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების მოლოცვა. ეს არის ძალიან საინტერესო პროცესი. ვეცნობით საქართველოს კუთხეებს, ვაგროვებ ინფორმაციას, თუ როდის აიგო მონასტერი, როდის აღდგა ღვთისმსახურება, ვინ მოხატა იგი, ვინ არის წინამძღვარი, რამდენი ბერი და მონაზონი ცხოვრობს ამჟამად და სხვა. მონასტრების უმეტესობა მაღლობებზეა და ასვლა ჭირს. ბევრჯერ ჩავვარდნილვართ რთულ სიტუაციაში, მაგრამ, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად დამთავრებულა", - გვითხრა ირაკლიმ.

მისი აზრით, უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში, შესაძლოა, არსებობდეს ძველი ქართული ხელნაწერები, რომლებიც შაჰ-თამაზის შემოსევის დროს ვარძიის მონასტრიდან გაიტაცეს. მისი ვარაუდით, კიდევ რამდენიმე ქალაქის არქივში არსებობს ქართული ხელნაწერები და, დიდი სურვილი აქვს, მათი მოძიებით, კიდევ ერთი კარგი საქმე გაუკეთოს თავის ქვეყანას.

ირაკლის ყველაზე დიდი ოცნება აფხაზეთში დაბრუნებაა. ორი წლის იყო, როდესაც მისმა ოჯახმა სოხუმი დატოვა. ირაკლის იმედი აქვს, რომ მშობლიურ კუთხეში ჩავა და აფხაზეთის მონასტრებს მოინახულებს. ასევე სურს, აღწეროს ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მართლმადიდებლური ტაძრები.

რამდენიმე წლის წინ ირაკლიმ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ სტიპენდიით კომპიუტერს შეიძენდა, თუმცა, ეს თანხა წიგნის გამოცემას მოახმარა. როგორც ლალი გუნია ამბობს, კომპიუტერს იმიტომაც ვერ ყიდულობენ, რომ საკუთარი ბინა არა აქვთ. იმისდა მიუხედავად, რომ პრეზიდენტმა განცხადებას რეზოლუცია დაადო და გამგეობაში გადაგზავნა, აფხაზეთიდან დევნილი გუნიების ოჯახი მაინც უბინაოდაა. ირაკლი გუნია პირველი ბავშვია, რომელიც სამეცნიერო დარგში მოღვაწეობისთვის გახდა პრეზიდენტის სტიპენდიანტი. იგი წლეულს მეხუთედაა წარდგენილი პრეზიდენტის სტიპენდიაზე და, იმედი გვაქვს, ამჯერადაც გაიმარჯვებს.

# უფასო საავადმყოფოს ხიბლი და პერსპექტივა

*თუ საკრებულო პირობას შეასრულებს, წლეულს, თებერვალ-მარტიდან, თბილისის მოქალაქეებს უფასო სამედიცინო დახმარება და სტაციონარული საავადმყოფო მოემსახურება. მართალია, უფასო სამედიცინო დახმარებისა და საავადმყოფოს ჩამოყალიბების პროგრამები საკრებულოს ჯერ არ დაუმტკიცებია, მაგრამ სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს იოსებ შატბერაშვილსა და ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრს გიორგი გუგავას ამ პროგრამების დროულად ამოქმედებაში ეჭვი არ ეპარებათ.*

ნანა ქადაგიშვილი

როგორც შატბერაშვილი ირწმუნება, საკრებულო პირველივე სესიაზე, უპირველესად, უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამას დაამტკიცებს. "მართალია, ეს პროგრამა საბოლოოდ შემუშავებული არ არის, ამჟამად მისი სამი ვარიანტი არსებობს, მაგრამ თებერვლამდე მათი შეჯერებაც მოესწრება და პროგრამის დამტკიცებაც", - აცხადებს გიორგი გუგავა. რაც შეეხება უფასო სტაციონარულ საავადმყოფოს, საკრებულო მის ამოქმედებას მარტიდან გეგმავს. პროგრამის მიხედვით, საავადმყოფოში ყველა სახის უფასო სამედიცინო დახმარებას მიიღებენ ნებისმიერი სოციალური კატეგორიის ბავშვები და მოზარდები. სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, პაციენტებისთვის კვება და მედიკამენტებიც უფასო იქნება. ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრთა გათვლებით, ამ პროგრამის განხორციელებას 3 მლნ. ლარი ეყოფა, 2 მლნ. - მოზარდთა მკურნალობასა და 1 მლნ. - სამედიცინო მომსახურებას. "მერიის ბიუჯეტიდან 3 მლნ.-ის გამოყოფა პრობლემა არ უნდა იყოს. ათას სისულელეს აფინანსებენ და მოსახლეობის მკურნალობისთვის ფულის მოძებნა კი უჭირთ. შარშანდელ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი ფენის სამედიცინო დახმარებაზე 2 მლნ. იყო გათვალისწინებული. მოქალაქეებს ფულს ინდივიდუალურად აძლევდნენ. ეს თანხა საავადმყოფოს ამოქმედებას რომ მოხმარდეს, უკეთესი იქნება. მართალია, 3 მლნ წელიწადში მხოლოდ 10 000 პაციენტის სამედიცინო მომსახურებას გაწვდება და ავადმყოფებს რიგში ჩადგომა მოუწევთ, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. სამედიცინო დაწესებულებების შემცირებას უფასო, თუნდაც, შეზღუდული შესაძლებლობების საავადმყოფოს გახსნა სჯობს", - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მაგალითს აძლევს გიორგი გუგავა.

რაც შეეხება უფასო სამედიცინო დახმარებისა და საავადმყოფოს დაფინანსებას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს არც ამ პრობლემის გადაჭრა უჭირს. ახალი ბიუჯეტის უქონლობა ამას ხელს ვერ შეუშლის, პროგრამების დაფინანსება გასული წლის ბიუჯეტისა და მერიის ფონდის სარეზერვო ხარჯებიდანაც შეიძლებაო, აცხადებს იგი. უფრო მეტიც, საკრებულო გვპირდება, რომ პროგრამების დროულად დაფინანსებას უზრუნველყოფს. მკაცრად გავაკონტროლებთ, რომ თანხები სწრაფად გადაირიცხოს. ვინც ხელს შეგვიშლის, მისი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთო, იმუქრება საკრებულო.



"ლეიბორისტები" კვლავ შემართულნი არიან

მოკლედ, იდეა მშვენიერია, თუმცა, მის განხორციელებას ჯერ ბევრი პრობლემა უდგას წინ. საკრებულო გვარწმუნებს, რომ, რაც მას ევალება, პირნათლად შეასრულებს, დანარჩენი კი მერიის გასაკეთებელია. მერიამ, კეთილ ინებოს და, საკუთარ მოქალაქეებზე თვითონაც იზრუნოსო, ამუნათებს ქალაქის მთავრობას საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარე.

# „სამტრედიაში დაწყებული აქციები მალე მთელ საქართველოს მოიცავს"

*"ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერმა, ზვიად ძიძიგურმა და პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა, ჟურნალისტებს აცნობეს, რომ, რადგან მთავრობა პენსიონერებს არც პენსიას უზრდის და არც დავალიანებას უსტუმრებს, ისინი, პენსიონერთა სახელით, სასამართლოში შეიტანენ სარჩელს.*

თამარ დვალი

"სახელმწიფოს პენსიებისა და ხელფასების 320 მილიონი ლარის დავალიანება აქვს. აქედან პენსიების დავალიანება ოთხმოც მილიონ ლარს შეადგენს. ჩვენ მოვითხოვთ: თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ დავალიანების მთლიანად გასტუმრებას, სამი ლარით მაინც გაზარდოს პენსიები, რაც, მთლიანობაში, ოცდაორი მილიონი ლარია და რისი დამტკიცებაც, საბიუჯეტო პროექტის მეორედ განხილვის დროსაც შესაძლებელია", - აცხადებს ეროვნულ ძალთა გაერთიანების ლიდერი ზვიად ძიძიგური. რადგან "ეროვნულ ძალთა გაერთიანებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს იმედი არა აქვთ, რომ სახელმწიფო ამჯერად მაინც გაითვალისწინებს დაუცველი ფენის ინტერესებს, ისინი, სასამართლოში სარჩელის შეტანის პარალელურად, მასობრივი გამოსვლებითაც იმუქრებიან და აცხადებენ, რომ სამტრედიაში დაწყებული აქციები მალე მთელ საქართველოს მოიცავს. "ჩვენ გამოვალთ პენსიონერთა ადვოკატებად სახელმწიფოს წინაშე. იმის ნაცვლად, რომ მთავრობა კორუფციულ გარიგებაზე წავიდეს პოლიტიკურ პარტიებთან თუ პარლამენტის ცალკეულ წევრებთან, ჩვენ ვურჩევთ მათ, რომ პენსიონერებთან აწარმოონ გარიგება. ბიუჯეტის საკომიტეტო სხდომაზე ავთანდილ ჯორბენაძემ ჩვენს მოთხოვნებზე თავის კანტურით განგვიცხადა თანხმობა, თუმცა, რეალურად არაფერი გაუკეთებია", - აცხადებს კობა დავითაშვილი. მისივე თქმით, როდესაც სახელმწიფოს აქვს მსხვილი საპრივატიზაციო ობიექტები, რომლებსაც ნახევარ ფასად ყიდის, ისინი შეეცდებიან, სასამართლოს გზით ყადაღა დაადონ მათ და გაიტანონ აუქციონზე, რითაც შესაძლებელი გახდება ვალების გასტუმრება.

# ცემა-ტყეპა - სწავლის მწარე ძირი

*181-ე საშუალო სკოლაში, შესაძლოა, სწავლის პროცესი ჩაიშალოს. სკოლის პედაგოგები პროტესტის ჩვენში კარგად აპრობირებული ფორმით, პარლამენტის წინ შიმშილობის დაწყებით და ქუჩის გადაკეტვითაც იმუქრებიან. ამის მიზეზი გახდა ქალაქის ვიცე-პრემიერის კახა შენგელიას გუშინდელი გადაწყვეტილება. ვიცე-პრემიერმა განათლების საქალაქო სამსახურის უფროსს, ედიშერ მაჩაიძეს, სკოლის დირექტორის დარეჯან ქადაგიძისა და ბიოლოგიის მასწავლებლის ციალა კაციაშვილის სამსახურიდან გათავისუფლება დაავალა.*

ეთერ მამულაშვილი

**"თუ ციალასა და დარეჯანის მსგავსი მასწავლებლები არ სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას, მაშინ ჩვენც არაფერი გვესაქმება სკოლაში. ყველანი დავიხურავთ ქუდს და წავალთ სკოლიდან",** - აცხადებენ 181-ე სკოლის პედაგოგები.

ქალაქის ვიცე-პრემიერის გადაწყვეტილების საბაბი სკოლის მერვეკლასელებს შორის წელიწადნახევრის წინ დაწყებული კონფლიქტი გახდა.

13 წლის ირაკლი ნიქაბაძე 181-ე სკოლაში 2001 წლის ნოემბერში გადავიდა. ირაკლის მშობლების განცხადებით, მათ შვილს თანაკლასელები თავიდანვე ცუდად შეხვდნენ. ორმა მათგანმა - ბარდაძემ და ცინცაძემ - სკოლაში გადმოსვლის პირველივე კვირას ირაკლი "წიხლებით სცემეს". **"ბავშვს ქურთუკზე ნაფეხურები აჩნდა, სახეზე და მუცლის არეში სილურჯეებმა რამდენიმე კვირის მანძილზე არ გაუარა",** - გვითხრა ირაკლის დედამ.

მარინა და ზაზა ნიქაბაძეები ამტკიცებენ, რომ მათ შვილს კლასელებისგან კვირაში ერთხელ მაინც ხვდებოდა. ამას კი ირაკლი წელიწადნახევრის განმავლობაში იტანდა. მშობლები ამბობენ: ამის მიზეზი ის იყო, რომ ირაკლი მოწესრიგებულია და ხუთებზე სწავლობდა.

კონფლიქტის მოსაგვარებლად მშობლებმა რამდენჯერმე მიმართეს კლასის დამრიგებელს ციალა კაციაშვილს. თუმცა, ირაკლის თანაკლასელებმა უკანასკნელად, სულ ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთხელ სცემეს.

ზაზა ნიქაბაძე: **"ქალბატონი ციალა ზომების მიღებას არც კი ცდილობდა. ეს გასაგებიცაა: ჩემს შვილს ვინც სცემდნენ, მათგან ერთის დედა მასწავლებელი და ციალას მეგობარია, მეორის მამა კი "მარშუტკის" მძღოლია და სკოლას დიდ სამსახურს უწევს".**

კლასის დამრიგებელმა, ციალა კაციაშვილმა, ჩვენთან საუბარში ნიქაბაძეების ბრალდებებს ცილისმწამებლური უწოდა. **"ირაკლის ყოველდღე ნამდვილად არ სცემდნენ. ერთი-ორჯერ ბიჭებმა ბავშვურად იჩხუბეს და ისიც - სკოლის გარეთ. თანაც, იმ დროს მე ავად ვიყავი და ორი თვე სახლში ვიწევი. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ირაკლი თავისებური და ცოტა კონფლიქტური ბავშვია",** - ამბობს ციალა კაციაშვილი.



კახა შენგელია და მასწავლებლები ერთმანეთისთვის დათმობას აპირებენ

სკოლის დირექტორი, დარეჯან ქადაგიძე, თავს იმით იმართლებს, რომ ბავშვებს შორის წელიწადნახევრის წინ დაწყებული დავის შესახებ მან მხოლოდ ერთი თვეა, რაც შეიტყო. **"ამ საქმეს გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლო განიხილავს და ჩემი მხრიდან რაიმე ადმინისტრაციული ღონისძიების გატარება ამ ეტაპზე ნაადრევი იქნებოდა",** - ამბობს სკოლის დირექტორი.

ქალაქის ვიცე-პრემიერი კი აცხადებს, რომ კლასში ბავშვებს შორის კონფლიქტის დარეგულირება სკოლის დირექტორის და დამრიგებლის პრეროგატივაა და არა სასამართლოსი.

# ინკუბატორი - ბიზნესმენების დასარჩენად

*ექსპერტული გათვლებით, ერთი სამუშაო ადგილის შექმნაზე საქართველოში 2500-დან 4500 ლარამდე იხარჯება. დასაქმების სახელმწიფო პროგრამას ამის გაკეთება გაცილებით იაფი - 1466 ლარი დაუჯდა. საბიუჯეტო თანხების ეკონიმიური ხარჯვით ეს პროგრამა, საერთოდ, გამოირჩევა. 1200 უმუშევრის ტესტირების, 244-ის ტრენინგის, 130-ის ბიზნეს-გეგმაზე მუშაობის, სესხის საგრანტო რესურსის, პლუს საინფორმაციო უზრუნველყოფის დასაფინანსებლად სახელმწიფოს მხოლოდ 560000 ლარი დასჭირდა. სახელმწიფო ქისას ეკონომიას აგრძნობინებს ის პროექტიც, რომელიც დასაქმების პროგრამის ფარგლებში წლეულს უნდა განხორციელდეს. ბიზნეს-ინკუბატორის შექმნა საქართველოს ღირებულების მესამედი დაუჯდება. დანარჩენს საერთაშორისო ორგანიზაციები დაფარავენ.*

მაკა ჭაიანი

საუბარია გაერო-ს განვითარებისა და სოროსის ფონდებზე. იმ 205 მილიონი დოლარიდან, რომელიც ბიზნეს-ინკუბატორის ორწლიანი პროექტის ამოქმედებას სჭირდება, საქართველო 83 ათასი დოლარის ეკვივალენტს გამოყოფს. ბიუჯეტმა ამ საქმეს წლეულს 100 ათასი ლარი უნდა დაახარჯოს. პროექტი უკვე მოიწონა გაერო-ს განვითარების ფონდმა და დაამტკიცა საინვესტიციო საბჭომ. ბიზნეს-ინკუბატორი 2003 წლის მეორე ნახევარში თბილისში ამუშავდება. ეს იქნება პილოტური პროექტი, რომლის წარმატებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**"პროექტის მიზანი მეწარმის "გამოჩეკვაა",** - ამბობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის თავმჯდომარე რევაზ საყვარელიძე. - **ეს სამი ძირითადი მიმართულებით მოხდება: მცირე მეწარმის საოფისე, სალიზინგო და ფართით მომსახურებით. გარდა ამისა, ბიზნეს-ინკუბატორები მოახდენენ მათ სწავლებასა და კონსულტირებას. უცხოეთში ასეთი სამსახურები, კარგა ხანია, მოქმედებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 600-მდე ბიზნეს-ინკუბატორი მუშაობს და მშვენიერი შედეგები აქვს. ძალიან გაამართლა ამან ლატვიაში. რუსეთს აქვს ბიზნეს-ინკუბატორების კარგი ქსელი. ამ ცოტა ხნის წინათ, უცხოელთა დახმარებით, ეს სამსახური უკრაინაშიც გაიხსნა."**

მცირე და დამწყები მეწარმეებისთვის სალიზინგო მომსახურების დაწყებას პროექტი ცოტა მოგვიანებით გულისხმობს. ამ მომსახურების ფარგლებში, ბიზნეს-ინკუბატორმა მეწარმისთვის საჭირო აპარატურა ან დანადგარები უნდა შეიძინოს. ეს არის იჯარის გრძელვადიანი ფორმა, ეგრეთ წოდებული საფინანსო იჯარა, რომელიც მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს. იჯარის თანხას მეწარმე მოძლიერების შემდეგ, გარკვეული პროცენტის დამატებით, თანდათანობით იხდის.

საოფისე მომსახურება მეწარმის ქაღალდით, ფაქსით, სხვა აუცილებელი საგნებით მომარაგებას, კომუნიკაციებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. რაც შეეხება ფართით მომსახურებას, ამ შემთხვევაში, ბიზნეს-ინკუბატორი მეწარმეს სამუშაო ოთახს უთმობს. პროექტის მიხედვით, ბიზნეს-ინკუბატორს, სულ ცოტა, 500-კვადრატულმეტრიანი შენობა უნდა ჰქონდეს. ყველა ამ მომსახურებისთვის ანაზრაურების გადახდას მეწარმეები გვიან იწყებენ. პროექტის ავტორები ამ შემთხვევაშიც საინტერესო მექანიზმს გვთავაზობენ.

**"ჩვენი აზრით, მოსამძლავრებლად აყვანილი, დავუშვათ, ოცი მეწარმიდან ათი ისეთი უნდა იყოს, რომელიც ნულიდან იწყებს ყველაფერს, ათი კი - უკვე მოქმედი. ეს ათი მეწარმე, ვთქვათ, სამი თვის შემდეგ დაიწყებს ქირისა თუ მომსახურების რალაც პროცენტის გადახდას და, დროთა განმავლობაში, ეს გადასახადი ას პროცენტს გაუტოლდება. ამ კონტინგენტის მომაგრებას დიდი დრო არ დასჭირდება. ისინი შედარებით ადრე გავლენ ბიზნეს-ინკუბატორიდან, ამასობაში კი დანარჩენი ათი მეწარმე დაიწყებს გადახდას. გათავისუფლებულ ადგილებზე ათი ახალი მეწარმე მოვა და ასე შემდეგ. ასეთი მოდელი მოქმედებს ყველგან. სხვაგვარად ორგანიზაცია თვითდაფინანსებაზე ვერ გადავა",** - განმარტავს რევაზ საყვარელიძე.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში ბუნებრივი აირით კიდევ ერთი ოჯახი გაიგუდა. ამჯერად გაზმა თემქაზე, მე-11 მიკრორაიონის 27-ე კორპუსში, №16 ბინაში გარსევანიშვილების სამკაციანი ოჯახი იმსხვერპლა.

"თბილგაზის" გენერალური დირექტორი, ვახტანგ ცაავა, უბედური შემთხვევის მიზეზად ასახელებს იმას, რომ თხევადი გაზის ქურაზე ბუნებრივი აირი იყო მიერთებული, რაც, მისი თქმით, ტექნიკური ნორმების უხეში დარღვევაა. მიმდინარე ზამთარში ეს გაზით გაგუდვის უკვე მესამე შემთხვევაა. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, 9 აპრილის ბაღში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით 17იანვრისთვის დაგეგმილი სასამართლო პროცესი ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

როგორც ცნობილი გახდა, მოსარჩელე მხარე - კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ამ მშენებარე სახლის მეპატრონეებს შეხვდება და ამ შენობის მერიის დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე იმსჯელებენ. როგორც კულტურის სამინისტროში აცხადებენ, თუ მშენებარე საცხოვრებელი სახლი მერიის დაქვემდებარებაში გადავა, სახლის მეპატრონეებს, კომპენსაციის სახით, გარკვეული ფართის ტერიტორიას გამოუყოფენ.

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, კახა ტრაპაიძის თქმით, მოპასუხე და მოსარჩელე მხარეებს შორის მოლაპარაკება ხვალ გაიმართება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კულტურის სამინისტრო და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, ამ საკითხის გადასაწყვეტად, კვლავ სასამართლოს მიმართავენ. **მედია ნიუსი**

www.24hours.ge 24 B

# დღეს ნინო ანანიაშვილი თბილისში იცეკვებს

მადი სერებრიაკოვა


ნინო ანანიაშვილი

ნინო ანანიაშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე იმ იშვაით ვარსკვლავთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც მშობლიური სცენა არასოდეს ავიწყდებათ. ყველაზე მძიმე წლებშიც კი, ანანიაშვილი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. მისი სპექტაკლებისა და კონცერტების უმეტესობა კი საქველმოქმედო მიზნებს ემსახურებოდა. ამჯერად, ნინო ანანიაშვილი მშობლიურ თეატრს ლუდვიგ მინკუსის "დონ კიხოტით" ეწვია. გუშინ კი, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქართველი პრიმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. უმაღლესი ჯილდო ნინო ანანიაშვილისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

გასული წლის აპრილში, ნიუ იორკში პრესტიჟულმა ამერიკულმა ჟურნალმა Dance Magazine-მა ნინო ანანიაშვილი "წლის საუკეთესო ბალერინად" დაასახელა. მაშინ, ქართველმა ბალერინამ თავის ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოებს შორის შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პრემია და რუსული "ტრიუმფი" დაასახელა (იგი პირველი ბალერინა იყო, რომელმაც ეს პრემია მიიღო). ამიერიდან მათ რიცხვს კიდევ ერთი მიემატა.

როგორც გითხარით, ნინო ანანიაშვილი ღირსების ორდენს არ მოელოდა. ერთადერთი, რაც მან პრეზიდენტთან შეხვედრაზე განაცხადა, მისი პირობა იყო, რომ ყოველთვის და ყველგან იგი ქართველად დარჩება. პრეზიდენტთან საუბრის კიდევ ერთი თემა ნინო ანანიაშვილის მეუღლის მიერ წინანდალში გაშენებული ვაზი იყო. როგორც გაირკვა, ანანიაშვილის ღვინოები 2-3 წელიწადში ჩამოისხმება. შევარდნაძემ კი ხუმრობით პრიმა-ბალერინას ღვინის დაწურვაში დახმარებაც აღუთქვა: **"20-30 წლის შემდეგ, მეც შემოგიერთდები და ერთად დავწუროთ ღვინოო",** – აღნიშნა პრეზიდენტმა. მოგვიანებით, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, ნინო ანანიაშვილმა დაამატა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით საინტერესო გეგმები აქვს. თუმცა დეტალებზე საუბარს თავი აარიდა: **"ყველაფერს გავაკეთებ, თუ ჟურნალისტები დამაცდითო",** – განაცხადა პრესის მიმართ არცთუ კეთილად განწყობილმა ვარსკვლავმა.

როგორც ნინო ანანიაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ამ დროისთვის მოსკოვის დიდი თეატრისა და ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერის პრიმა-ბალერინას უკვე ყველა ის მნიშვნელოვანი პარტია აქვს შესრულებული, რომელზეც ოდესმე უოცნებია (ბალერინას რეპერტუარში 60-ზე მეტი პარტიაა, მათ შორის ოდეტა-ოდილია, ავრორა, ჟიზელი, რაიმონდა, ნიკია, მედორა, ჯულიეტა...). ახლა, მისი მიზანი ახალი როლების შექმნაა, რომლებსაც იგი პირველად შეასრულებს. დღემდე, ნინო ანანიაშვილი 10 საერთაშორისო პრემიის ლაურეატია. მათ შორის ვერონის, მოსკოვის (არაერთგზის), ჯექსონის (აშშ). როგორც აღმოჩნდა, გასტროლების ძალზე დაძაბული განრიგის გამო არათუ საქართველოში, მოსკოვშიც იგი მხოლოდ 1-2 თვეს ატარებს წელიწადში.

ორგზის "მსოფლიოს საუკეთესო ბალერინად" აღიარებული ანანიაშვილი საკუთარ ბრწყინვალე კარიერას შრომისმოყვარეობისა და რეჟიმის გარდა შემთხვევითობასაც უკავშირებს. ბალეტში ანანიაშვილი ფიგურული სრიალიდან მივიდა. 10 წლის ასაკში საქართველოს ჩემპიონს ფიგურულ სრიალში ურჩიეს ქორეოგრაფიისთვის მოეკიდა ხელი. თბილისისა და მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, მას სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრში სოლისტად ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან დიდი თეატრის კორდებალეტი არჩია. პირველი სოლო-პარტიაც შემთხვევით მიიღო. ჰამბურგში გასტროლის დროს, მოულოდნელად სოლისტი ავად გახდა, უცებ გადაწყდა სპექტაკლში ანანიაშვილი აეყვანათ: **"ფაქტიურად, მატარებელში მომიწია პარტიის შესწავლა."**

ორიოდე წლის წინათ, დიდ თეატრში ანანიაშვილის შემოქმედების 20 წლისთავი აღნიშნეს. საიუბილეო კონცერტზე მთელი მსოფლიოს ბალეტის თანავარსკვლავედმა მოიყარა თავი: პალომა ერერა, ჯუზეპე პიკონე, ინა პეტროვა, მარია ალექსანდროვა, ხოსე მანუელ კარენიო, ანდრეი უვაროვი. მაშინ, ანანიაშვილი აღნიშნავდა: **"ახალგაზრდობაში ყველაფერი ერთად გინდება, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალიზმი მხოლოდ 35 წლის მერე მოდის".**

ამრიგად, მსოფლიოს ორგზის "საუკეთესო ბალერინა" დღეს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე "დონ კიხოტში" იცეკვებს. მასთან ერთად მოსკოვიდან ნინოს გამოცდილი პარტნიორი, დიდი თეატრის პრემიერი, სერგეი ფილინი ჩამოვიდა. სპექტაკლს კი, ასევე გასტროლიორი, ალექსანდრ სოტნიკოვი უდირიჟორებს.


ღვინოს გამარჯვებულები სვავენ


ღირსების ორდენით დაჯილდოების ცერემონიალზე


ნინო ანანიაშვილი და სერგეი ფილინი შესვენების დროს

## ძეგლის პირვანდელი სახე

### შესაძლოა, საქმე სასამართლომდეც მივიდეს

ვერა ნეფარიძე

გუშინ კულტურის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განვლილი ორი კვირის რჩეულ საკითხებზე ისაუბრეს. მათ შორის იყო გორის კათოლიკურ ეკლესიაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (რის შესახებაც გაზეთი "24 საათი" ორი დღის წინათ წერდა). ამ თემაზე საკუთარი პოზიცია ოფიციალურად გამოთქვა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, კახა ტრაპაიძემ და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ დეპარტამენტი კვლავაც მოითხოვს რემონტის შეჩერებას.

"ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჯერ არ აგორებულა, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე გაჩნდა - გორში კათოლიკური ეკლესიის გადაკეთების შესახებ, კანონმდებლობისა და თვით კონკორდატის შესაბამისადაც არ არის ჩვენთან შეთანხმებული. ნებისმიერი შეუთანხმებელი ქმედება კი ძეგლის ხელყოფაა, რაც კანონით ისჯება", - ასე დაიწყო აღნიშნულ თემაზე საუბარი ბრიფინგზე მიწვეულმა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ. კახა ტრაპაიძის თქმით, ძნელია სარემონტო სამუშაოების კონკრეტული დამკვეთის პოვნა, რადგანაც პროცესში საკმაოდ ბევრი უწყება თუ კერძო პირია ჩარეული. მათ შორის არიან - კერძო დამფინანსებლები, სამხარეო სამსახური, გამგეობა და ა.შ. კახა ტრაპაიძე ეთანხმება "24 საათის" რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში გორის რომაულ-კათოლიკური საკრებულოს წინამძღვრის, იეჟი პილუსის გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ რემონტი შენობის არქიტექტურას სრულიად შეცვლის. "ამიტომ ჩვენ ვაყენებთ ძეგლისთვის პირვანდელი სახის დაბრუნების საკითხს. აუცილებლად უნდა შეჩერდეს ეს პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხს სასამართლოს წინაშე დავაყენებთ", - თქვა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

კახა ტრაპაიძემ ბრიფინგზე ზუგდიდში დადიანების სასახლის გარშემო შექმნილ მდგომარეობაზეც ისაუბრა. "ამ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური ნაგებობის შეჭრას აღსრულება არ უწერია", - დაარწმუნა მან ჟურნალისტები. კახა ტრაპაიძე "9 აპრილის" სახელობის ბაღში მიმდინარე უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით სადაო საკითხის გადაწყვეტითაც კმაყოფილია. მისი თქმით, საბოლოოდ გადაწყდა ბინების მეპატრონეებს შესაბამისი კომპენსაციით აუნაზღაურონ ზარალი, რაც, ტრაპაიძის აზრით, დღეისათვის ყველაზე კანონიერი გადაწყვეტილებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს დაგეგმილია კულტურის მინისტრისა და ქალაქის პრემიერის შეხვედრა.

## თემურ ყვითელაშვილი აშშ-ში მუსიკალური ნაწარმის პრესტიჟულ გამოფენაზე მიიწვიეს

ცნობილი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი მსოფლიოში პოპულარულმა მუსიკალურმა გამოცემამ Music Box-მა და O.K. Company-მ მუსიკალური ნაწარმის პრესტიჟულ გამოფენაზე NAMM SHOW-ზე ექსპერტად მიიწვიეს.

მუსიკალური ნაწარმის გამოფენა წელს აშშ-ს კალიფორნიის შტატის ქალაქ ანაჰაემში წელს 101-ედ გაიმართა. თემურ ყვითელაშვილი ერთადერთი მუსიკოსია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომელმაც ამ ყოველწლიურ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

როგორც თემურ ყვითელაშვილმა აშშ-დან ძინტერ-პრესთან" სატელეფონო საუბრისას განაცხადა, იგი ბედნიერია, რომ ამ გამოფენაზე მონაწილეობის მიღებით საშუალება მიეცა შეხვედროდა და გასაუბრებოდა მსოფლიოში ცნობილ ბევრ კოლეგას. "მუსიკოსებს ამ სახის ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს უამრავი რამ გავუზიაროთ" - აღნიშნა მან. მისი თქმით, სწორედ ამ გამოფენაზე მიეცა საშუალება ენახა დიდი ხნის მეგობარი, ცნობილი ამერიკელი გიტარისტი მაიკლ ანჯელო, მსოფლიოში ცნობილი გიტარისტები, სტივ ვაი, პოლ ჟილბერტი, ედი ვან ჰალენი და ავსტრალიელი ფრენკ გემბელი. საერთაშორისო მუსიკალური ნაწარმის ასოციაცია, რომელიც არაკომერციული სტრუქტურაა და ცნობილია NAMM-ის სახელით, 8000-ზე მეტ წევრ კომპანიას აერთიანებს. მისი მიზანია, მსოფლიოში მუსიკის შექმნას რეკლამირება გაუწიოს.

გამოფენას, რომელიც 16-დან 19 იანვრამდე მიმდინარეობდა, 65 000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. გამოფენის ფარგლებში საქველმოქმედო კონცერტები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები რეი ჩარლზი, ნიკა კოსტა, ემი გრანტი, ნორა ჯონსი და სხვები. მაყურებელს აგრეთვე საშუალება ჰქონდა მუსიკალური ინსტრუმენტების უნიკალური კოლექცია ენახა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტებს, დაწყებული ტრადიციული მუსიკალური საკრავებიდან, დამთავრებული უახლესი კომპიუტერული ტექნიკით. გამოფენაში მონაწილეობა 1311 -მა საგამოფენო კომპანიამ მიიღო. თემურ ყვითელაშვილი აშშ-ში ერთ კვირას დარჩება და თბილისში სავარაუდოდ თებერვლის დასაწყისში ჩამოვა. **(ინტერ-პრესი)**

## კალენდარი

### 22 იანვარი

ავგუსტ სტრინდბერგი (1849-1912), ცნობილი შვედი მწერალი სამშობლოში შვედური პროზის ოსტატად მიიჩნევა. მის საზღვრებს გარეთ კი სახელი გაითქვა როგორც თანამედროვე დრამის ერთ-ერთმა რეფორმატორმა..

დაიბადა 1849 წელს სტოკჰოლმში. მისი გაჩენიდან მცირე ხანში მამა გაკოტრდა და შესაბამისად, ოჯახის მატერიალური მდგომარეობაც მკვეთრად გაუარესდა. მაგრამ ბავშვობისდროინდელი უსიამოვნებები ამით არ ამოწურულა. 13 წლის ასაკში დედა გარდაეცვალა, ხოლო მამამ იმავე წელს იქორწინა ახალგაზრდა ეკონომისტ ქალბატონზე, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა პატარა სტრინდბერგის დათრგუნული ბავშვობა. მკაცრად გაზრდილ, რელიგიურ და მეოცნებე სტრინდბერგს საკმაოდ არასახარბიელო სიყმაწვილე ჰქონდა.

გაჭირვებიდან თავდასაღწევად ერთადერთი გზა – სწავლა აირჩია. 1867 წელს ჩააბარა გამოცდები და დაიწყო ესთეტიკისა და უცხო ენების შესწავლა უპსალის უნივერსიტეტში. თუმცა დიდხანს არ უსწავლია. მდგომარეობამ აიძულა მიეტოვებინა განათლება და სახალხო სკოლაში დაეწყო მასწავლებლად მუშაობა. მოგვიანებით იგი სტოკჰოლმში, ექიმ ლამას ოჯახში რეპეტიტორობდა. ასეთმა ნაცნობობამ სტრინდბერგს მედიცინისკენ უბიძგა, მაგრამ მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა. დიდად არ უნერვიულია, თანაც იმავე პერიოდში თეატრმა გაიტაცა. ასე გადაწყვიტა სტრინდბერგმა მსახიობობა. 1869 წელს იგი სამეფო თეატრში მიიღეს მოსწავლედ. თუმცა პრობლემებმა მეტყველებაში, მას მსახიობის პროფესიის კარიც დაუხშო. იმავე წელს სტრინდბერგმა წერა დაიწყო. 1870 წელს უპსალაში დაბრუნდა და მალე მისი პიესები, "რომში" და "დევნილი" სამეფო თეატრში დადგეს. მართალია, პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებები საკმაოდ ცივად მიიღეს, მაგრამ მათი წყალობით ავტორმა კარლ მეთხუთმეტის პირადი ფონდიდან მიიღო სტიპენდია.

**აუგუსტ სტრინბერგი** 1849 წლის 22 იანვარს დაიბადა.



# „თეატრი - ეს მე ვარ"

### სამხატვრო ხელმძღვანელს თეატრში შესვლის წინ ჩხუბი მოუვიდა

თამარ სუხიშვილი

*გუშინდელი სპექტაკლის წინ პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დამაარსებელსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, ამირან შალიკაშვილს თეატრში შესვლამდე ჩხუბიც კი მოუხდა, თეატრის შენობას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია და როგორც ჩანს, თეატრის შენობის გარშემო სოკოებივით ამოზრდილ რესტორნებსა თუ სხვა კერძო სტრუქტურებს ადგილი ეცოტავათ და გაფართოება გადაწყვიტეს. "თეატრს 2000 კვადრატული მეტრი ეკუთვნის, რესტორნები და სხვა ასეთი დაწესებულებები თეატრის ტერიტორიაზე იჭრებიან, ცდილობენ ადგილი წაგვართვან," - ამირან შალიკაშვილი აღშფოთებას ვერ მალავს, მაგრამ, როგორც ყველა ნამდვილ სცენის ხელოვანს, შეუძლია უცბად გარდაისახოს და მაყურებელს დიდი სიყვარულით ესაუბროს ხელოვნებაზე, თეატრზე, რომელიც, ბატონი ამირანის აზრით, საქართველოში თითქმის აღარავის აინტერესებს.*



"თქვენ არ გეგონოთ, რომ საქართველოში ვინმეს თეატრი აინტერესებს, მარტო თეატრალებს; არ გეგონოთ რომ ქართველები თეატრალები ვართ, თეატრალები ისინი არიან, ვისაც თეატრი უყვარს; ხუთმილიონიან მოსახლეობაში თეატრის გულშემატკივარი ალბათ სულ რაღაც ხუთი პროცენტია."

ასეთი მკაცრი შეფასება ამირან შალიკაშვილმა გუშინდელი სპექტაკლის წინ გააკეთა, როდესაც მან კიდევ ერთხელ გაიხსენა პანტომიმის თეატრის ძველი ტრადიცია და წარმოდგენის დაწყებამდე დარბაზს მიესალმა. დარბაზში ბათუმელი სტუმრებიც ისხდნენ, ამირან შალიკაშვილის ბათუმის ჯგუფის მოსწავლეები, მომავალი მსახიობები.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სპექტაკლი ვასო გოძიაშვილის სიტყვებით წარადგინა: "ახლა გავათამაშებთ ნოველას..." მერე ხუმრობის ხასიათზე დადგა: "ლაპარაკს მოვრჩი, ახლა აღარავინ ილაპარაკებს, ყველა დადუმებული იქნება" – და პანტომიმა დაიწყო...

რამდენიმე ნოველისგან შემდგარი "კონტრასტები", რომელიც პანტომიმის თეატრმა 21 იანვარს წარუდგინა ქართველ მაყურებელს, ახალი სპექტაკლია. ამ წარმოდგენით დაიხურა გასული წლის სეზონი ივნისში, მაშინ სულ სამი სპექტაკლი ითამაშეს. მას შემდეგ "კონტრასტებში" არაფერი შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ ერთი მსახიობი, რომელიც გათხოვდა და თეატრიდან წავიდა.

სპექტაკლის რეჟისორს, ამირან შალიკაშვილის მოსწავლესა და კოლეგას - გიორგი ოსეფაშვილს (გიორგი ოსეფაშვილი ამ სპექტაკლში თავადაც თამაშობს) ნოველის ფორმა შემთხვევით არ აურჩევია: "ჩვენ ნოველებზე გავიზარდეთ, ნოველების დადგმა თეატრში დღესაც ტრადიციად რჩება. ეს ფორმა იმპროვიზაციის დიდ საშუალებას აძლევს მსახიობს, ყოველი თამაშის დროს ახალი შტრიხი შეგვაქვს, ნოველაში თვითგამოვლენის შესაძლებლობა





*სცენები სპექტაკლიდან "კონტრასტები"*

მეტია. წმინდა წყლის იმპროვიზაციაზეა აგებული, მაგალითად, "ქალის გატაცება", რამდენჯერაც არ უნდა ნახოთ ეს მინიატურა, მსახიობების თამაში იმდენჯერ განსხვავებული იქნება."

დღესდღეობით პანტომიმის თეატრის რეპერტუარში ხუთი სპექტაკლია: "დუმილის პოეზია", "კიდევაც დაიზრდებიან", "სტუმარ-მასპინძელი", "კრიმანჭული" და "კონტრასტები". მომავლისთვის ამირან შალიკაშვილი "ფიროსმანი მეფეს" აღდგენას აპირებს, გიორგი ოსეფაშვილს კი ჩაფიქრებული აქვს, ახალი ნოველები შესთავაზოს მაყურებელს.

2003 წლის მეორე ნახევარში საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი ჰოლანდიაში გასტროლებზე გაემგზავრება, ხუთ სპექტაკლს გასტროლებისთვის ალბათ მეექვსე – "ფიროსმანი მეფეც" დაემატება...

"ეს ჩემი თეატრია, ეს ჩემი ხელწერაა, თეატრი – ეს მე ვარ. პანტომიმის თეატრი ჩემს სახელს ველარ გაექცევა,.." - ჩვეული არტისტულობითა და გამომსახველობით ამბობს ამირან შალიკაშვილი.

ჰოლანდიაში ქართველი იმპრესარიო შეეცდება ეს ყველაფერი უსიტყვოდ თქვას...

# წითელი ქუდი მახურავს...

### ზღაპარი უფროსებისთვის

ანა კორძაია-სამადაშვილი

სინამდვილეში, ხალხთა შორის მეგობრობა არც კულტურათა დიალოგით იწყება, არც - ნავთობსადენით და არც - აბრეშუმის გზით. ადამიანებს სულ სხვა რამ აერთიანებს: ის, რომ ყველა ჯიშისა და რჯულის კაცს თუ დედაკაცს ცენტრალური ნერვული სისტემა აქვს, და ყველას ჰყავს ან ჰყავდა დედა, რომელიც ბავშვობაში ზღაპრებს უყვებოდა. და ძალიან ბევრი ქვეყნის ბავშვებს დედები ერთსა და იმავე ზღაპარს უყვებოდნენ – წითელქუდას.

მართალია, ზოგის წითელქუდა მგელმა შეჭამა და მოინელა, ზოგი, შეჭმის მერე მტაცებლის მუცლიდან ამოიყვანეს და მგელი, პატარა გოგოს გულის მოსაფხანად, საშინელი ტანჯვით მოკლეს, ერთი ვერსიის თანახმად კი, წითელქუდას მტერი, ბოროტი მგელი გამოსწორდა და სხვა და სხვა... მთავარი ისაა, რომ ყველას წითელქუდას დედიკოს მოქსოვილი წითელი ქუდი ეხურა და ერთ მშვენიერ დღეს ის ნუგბარით სავსე კალათით გაეშურა ავადმყოფი ბებიის მოსანახულებლად.

თებერვლის დასაწყისში "კლუბი 22" სწორედ ნაირ-ნაირ წითელქუდებთან შეხვედრაზე გეპატიჟებათ. ეს იდეა ორ ქალბატონს, სოფი სიტველსა და ჯეინ ედენს ეკუთვნით – ისევე, როგორც კლუბის ხელმძღვანელი, სოსო ალავიძე, ეს ბრიტანელი ხელოვანებიც "წითელქუდაზე" გაიზარდნენ.

სოსო ალავიძე ყოველი ხელოვანის "წითელქუდას" სიხარულით ხვდება. რამდენიმე ქართველმა მხატვარმა უკვე გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. იმისთვის, რომ გაუგებრობა არ მოხდეს, პროექტის ავტორებმა თავიდანვე ჩამოაყალიბეს გამოფენაში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობები: თემა, ცხადია, უნდა იყოს "წითელქუდა" (ხოლო როგორია და რა ბედში ჩავარდება თქვენი საკუთარი წითელქუდა, ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია); ხელოვანთა განკარგულებაში სულ რამდენიმე საინსტალაციო სივრცეა: ბებიის სახლის მაკეტი, საწოლი (ვიდეოპროექტორით ან სლაიდოსკოპით აღჭურვილი), ტყე – ამ როლს კლუბის დერეფანი ითამაშებს, და ფოტოალბომი. შესაბამისად, ავტორები ამ სივრცით უნდა შემოიფარგლონ.

ასე რომ, თებერვლის დასაწყისში ზანდუკელის ქუჩაზე დიდი ხალისი გველის. იმედია, მონაწილეები არ დაივიწყებენ, რომ "წითელქუდას" ყველა ვერსიაში დედამ პატარა გოგოს კალათაში ათასგვარი სიკეთე ჩააწყო, და ბავშვობაში ზღაპრის ამ ნაწილს ყველა განსაკუთრებული სიამოვნებით ისმენდა – არც საშინელი იყო და არც გულდასაწყვეტი...



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# "ტორპედო" მეოთხედფინალში გავიდა

*მოსკოვში გრძელდება თანამეგობრობის თასის გათამაშება ფეხბურთში. გუშინ გაიმართა ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის შეხვედრები.*

A ჯგუფში მოსკოვის "ლოკომოტივმა" დიდი ანგარიშით - 4:0 დაამარცხა ყირგიზეთის "სკა". ქუთაისის ტორპედომ ანგარიშით 1:0 მოუგო ყაზახეთის "ირტიშს". ქუთათურები მეოთხედფინალში ლატვიის "სკონტოს" შეხვდებიან

B ჯგუფში სომხეთის "პიუნიკისა" და ბელორუსის "ბატეს" შეხვედრა ფრედ - 1:1 დასრულდა. ლატვიის ჩემპიონმა "სკონტომ" კი დიდი ანგარიშით - 3:0 მოუგო ტაჯიკეთის "რეგარ-ტადაზს" და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. ამ ჯგუფიდან მეოთხედფინალის საგზური ბელორუსმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს.

C ჯგუფის ფავორიტებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრაში მოაგვარეს საქმე და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. ლიტვის "კაუნასისა" და უზბეკეთის "ფახტაკორის" მატჩში ნულოვანი ფრე დაფიქსირდა. ორივე გუნდი მეოთხედფინალში ითამაშებს. რაც შეეხება უკრაინის ჩემპიონს, დონეცკის "შახტარს", გუნდი ტურნირს უპასუხისმგებლოდ მოეკიდა, მოსკოვში მეორე შემადგენლობა ჩაიყვანა და ერთი მატჩიც ვერ მოიგო. უკრაინის ჩემპიონი აზერბაიჯანის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაამარცხა - 2:1.

D ჯგუფში მეოთხედფინალისტთა ვინაობა მეორე ტურის შემდეგ გაირკვა. მოლდოვის "შერიფმა" და რუსეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ორივე მატჩი მოიგეს და მესამე, დასკვნით ტურში, ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ. თამაში საინტერესო და უხვგოლიანი გამოდგა. 3:3 - ასეთია ამ მატჩის საბოლოო შედეგი. ესტონეთის "ფლორამ" კი თურქმენეთის "შაგადამი" დიდი ანგარიშით დაამარცხა - 3:0, თუმცა, მომდევნო ეტაპზე მაინც "შერიფი" და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ითამაშებენ.

## მოკლედ

**ლონდონის** "ვესტ ჰემმა", რომელიც პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, "ტოტენჰემის" ფორვარდი ლეს ფერდინანდი შეიძინა. ეს ინფორმაცია გუნდის ოფიციალურ საიტზე "ვესტ ჰემის" სპორტულმა დირექტორმა პოლ ოლდრიჯმა დაადასტურა. მისი თქმით კლუბს უკვე დიდი ხანია, რაც ფერდინანდის შეძენა სურს. თვითონ ფეხბურთელმა კი განაცხადა, რომ კლუბს წინსვლაში დაეხმარება და პრემიერლიგაში ადგილს შეანარჩუნებინებს. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ "ჩაქუჩების" შემადგენლობა ლი ბოუერმა გააძლიერა. მან ლონდონელთა რიგებში, "არსენალის" წინააღმდეგ ერთი ოფიციალური შეხვედრა უკვე ჩაატარა.

■ ■ ■

**პორტუგალიური** პრესის ცნობით, ლისაბონის "სპორტინგის" ბრაზილიელი ფორვარდი მარიო ჟარდელი უახლოეს მომავალში შეიძლება საფრანგეთის "პარი სენ-ჟერმენში" გადავიდეს. ადგილობრივი ჟურნალისტები დარწმუნებულები არიან, რომ შეთანხმება ყველა შემთხვევაში მოხდება. საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ რას მიიღებს "სპორტინგი" ჟარდელის სანაცვლოდ. შეიძლება ფრანგებმა ლისაბონელებს ფორვარდი ალოიზიო და მცველი ელ კარკური დაუთმონ. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ პარიზელები "სპორტინგს" ფულად კომპენსაციას გადაუხდიან.

■ ■ ■

**მიუნხენის** "ბაიერნმა" კონტრაქტი გააფორმა გერმანიის ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელთან ტობიას რაუსთან. რაუ აქამდე "ვოლფსბურგის" ღირსებას იცავდა. კონტრაქტი სამწლიანია. რაუ მიუნხენში სეზონის ბოლოს გადაბარგდება. მარცხენა მცველის ფასი დაახლოებით 2 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ვარაუდობენ, რომ ბავარიულ კლუბში რაუ ფრანგ ლიზარაზუს ადგილს დაიკავებს.

■ ■ ■

**სოფიის** "ლევსკისთან" დაახლოებული წყაროების ინფორმაციით ბულგარელები უარს აცხადებენ დონეცკის "შახტარს" ილიან სტოიანოვი მიყიდონ. მარცხენა მცველი ბულგარეთის ჩემპიონს მომავალ სეზონში აუცილებლად დასჭირდება. სატრანსფერო თანხამ, რომელსაც უკრაინელები ბულგარელებს სთავაზობდნენ, ისინი დაარწმუნა, რომ ახლა სტოიანოვის გაყიდვა არ ივარგებს. კლუბმა ფეხბურთელს ახალი კონტრაქტის გაფორმებაც შესთავაზა, რადგან ზაფხულში მას კონტრაქტის ვადა ეწურება.

■ ■ ■

**იტალიის** სერია A-ში პაოლო ბერტინისა და ალფრედო ტრენტალაჯეს არაერთგვაროვანი მსაჯობა შეიძლება არბიტრებს ძვირად დაუჯდეთ. მათ დისკვალიფიკაცია ემუქრებათ. ბერტინიმ, რომელიც "პერუჯა" – "ინტერის" მატჩს უძღვებოდა ორი უხეში შეცდომა დაუშვა: ჯერ მან მიკლანელთა კარში უსამართლო პენალტი დანიშნა, შემდეგ კი ვრიზასის მიერ ხელით გატანილი გოლი ჩათვალა. შედეგად, პირველი ტაიმის შემდეგ "პერუჯა" – 2:0 დაწინაურდა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. ტრენტალაჯეს მსაჯობამაც კამათი გამოიწვია. მან მინდვრიდან ემერსონი გააძევა, რომელსაც 20 წუთში ორი ყვითელი ბარათი უჩვენა და გააძევა აგრეთვე ფაბიო კაპელო. მიზეზი მსაჯთან კამათი, მაგრამ თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ "რომას" მწვრთნელს სიტყვა არ უთქვამს. ამ შეცდომებმა შეიძლება არბიტრების 3-4 კვირიანი დისკვალიფიკაცია გამოიწვიონ. ამ საკითხის ირგვლივ საბოლოო ვერდიქტს პარასკევს გამოიტანენ.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 39 წლის წინათ...



1964 წლის 13 თებერვალი, მილანი. "ჯუზეპე მეაცას" სტადიონი. ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი "მილანსა" და "რეალს" შორის. მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო მატჩის შემდეგ.

# რა ვუთხრათ უეფას?

მიხეილ აბაიშვილი

*ამ რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში შეიკრიბნენ ქვეყნის უშიშროების, სპორტისა და რკინიგზის დეპარტამენტების, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები.*



შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში

საგანგებო თათბირს უძღვებოდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძე, რომელმაც შეკრებილთ პრეზიდენტის პოზიცია გააცნო. სახელმწიფოს პირველი პირი კატეგორიულად ითხოვს, მომზადდეს პირობები იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გადათამაშება საქართველოსა და რუსეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც 2002 წლის 12 ოქტომბერს "ლოკომოტივის" სტადიონზე ელექტროენერგიის გათიშვის გამო ჩაიშალა, ისევ თბილისში ჩატარდეს. ეს მატჩი 30 აპრილისთვის არის დაგეგმილი.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პროტესტის შემდეგ ევროპის საფეხბურთო ასოციაციამ ერთხელ უკვე განიხილა ეს საკითხი, რუსული მხარის პრეტენზიები უსაფუძვლოდ ცნო და თამაშის თბილისში ჩატარებას მწვანე შუქი აუნთო. მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები არ დააკმაყოფილა UEFA-ს ამ გადაწყვეტილებამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას მიერ თათბირზე მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კიდევ ერთხელ მიუმართავს UEFA-სთვის მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარების მოთხოვნით. ასეთ "ნეიტრალურად" კი რუსებმა ბელორუსის დედაქალაქი მინსკი მიიჩნიეს. ეს რომ არასერიოზული მოთხოვნაა, ფეხბურთში ოდნავ ჩახედული ადამიანებიც დამეთანხმებიან, მაგრამ UEFA-მ, თავისივე წესდებისა და რეგლამენტის დაცვის მიზნით, ქართულ ფედერაციას ტელეფაქსით მოთხოვნა მაინც გამოუგზავნა. ამ უსტარის მიხედვით, ქართულმა მხარემ ერთ კვირაში უნდა აცნობოს UEFA-ს 12 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის მიზეზები. ასევე, ამ ორგანიზაციაში ჩვენმა ფედერაციამ უნდა წარმოადგინოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ოფიციალური მატჩის ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა პირობის არსებობის სახელმწიფო გარანტიები.

რაც შეეხება ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზებს, ამის თაობაზე სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის მიერ გამოკვლეული მასალების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ერთი კვირის წინ უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება. საგამოძიებო ჯგუფის დასკვნით, ელექტროენერგიის გათიშვა გამოიწვია სტადიონის ელექტროკომუნიკაციების მომწოდებელი თურქული ფირმის მიერ დამონტაჟებულმა სერვორეგულატორმა, ანუ, პოპულარული ენით რომ ვთქვათ, სტაბილიზატორმა. ეს ხელსაწყო გამოვიდა მწყობრიდან, რაც ქარხნული წუნის შედეგია. აი, ამ დასკვნას წაიღებს UEFA-ში გამოძახებული ვალერი ჩოლარია 28 იანვარს. ამას გარდა, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის, აკაკი ჩხაიძის თქმით, ამ ავარიის შემდეგ "ლოკომოტივის" სტადიონის ენერგეტიკული სისტემის დასახვეწად დაბანდდა დამატებითი ინვესტიციები, რის შედეგადაც 12 ოქტომბრის მოვლენების გამეორების ალბათობა თითქმის ნულს უტოლდება. დამონტაჟდა დამატებითი კვების წყარო და სტადიონი უახლესი "ვოლვოს" სისტემის ელექტროგენერატორითაც აღიჭურვა.

გუშინდელ შეკრებაზე მთავარი საკითხი მაინც რუსეთის ნაკრების მასპინძლობის ხარჯებს შეეხებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ნაკრების მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების ხარჯების გაღება საქართველოს მოუწევს. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ კეთილი ნება გამოიჩინა და თანხის ნაწილის გადახდა იკისრა. მთლიანად ეს თანხა, დაახლოებით, 300 ათას ლარს შეადგენს. თავის წილ ფინანსურ პასუხისმგებლობას არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იხსნის. თედო ისაკაძის რეკომენდაციით, "წილში შემოსვლის" წინადადებით ელექტროენერგიის გათიშვაზე პასუხისმგებელ კიდევ ერთ უწყებას, "AES თელასსაც" მიმართავენ. თუმცა, როგორი იქნება ზემოხსენებული ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობა ამ ვალის დაფარვაში, ვერ გაირკვა. ამ თემაზე სახელმწიფო კანცელარიაში კიდევ ერთი შეკრება გაიმართება.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სახელმწიფო კანცელარიაში გუშინდელი თათბირის ოქმით შეიარაღებულმა და სახელმწიფო გარანტიებმიღებულმა ვალერი ჩოლარიამ UEFA-სგან მატჩის თბილისში გამართვაზე თანხმობის მიღების პირობა დადო.

თედო ისაკაძე: "ეს თამაში აუცილებლად თბილისში უნდა გაიმართოს და ამის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას აამოქმედებს. რაც შეეხება რუსეთის მასპინძლობის ხარჯებს, საჭირო თანხას ერთად გაიღებენ რკინიგზის დეპარტამენტი, ფეხბურთის ფედერაცია, "AES თელასი" და, თუ აუცილებელი გახდა, თანხის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარება".

# ვან გაალის დღეები დათვლილია

## კვირის ბოლოს "ბარსელონა" ახალ მწვრთნელს წარადგენს

აკა ტონია

ლუი ვან გაალის სკამი ჯერ კიდევ დეკემბერში შეირყა, როდესაც "ბარსელონა" "სევილიასთან" შინ 0:3 დამარცხდა. ჰოლანდიელი სპეციალისტის კატალონიიდან გაძევებაზე საუბარი სწორედ მაშინ დაიწყო. მაშინ ვან გაალს ერთგვარი ულტიმატუმიც კი წაუყენეს. შემდეგი მატჩი "ბარსელონამ" მოიგო და ჰოლანდიელმაც შეინარჩუნა სკამი, თუმცა, კითხვა – "რამდენი ხნით?" - მაინც აქტუალური დარჩა.

გასულ შაბათს, როდესაც "ბარსელონამ" საკუთარ "კამპ ნოუზე" რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილ "ვალენსიასთან" 2:4 წააგო, კატალონიელი გულშემატკივრების მოთმინების ფიალა საბოლოოდ აივსო და თითქოს ზემოთ დასმული კითხვის პასუხიც გამოჩნდა – ვან გაალის დღეები "ბარსელონაში" დათვლილია.

თავად ჰოლანდიელი, ახლაც, ისევე როგორც ყოველი მარცხის შემდეგ, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღებას გაურბოდა. კვლავინდებურად გაისმის კარგად ნაცნობი ფრაზები: "ჩვენ მაინც შეგვწევს გამარჯვების უნარი", "არსადაც არ ვაპირებ წასვლას" და ა.შ. იმაში, რომ ვან გაალი თავისი ნებით არ წავა, უკვე ყველა დარწმუნდა, თუმცა, ამისთვის მას სჭირდება გასპარის მხარდაჭერა, რომელიც მას ჰქონდა კიდეც, მაგრამ... ჰოლანდიელი სპეციალისტის მიმართ თავისი დიდი სიმპათიის მიუხედავად, ხუან გასპარი ნამდვილად არ გაწირავს საკუთარ კარიერას. ჩანს, უკვე პრეზიდენტსაც აევსო მოთმინების ფიალა.

ცნობილი ესპანური სპორტული გაზეთი "Marca" და საინფორმაციო სააგენტო "Efe" იუწყებიან, რომ "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო მწვრთნელის გათავისუფლების გადაწყვეტილება და ამის შესახებ მიმდინარე კვირის ბოლოს ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. კულისებიდან გამოაღწია ინფორმაციამ იმის შესახებაც, რომ კვირის ბოლოს გასპარი "ბარსელონას" ახალ მწვრთნელს წარუდგენს.

კატალონიური კლუბის ხელმძღვანელები ვან გაალის შემცვლელად ოთხ საინტერესო კანდიდატურას განიხილავენ. ერთ-ერთი მათგანია არგენტინელი სეზარ ლუის მენოტი, რომელმაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატი მოაგებინა. განიხილება გერმანელი ბერნდ შუსტერის კანდიდატურაც. შუსტერი ამჟამად ესპანეთში მოღვაწეობს - მეორე ლიგის კლუბ "დეპორტივო ხერესის" მწვრთნელია. დიდი სამწვრთნელო წარმატებებით გერმანელი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, ამასთან, მას არასოდეს უმუშავია "ბარსელონას" დონის "დიდ კლუბში". შუსტერით კატალონიელთა დაინტერესებას, ალბათ, უფრო "ძველი მეგობრობა" განაპირობებს. გერმანელი ნახევარმცველი თავის დროზე "ბარსელონაში", "რეალსა" და "ატლეტიკოში" თამაშობდა. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, ალბათ, მეოთხე კანდიდატურა, იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩი უნდა იყოს. ანტიჩი მადრიდის "ატლეტიკოს" მწვრთნელი იყო და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

თუ ესპანურ პრესას დავუჯერებთ, კვირის ბოლოს დიდი ამბები გველის. საინტერესოა, ვის ჩააბარებენ ბოლო დროს დაჩაგრულ "ბარსელონას".



ლუის მენოტი



რადომირ ანტიჩი



ბერნდ შუსტერი



ალბერტო ძაკერონი

# ფარახ ვეჰელი ადოს FIFA-მ ბლატერის კრიტიკა არ აპატია

## სომალის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს

FIFA-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა სომალის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს, ფარახ ვეჰელი ადოს, ზეპ ბლატერის მისამართით გამოთქმული ბრალდებების გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. სასჯელი კი მეტისმეტად მკაცრია: ფეხბურთის სომალელ ფუნქციონერს FIFA-სთან ყოველგვარი ურთიერთობა აეკრძალა. ორი წლის მანძილზე ადო მონაწილეობას ვერ მიიღებს FIFA-ს ეგიდით ჩატარებულ ვერც ერთ შეკრებაში, კონგრესსა თუ ღონისძიებაზე. ერთი სიტყვით, ეს ადამიანი მსოფლიო ფეხბურთის ასოციაციამ ორი წლით მოიკვეთა.

ადო დაისაჯა იმის გამო, რომ FIFA-ს პრეზიდენტს აკრიტიკებდა. სომალელი ბლატერს ბრალად სდებდა, რომ 1998 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კორუფციის გზით გაიმარჯვა, თუმცა, ბრალდება ვერ დაამტკიცა.

20 იანვარს, თავისი გადაწყვეტილების შესახებ, განცხადება გამოაქვეყნა თავად FIFA-მაც. განცხადებაში წერია, რომ FIFA-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა მიიღო სომალის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის დასჯის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელს ორი წლით ეკრძალება მონაწილეობა FIFA-ს ეგიდით განხორციელებულ ყველა საქმიანობასა და ღონისძიებაში. "გადაწყვეტილება მიღებულია სომალელი ოფიციალური პირის მიერ 2002 წლის თებერვალში მედიაში გამოთქმული მოსაზრების გამო, როცა ის იოზეფ ბლატერის 1998 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბინძურ გარიგებებზე საუბრობდა და FIFA-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, მოჰამედ ბინ ჰამანს (კატარი) კორუფციაში ადანაშაულებდა.



ფარახ ვეჰელი

როდესაც FIFA-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა ბატონ ადოს ბრალდებების დასაბუთება მოსთხოვა, ამ უკანასკნელმა ეს ვერ შეძლო. წარმოადგინა მხოლოდ ერთი ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია მოჰამედ ბინ ჰამანი რამდენიმე ადამიანთან ერთად. როგორც თავად სომალის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე აცხადებს, ისინი ხელს აწერენ დეკლარაციას, რომლის თანახმადაც, ზეპ ბლატერისთვის საარჩევნო ხმების მიცემის სანაცვლოდ, მათ ჰამანისგან ფული მიიღეს. დისციპლინარულ კომიტეტს ამ დეკლარაციის ასლი არ მიუღია.

"FIFA-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მისამართით დაუსაბუთებელი ბრალდება მთელი ფეხბურთის დისკრედიტაციაა.

სასჯელი ძალაში შედის 2003 წლის 20 იანვრიდან", - ნათქვამია FIFA-ს განცხადებაში.

ძიუდო

# თბილისამდე მოსკოვია

გიგა გურასაშვილი

*რამდენიმეწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, თბილისში "დაბრუნებულ" ძიუდოში A კატეგორიის რიგით 30-ე საერთაშორისო ტურნირს ჩვენი დედაქალაქი უმასპინძლებს. ტურნირი, თავისთავად, მაგრამ ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიებია მოსაპოვებელი. სალიცენზიო ტურნირები კი მოსკოვში, 25 იანვრიდან იწყება. მოსკოვის ტურნირის შემდეგ, თვის ბოლოს, თბილისი ჩაიბარებს ესტაფეტას.*

ქართველმა ძიუდოისტებმა კარს მომდგარი უმნიშვნელოვანესი ტურნირებისთვის შობის დღესასწაულიდანვე დაიჭირეს თადარიგი. 8 იანვარს გუნდმა "სრული მობილიზაცია" გამოაცხადა და ვარჯიში განაახლა. გუშინ, როდესაც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, შოთა ხაბარელს, დარბაზში ვეწვიეთ, ძიუდოისტები სამოსკოვოდ და, პარალელურად, სათბილისოდ ოფლს ღვრიდნენ. ხაბარელის თქმით, მოსკოვის ტურნირზე და, საერთოდ, დანარჩენ, ამავე სახის სალიცენზიო ტურნირებზე, გუნდს მთავარ ამოცანად მაქსიმალური ქულების დაგროვება აქვს დასახული. რაც შეეხება ნაკრების ბირთვს, მწვრთნელი თვლის, რომ თითო წონაში შერჩეული ოთხი სპორტსმენიდან ყველას მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. თუ რომელიმე მათგანი მოსკოვის ან თბილისის შემადგენლობაში ვერ მოხვდა, მათ დანარჩენ ტურნირებზე გამოცდიან. ყოველ შემთხვევაში, შემადგენლობის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად მანევრირების საშუალება არსებობს. ამასთან, წესდებაც იძლევა საშუალებას, რომ თითო წონაში ორი სპორტსმენით გამოვიდეთ, გარდა 90 და 100 კილოგრამი


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ქართველი ძიუდოისტების ვარჯიში*

წონითი კატეგორიებისა, რომლებშიც მხოლოდ თითო სპორტსმენის გაყვანის უფლება გვაქვს. თბილისში, როგორც მასპინძელ ქვეყანას, წესდება თითოეულ წონაში ოთხი ძიუდოისტის გაყვანის უფლებას გვაძლევს. ასე გაგრძელდება ევროპის ჩემპიონატამდე. იქ კი გამოჩნდება, თუ ვინ წავა მსოფლიო ჩემპიონატზე. ერთი სიტყვით, ხაბარელი ძიებაშია.

ახლა თბილისის ტურნირზეც ვთქვათ. როგორც შოთა ხაბარელმა გვითხრა, **"ყველა ნიუანსი თუ დეტალი გათვლილი და შესწავლილია. სპორტსმენთა და მსაჯთა ეკიპირება, ტრანსპორტირება, დაბინავება... საქმეს კარგი პირი უჩანს. ამასთან, თბილისური ტურნირი საიუბილეოა და, ვცდილობთ, თავი არ შევირცხვინოთ".**

თბილისურ ტატამზე გამოვლენ საფრანგეთი, იაპონია, რუსეთი (ორი შემადგენლობით), უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, ისრაელი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, სომხეთი... თითოეულ წონაში 15-16 სპორტსმენი იასპარეზებს. რაც მთავარია, ლიცენზიის მოპოვება ყველას სურს. ასე რომ, არაერთი უშეღავათო პაექრობის მოწმე გავხდებით.

კრივი

# Родина Мать Зовет!

*მას შემდეგ, რაც რუსეთში დაბადებულმა და ავსტრალიაში გადასახლებულმა, ქვესაშუალო წონის აბსოლუტურმა ჩემპიონმა კრივში, კონსტანტინ ცზიუმ ოთხიოდე დღის წინათ მელბურნში, "ტელსტრა დოუმში" ამერიკელი ჯესი ჯეიმს ლეიხას ხელყოფისგან სამი - WBC (საბჭოს), WBA (ასოციაციის) და IBF (ფედერაციის) პრესტიჟული საჩემპიონო ქამარი დაიცვა, რუსებმა გადაწყვიტეს, ცზიუს ერთ-ერთ სატიტულო ბრძოლას თავადაც უმასპინძლონ. თუმცა, უკვე დიდი ხანია, რუსეთში ამაზე საუბრობენ.*

გიგა გურასაშვილი

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს დიდი ორთაბრძოლის წინ, საკუთარ კედლებში გამართვაზე ფიქრი არც გუშინ დაუწყიათ და არც დღეს. ნამდვილი საჩემპიონო შერკინების გამართვის მცდელობა პირველად ათი წლის წინათ ჰქონდათ. ერთხელ, უჟკა-ს დარბაზში, უმასპინძლეს კიდეც ამგვარ დაპირისპირებას, მაგრამ 1993 წლის IBF (ფედერაციის) ვერსიით საჩემპიონო ქამრისთვის ორთაბრძოლა პირველი და, ჯერჯერობით, უკანასკნელი გამოდგა. შერკინებით კი მაშინ ამავე ვერსიის საწყისი მძიმე წონის (86,2 კილოგრამამდე) მსოფლიოს ჩემპიონი ელ კოული და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ბრიტანელი გლენ მაკროი დაუპირისპირდნენ. თითქოს საქმეც დაიძრა, მაგრამ შემდგომ ყოველივე მინავლდა. საჭირო გახდა საკუთარი გმირის ყოლა, რაც ტელეკომპანიებს პროფესიული კრივისადმი ინტერესს გაუღვივებდა და ამ საქმეში ფულსაც დააბანდებდა.

ახლა კი რუსებს მიაჩნიათ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ცზიუ მოსკოვში ორთაბრძოლას გამართავს, მაშინ ყოველივე, როგორც მოყვარულ, ისე პროფესიულ კრივზე, ისეთივე გავლენას მოახდენს, როგორც ეს, თავის დროზე, პეტრე პირველის ეკონომიკურ რეფორმებს მოჰყვა.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ფხას გამოიჩენენ რუსი მენეჯერები. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, კონსტანტინ ცზიუს მენეჯერ ვლად უორტონთან, რომელიც ამავე დროს პრომოუტერთა ფირმის "Millennium Events"-ის პრეზიდენტიცაა, მოლაპარაკება წარმატებული გამოდგა. მხარეები, ფაქტობრივად, ყველა საკითხში შეთანხმდნენ. რუსეთში მომავალი ორთაბრძოლის გამართვის სავარაუდო დრო მიმდინარე წლის მაისი ან ივნისია. თუმცა, ყველაფერი საბოლოოდ დადგენილი მაინც არ არის. მენეჯერები შემდეგ მოლაპარაკებას 20 თებერვალს გამართავენ.

ინფორმაცია

## ტომბა მაქინაციებში გაება

პასპორტი ვადაგასულია. ესე იგი, ბილეთისა და ბარგის რეგისტრაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ თუ ამ ვადაგასულ დოკუმენტზე ახლო წარსულში ცნობილი იტალიელი სამთო მოთხილამურის ალბერტო ტომბას ფიზიონომია არის აღბეჭდილი, მოლაპარაკება შეიძლება. სამწუხაროდ, თავგასულობა, როცა სახელოვან სპორტსმენზეა საუბარი, ყოველთვის არ ჭრის.

სწორედ ამგვარად გამოიმუშავა ალბერტო ტომბამ პასპორტების გაყალბების ბრალდება. ეს ინციდენტი მოხდა ფიუმიჩინოს აეროპორტში, საიდანაც ცნობილი მოთხილამურე, რამდენიმე მეგობართან ერთად, არდადეგებზე გამგზავრებას აპირებდა.

ეს საღამო ერთკვირიანი პიკნიკის დასაწყისი უნდა გამხდარიყო. მოგზაურთა უკანასკნელი გაჩერება ეგვიპტე - შარმ-ალ-შეიხი იყო. თუმცა, დაახლოებით, რვა საათისთვის, როცა თვითმფრინავში ჩასხდომა გამოცხადდა, ავიაკომპანიის თანამშრომლებმა სახელოვან სპორტსმენს უთხრეს, რომ მისი პასპორტი ვადაგასულია, რადგან დროულად არ იყო განახლებული. მომსახურე პერსონალმა ყოფილ ჩემპიონს აუხსნა, რომ ასეთი დოკუმენტით იტალიის დატოვება შეუძლებელია.

ალბერტო ტომბა საშინლად გაღიზიანდა და თვითმფრინავში ჩაჯდომას მოითხოვდა. პერსონალი უკან დახევას არ აპირებდა. ტომბა არ ცხრებოდა. ის ცოტა ხნით გაეცალა სარეგისტრაციო მაგიდას, აშკარად ყალბი პასპორტით დაბრუნდა და ისევ თვითმფრინავისკენ გაიწია. მაშინ საქმეში ჩაერია აეროპორტის სასაზღვრო პოლიცია. ყოფილი ჩემპიონი განყოფილებაში მიაბრძანეს და ბრალდება წაუყენეს. თვითმფრინავი კი შარმ-ალ-შეიხში ტომბას გარეშე გაფრინდა.

საინტერესოა, რომ სახელგანთქმული სპორტსმენი პირველად არ არღვევს კანონს. სამი წლის წინათ ტომბამ თავის ავტომობილზე სირენა დააყენა და ტრასაზე მანქანების მრავალკილომეტრიან კოლონას გაუსწრო. მიზეზი ის იყო, რომ ვარჯიშზე აგვიანდებოდა. განრისხებულმა მძღოლებმა ტომბას წინააღმდეგ პოლიციაში სარჩელი შეიტანეს. ეს შემთხვევა ჩემპიონს პენსიაზე გასვლის ფასად დაუჯდა.

## ერაყს ყოველი მხრიდან უტევენ

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების არეალში მოქცეული ჰუსეინების გვარის წარმომადგენლებისადმი ინტერესი არა და არ ცხრება. თუ ერაყის მმართველით, სადამ ჰუსეინით, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებულან, მისი უფროსი შვილის - უდეი სადამ ჰუსეინის მიმართ სპორტული სამყაროც დიდ ინტერესს იჩენს. უდეის პერსონით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც დაინტერესდა.

მას შემდეგ, რაც ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სათავეში უდეი ჰუსეინი მივიდა, დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ქვეყნის მმართველი სპორტული ოჯახი საერთაშორისო ორგანიზაციების, მეტადრე, ადამიანთა უფლებების დამცველ აქტივისტთა განსჯის საგანი გახდა. თუ ერაყელ სპორტსმენთა ტანჯვა-წამების ფაქტებს თავიდან ეჭვით უყურებდნენ, დროთა განმავლობაში ამის არაერთი სამხილი გაჩნდა, პირველ რიგში, თვითმხილველთა მხრიდან.

დეკემბერში ლონდონში დაბინავებულმა ადამიანთა უფლებების დამცველმა ჯგუფმა Indict-მა გადაწყვიტა, ყველაფრისთვის ბოლო მოეღო. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მოუწოდა, უფრო სწორად, მოსთხოვა, რომ სოკ-ის ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევისთვის, რაც მათი და გაეროს მიერ წარდგენილ მასალებზე დაყრდნობით იყო შემუშავებული, ერაყი დიდი ოლიმპიური ოჯახიდან მოეკვეთა. აქტივისტთა რადიკალური განცხადება სოკ-ს უყურადღებოდ არ დაუტოვებია და საქმეში უკეთ გასარკვევად დრო ითხოვა. ორიოდე დღის წინ გაირკვა, რომ ოლიმპიური მოძრაობის მოხელენი ამ საკითხზე ნამდვილად მუშაობენ.

"ჩვენ, მართლაც, მივიღეთ საჩივარი, რომელსაც ამჟამად განვიხილავთ", - "The Associated Press"- თან საუბარში განაცხადა სოკ-ის ეთიკის კომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პაკრეტ ჟირარ ზაპელიმ და იქვე დასძინა, რომ სანამ საქმეს ბოლომდე განიხილავენ, დანარჩენი ინფორმაციის მოწოდებისგან თავს იკავებს.

რაც შეეხება Indict-ს, ეს ორგანიზაცია 1997 წელს ჩამოყალიბდა. დაარსების დღიდან, მათი უმთავრესი საზრუნავია, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობების გამო, დაემხოს ჰუსეინის რეჟიმი, ხოლო თავად სადამი საერთაშორისო ტრიბუნალს გადაეცეს. საგულისხმოა, რომ, აშშ-ის კონგრესის სახით, მათ ძლიერი მხარდამჭერი ჰყავთ - ორგანიზაციას სამი მეოთხედით სწორედ ეს უკანასკნელი აფინანსებს.

არა გვგონია, უდეის ეთიკის კომისიაში შემავალი ყოფილი მძლეოსნის ედვინ მოზესის, ან გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუელიარის სახითაც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები.

ჩოგბურთი

# აგასი და უფროსი უილიამსი ნახევარფინალში გავიდნენ

*მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი გამარჯვებულები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). მეოთხედფინალი.*

**ვაჟები**

ანდრე აგასი (აშშ, 2) - სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 12) 6:3, 6:2, 6:2

უეინ ფერეირა (სარ) - ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 4) 7:6 (7:4), 7:6 (7:5), 6:1

**ქალები:**

ვინუს უილიამსი (აშშ, 2) - დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 7) 6:4, 6:3

ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 5) - ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:2

მწვანე კონტინენტზე გუშინდელი მატჩები კინაღამ შეწყდა, მაგრამ ამის მიზეზი აუტანელი სიცხე კი არა, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გვატყობინებდნენ, არამედ კანბერას რაიონში ტყის მასივის ხანძარი იყო. საჩოგბურთო ცენტრში მოქმედებს ორი დახურული კორტი, რომელიც ექსტრემალური სიტუაციებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დებულების თანახმად, სხვა კორტებზე თამაში უნდა აკრძალულიყო. თუმცა, უპრეცედენტო ზომების მიღება საჭირო არ აღმოჩნდა. ტურნირის მთავარმა მსაჯმა, პიტერ ბელენჯერმა, დადებითი ვერდიქტი გამოიტანა და შეჯიბრება ჩვეულ რიტმში გაგრძელდა.

გუშინ ორივე თანრიგში პირველი ორი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. მელბურნის კორტებზე კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა სამხრეთ აფრიკელი


REUTERS

*ჟიუსტინ ენინ-არდენი*

უეინ ფერეირასა და მეოთხე ნომრად განთესილი ესპანელის ხუან კარლოს ფერეროს შეხვედრაში. სპეციალისტთა საერთო აღიარებით, სამხრეთაფრიკელმა ტურნირის საუკეთესო თამაში აჩვენა. ფერეირამ ორი ტაი-ბრეიკი მოუგო ამბიციურ მეტოქეს და გადამწყვეტი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა. მესამე სეტში ხუან კარლოს ფერერომ, პრაქტიკულად, წინააღმდეგობა შეწყვიტა.

უეინ ფერეირა ნახევარფინალში დაუპირისპირდება ამერიკელ ანდრე აგასის, რომელმაც იოლად მოუღო ბოლო ფრანგ სებასტიან გროსჟანს. ნახევარფინალისტები ქალებმაც გამოავლინეს. თუმცა, მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის სამწუხაროდ, მატჩებში დაძაბული ბრძოლა არ გამოვიდა. ვინუს უილიამსმა და ჟიუსტინ ენინმა იოლად დაძლიეს მეტოქეთა წინააღმდეგობა.

უილიამსი სლოვაკ ლამაზმანს, დანიელა ჰანტუხოვას ხვდებოდა. სლოვაკი ჩოგბურთელის გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ მათი კერპი უფროს უილიამსს, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ ბრძოლას გაუმართავდა. თუმცა, ვინუსმა ამჯერადაც არავის მისცა თავის უპირატესობაში დაეჭვების უფლება. მხოლოდ პირველ სეტში, როცა ანგარიში იყო 5:4 ამერიკელის სასარგებლოდ, თავის მოწოდებაზე უილიამსი ოდნავ მოდუნდა, მაგრამ სლოვაკმა ვერ გამოიყენა ეს შანსი და 4:6 წააგო. ჰანტუხოვა მეორე სეტშიც მეტოქეზე უარესად გამოიყურებოდა და საბოლოოდ დამარცხდა. მატჩის შემდგომ, პრესკონფერენციაზე, უფროსი უილიამსი უკვე ფინალში, თავის უმცროს დასთან მატჩის დეტალებს არჩევდა.

თუმცა, ნახევარფინალში ვინუს უილიამსს რთული ბრძოლა ელის ბელგიელ ჟიუსტინ ენინთან, რომელიც მელბურნის კორტებზე ასევე შთამბეჭდავად გამოიყურება. ამჯერად ენინმა ესპანელი ვირხინია რუანო პასკუალი დაამარცხა - 6:2, 6:2. ასეთი ანგარიშის მიზეზი უკანა ხაზზე ესპანელის ცუდი თამაში გახდა. საინტერესოა, რომ ესპანელი ჩოგბურთელი პირველ სეტში 2:0-ს იგებდა, მაგრამ ამან შვება ვერ მოჰგვარა.

მოკლედ

**ოლიმპიზმი:** გუშინ საბერძნეთის არმიის ჯარისკაცებმა შეამოწმეს ათენის ყოფილი საერთაშორისო აეროპორტი, რომლის ადგილზეც 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი ობიექტი აიგება. ისინი ეძებდნენ ნაღმებს, რომლებიც შეიძლებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილიყო. მათი ვარაუდი გამართლდა. ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს ერთბაშად ორი ბომბი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უვნებლად შენახულა. ბომბები გააუვნებელყვეს. შეგახსენებთ, რომ აეროპორტი, რომელიც მხოლოდ შარშან დახურეს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანელ ოკუპანტებზე დარტყმის მიზნით, მოკავშირეთა მიერ უმოწყალოდ იბომბებოდა. გაურკვეველი მხოლოდ ის რჩება, თუ რატომ ვერ აღმოაჩინეს აეროპორტის ტერიტორიაზე ბომბები 60 წლის განმავლობაში.

■ ■ ■

**ჩოგბურთი:** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ოფიციალური საიტის ინფორმაციით, ყველაზე პოპულარული ჩოგბურთელი ამერიკელი ანდრე აგასია. თითქმის 13 ათასი რესპონდენტიდან აგასის სასარგებლოდ ხმა მისცა 18-მა პროცენტმა. გამოკითხვის მიხედვით საკმაოდ მოულოდნელი ჩანს ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფხანის მეორე ადგილი. მის მიმართ სიმპათია 14-მა პროცენტმა გამოხატა. მესამეა ლეგენდარული პიტ სამპრასი (11 პროცენტი). 10 პროცენტით მეოთხე პოზიციაზე რუსი მარატ საფინი გავიდა. საინტერესოა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ლეიტონ ჰიუიტი, 7 პროცენტით, მხოლოდ მეშვიდეა. მას უსწრებენ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი (9 პროცენტი) და ესპანელი ხუან კარლოს ფერერო (8).

■ ■ ■

**კალათბურთი:** NBA-ის კლუბმა "კლივლენდ კავალიერსმა" მწვრთნელ ჯორჯ ლუკასთან კონტრაქტი გაწყვიტა. მისი ხელმძღვანელობით "კავალიერსმა" გუნდის გაახალგაზრდავებაზე გადაიტანა აქცენტი, რაც გუნდის შედეგებზე უარყოფითად აისახა. "კავალერები" 6-მატჩიანი გასვლითი სერიიდან, სამშობლოში მხოლოდ ერთი გამარჯვებით დაბრუნდნენ. ლუკასი კლუბის არსებობის ისტორიაში რიგით მე-13 მწვრთნელი იყო.

■ ■ ■

**ხელბურთი:** პორტუგალიაში სტარტი აიღო მსოფლიო ჩემპიონატმა ხელბურთში. ასპარეზობაში 24 ქვეყნის ეროვნული ნაკრები მონაწილეობს. გუნდები ოთხ ექვსგუნდიან ჯგუფად დაიყვნენ. A - იუგოსლავია, ესპანეთი, ტუნისი, კუვეიტი, პოლონეთი, მაროკო. B - გერმანია, ისლანდია, ავსტრალია, პორტუგალია, კატარი, გრენლანდია. C - საფრანგეთი, რუსეთი, უნგრეთი, ხორვატია, არგენტინა, საუდის არაბეთი. D - შვედეთი, დანია, სლოვენია, ეგვიპტე, ბრაზილია, ალჟირი. მატჩები პორტუგალიის რვა ქალაქში გაიმართება (გიმარაე, ვიზეუ, ფუნშალი, საუ ჟოაუ დე მადეირა, კამინიე, ეშპინიუ, პოვოა დუ ვარზიმი და რიუ მაიორი). ფინალურ შეხვედრებს 1-2 თებერვალს ლისაბონი უმასპინძლებს. პირველი ტურის მატჩები ასე დასრულდა: რუსეთი-უნგრეთი 31:30, გერმანია-კატარი 40:17, ალჟირი-ბრაზილია 22:22, ისლანდია-ავსტრალია 55:15, ხორვატია-არგენტინა 29:30, ტუნისი-კუვეიტი 29:20, იუგოსლავია-პოლონეთი 24:20, შვედეთი-ეგვიპტე 29:23, პორტუგალია-გრენლანდია 34:19, საფრანგეთი-საუდის არაბეთი 30:23, დანია-სლოვენია 33:24, ესპანეთი-მაროკო 23:18.

ჭადრაკი

# ანანდი პირველია, ვან ველი მიწაზე დაეშვა

**ჰოლანდია. ვეიკ-ან-ზეე. საჭადრაკო სუპერტურნირი. მე-8 ტური:** *ბარეევი - ტიმანი 1:0, კარპოვი - ვან ველი 1:0, ივანჩუკი - ტოპალოვი 0,5:0,5, პონომარიოვი - რაჯაბოვი 0:1, კრამნიკი - ანანდი 0,5:0,5, კრასენკოვი - პოლგარი 0,5:0,5, შიროვი - გრიშჩუკი 0:1.*

მერვე ტურში სპეციალისტთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში კრამნიკ-ანანდის პარტია მოექცა. კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ კრამნიკისთვის ანანდთან დაპირისპირება პირველობისთვის ბრძოლის უკანასკნელი შანსი იყო. მსოფლიო ჩემპიონმა დებიუტი კვლავ თავისთვის უჩვეულო სვლით - e4-ით დაიწყო და რუსულ პარტიაში სტაბილური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ჭკვიანი ინდოელის შეუპოვარ დაცვას ვერაფერი მოუხერხა.



*ვიშვანათან ანანდი*

ამ პარტიაში მიღწეულმა ყაიმმა ანანდს საშუალება მისცა, ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო, რადგან მის სენსაციურ კონკურენტს, ლუკ ვან ველის, ანატოლი კარპოვმა პირველი მარცხი აგემა და ციდან დედამიწაზე ჩამოიყვანა.

სვეშნიკოვის მორიგი ვარიანტი გათამაშდა შიროვ-გრიშჩუკის პარტიაში. შიროვმა სცადა, თამაშის ხარისხი გაეუმჯობესებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. საქმე იმით დასრულდა, რომ დაახლოებით თანაბარ პოზიციაში შიროვმა უხეში შეცდომა დაუშვა და მეტოქეს რამდენიმე სვლით ჩამორჩა. გრიშჩუკმა მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე - გამარჯვებამდე მიიყვანა.

რვა ტურის შემდეგ გრიშჩუკი დაეწია უნგრელ იუდით პოლგარს, რომელიც ყაიმზე სწრაფად შეუთანხმდა პოლონელ კრასენკოვს და ლუკ ვან ველის და, მათთან ერთად, მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს. მორიგი წარუმატებლობა ეწვია ბოლო დროს საჭადრაკო სკანდალში გახვეულ უკრაინელ რუსლან პონომარიოვს. FIDE-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, მაგრამ ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვი უფრო მრავალფეროვანი აღმოჩნდა.

რაჯაბოვს 8 შესაძლებლიდან 4 ქულა დაუგროვდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც ევგენი ბარეევს (რომელმაც იოლად დაამარცხა ტურნირის უპირობო აუტსაიდერი იან ტიმანი), ტოპალოვს და ივანჩუკს, რომლებიც მერვე ტურში დაზავდნენ. დღეისთვის ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება: ვიშვანათან ანანდი - 5,5 ქულა, ალექსანდრ გრიშჩუკი, იუდით პოლგარი, ლუკ ვან ველი – 5-5, ალექსეი შიროვი - 4,5.

გაზეთი 24 საათი

22.01.03 N-20




## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**

კამერული მუსიკის კონცერტი

მონაწილეობენ: საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე, მთავარი დირიჟორი გიორგი ჟორდანია, სოლისტი ვალერიან შიუკაშვილი

დას: 19:00 სთ

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

ლუდვიგ მინკუსი "დონ კიხოტი", სოლისტები: ნინო ანანიაშვილი, სერგეი ფილინი

დას: 18:00 სთ; ფასი 10-80 ლარი

**თეატრალური სარდაფი**

"უსიერ ტყეში", რეჟ. ნინო შოთაძე

დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**

"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი

დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**

11 ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**

"დაჯექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**

თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი

დას: 11:00; 14:00; 17:00 სთ; ფასი 5-8 ლარი

"გაფარჩაკებულები", რეჟ. გევინ ბრაზერი

დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**„ელისო„**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**

**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.

მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე საბაგიროსთან, ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ავტოფარეხით. ტ: 39-87-19.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 1200 კვ.მ.-ზე მეტი მიწის ნაკვეთი ქვემო წყნეთში. 69 99 00, 66 09 32

იყიდება 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ალმაშენებლის ხეივნიდან 400 მ-ში, რესტორან „ფორტუნასთან". 53 07 48

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება გრიბოედოვზე ქუჩისპირა სარდაფი საკომერციოდ ან დაწყობად. 98-86-01.

ქირავდება საოფიდეს გრიბოედოვზე 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა პარკეტიანი საუთარი სადარბაზოთი. 98-86-01.

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში დღიურად. ფასი მოლაპარაკებით. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

**შეგასწავლით!**

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოვამზადებ მათემატიკაში, ირმა ნიორაძის საბალეტო სტუდია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 5 წლის ასაკიდან. ფალიაშვილის ქ. N34. ტელ: 22-47-29

BRITISH HOUSE -ინგლისური სამ თვეში მოსწავლეთათვის 6 თვეში. ტ: 23-31-45 (საღამოს) 899 554469

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ახალ პროექტში სათანამშრომლოდ გვესაჭიროება ექვსი თანამშრომელი სერიოზული ადამიანი, ანაზღაურება საინტერესოა. 58-83-58.

დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ვმკურნალობთ კანის დაავადებებს: ფსორიოზს, ნეიროდერმიტს, სებორეას, ეგზემას, სოკოს (ლიც. № 0002440). მიცკევიჩის 29 ა. 39 18 24 (10-დან 15 სთ-მდე), 39 80 50 (18 სთ-დან)

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, დისკოზის და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანების სუპინატორები, ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

იყიდება ინგლისური ჯიშის გოჭები. 8(99) 93 93 85

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

იყიდება ამერიკული თოჯინა „კარმენი" - ორიგინალი. 75 15 04

გუდრონის დასხმა. 96 31 83

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:

- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

## სკანდინავიური კროსვორდი

















# პარიზული კვირეულის დღიურიდან



ჟან პოლ გოტიეს მოდელი



"შანელი"



"ვალენტინო"



კრისტიან დიორის კოლექციიდან

რამდენიმე დღეა, მოდის სამყაროში ისეთი გატაცებით ქმნიან და ათვალიერებენ გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებს, თითქოს, ჯერ 22 იანვარი არ იდგეს. პარიზის მოდის კვირეულიც, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ჩინელი აკრობატებისა და ფერადი ყვავილების ფონზე საოცრად მხიარულად მიმდინარეობს. 2003 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციების ჩვენება ხვალ დასრულდება. მოდური ევროპელები ამ დღესაც ამაღლებული განწყობით ელიან, მაგრამ მათ ღონისძიების მთავარი სენსაცია და სიურპრიზი უკვე იხილეს. კრისტიან დიორის სახლის დიზაინერმა, ალბათ, ყველაზე ექსცენტრიულმა ბრიტანელმა, ჯონ გალიანომ საზოგადოებას დაუვიწყარი სანახაობა აჩუქა. სავარაუდოა, რომ სწორედ გალიანოს უკიდეგანო ფანტაზიის გამო, ვალენტინოს, ვერსაჩეს და ჟან პოლ გოტიეს არანაკლებ ლამაზი შოუები დიორის სახლის ჩვენებამ დაჩრდილა.

არადა, როგორც ცნობილია, თითოეული მოდელის შეკერვა ხშირად 50 ათასი დოლარი ჯდება, ჩვენებების გამართვა კი (მანეკენების, სცენისა და სპეცეფექტების ჩათვლით) 500 ათასი დოლარი ღირს. გუშინ პარიზული მოდის კვირეულზე აკრედიტირებული ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ დონატელა ვერსაჩემ, ალბათ, სწორედ ასეთი ფასების გამო, ჩვენება რომელიმე დაქირავებულ დარბაზში კი არა, პრეზიდენტის სასახლის მახლობლად მდებარე თავის ძვირფას ბუტიკში გამართა. სამაგიეროდ ფასებსა და გრანდიოზულ სცენას არ შეუშინდა ჯონ გალიანო და შოუ, თითქმის, ქალაქგარეთ, იპოდრომზე მოაწყო. ერთხანს დიორის სახლის წარმომადგენლების ამაღლებული განწყობის ჩაშხამებას შეეცადნენ მოდის ინდუსტრიის თანამშრომლები, რომელთაც იქვე, იპოდრომთან, ტანსაცმლის ქარხნების დახურვის გამო, საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. თუმცა, მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა: როდესაც ორსაათიანი ლოდინის შემდეგ ბოლოსდაბოლოს შოუ დაიწყო, მაყურებელს არა თუ დემონსტრანტები, საერთოდ რეალობაც გადაავიწყდათ.

## ალისა საოცრებათა ქვეყანაში

კიდევ კარგი ჩვენებისთვის განკუთვნილი არენა ბრეზენტით გადახურეს, თორემ იმ ღამეს პარიზში ისე წვიმდა, რომ არა მოდისადმი დიდი თავგანწირვა, წესით, დიორის სახლის ჩვენებას ცოტა მაყურებელი უნდა ჰყოლოდა. თუმცა, როგორც ჩანს, საზოგადოება – მათ შორის, მსახიობი ელიზაბეტ ჰარლი და პრეზიდენტ შირაკის მეუღლე, ბერნადეტი – იპოდრომზე გალიანოს სახელგანთქმულმა ფანტაზიის უნარმა მიიყვანა. ხალხი წინასწარ ელოდა რაღაც განსაკუთრებულს და ასეც მოხდა: სცენა წითელსამოსიანმა ჩინელმა კუნფუისტებმა დაიკავეს, მათ შანხაელი აკრობატები მოჰყვნენ, რგოლების ტრიალითა და უცნაური ტრიუკების შესრულებით, შემდეგ კი – მოდელებიც. რამდენიმე წუთში მაყურებელი უკვე ჩურჩულით ასკვნიდა, რომ ჩინეთ-იაპონიიდან ახლახან დაბრუნებულ გალიანოს ახალი კოლექციისთვის აზიაში ნანახი და მოწონებული, აბსოლუტურად, ყველა ქსოვილი გამოეყენებინა. ჩინური შთაბეჭდილებებით სავსე დიზაინერის ჩვენებაში წამყვანი ნოტი აზიური იყო, ულამაზესი ქსოვილებითა და თმის სარჭებით. თუმცა, მაინც გამოსჭვიოდა პარიზული სულისკვეთება: როგორც მოდის ჟურნალისტები მოგვიანებით ასკვნიდნენ, ეს გახლდათ მე-18 საუკუნის ვერსალის კარის პრიზმაში დანახული აზია.

როგორც ჩანს, სხეულის ფორმების იგნორირების იდეაც გალიანოს აზიაში გაუჩნდა. ის იმდენად მოიხიბლა ქსოვილებითა და ფერებით, რომ თითოეული კაბა სწორედ მათ მიხედვით შეკერა და, თითქმის, მეასე პლანზე გადაიტანა თვითონ სხეული. მეტიც, მანეკენებს სახე ნიღბის მსგავსი, სქელი მაკიაჟით დაუფარა, თავი სირაქლემას ფრთისგან შეკერილი ქუდებით, ტანი კი – რამდენიმე ფენისგან შედგენილი, აბსტრაქტული ფორმის კაბებით. მანეკენებიც სცენაზე კომბოსტოს ფურცლებივით იფრცქვნიდნენ ულამაზესი ფერის ნაჭრებს – ყვითელს, ოქროსფერს, ლურჯს... ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კიმონოს ფიგურები, ხელით მოხატული აბრეშუმები, ყვავილებით მორთული კაბები, კრინოლინის ქვედაბოლოები, რომლებიც გალიანომ მე-18 საუკუნის ფრანგულ მხატვრობაში უკვდავყოფილი მერძევე გოგონას გავლენით შექმნა...

ერთი სიტყვით, შოუ მართლაც დიდებული გამოდგა. თუმცა, ფარდის დაშვების შემდეგ მაყურებელი ერთხმად აღიარებდა, რომ გალიანო კოლექციებს ქმნის მხოლოდ ეფექტური, თეატრალიზებული წარმოდგენებისთვის. თორემ, მისი მოდელების ჩაცმა არც მდიდრულ სადილებზე შეიძლება და არც - ჰოლივუდის საზეიმო ცერემონიალებზე. ამ ტანსაცმელს ალისას საოცრებათა სამყაროში თუ მოირგებენ მხოლოდ.

გალიანოს მიზანიც ეს არის – მაყურებელს დემონსტრანტებიც დაავიწყოს, წვიმიანი პარიზიცა და ომიც და ყველა ალისას გზას გაუყენოს. მით უფრო, რომ ამისათვის საჭირო ფინანსურ საშუალებას დიორის წარმატებული ბიზნესი ნამდვილად იძლევა. კომპანიის კუტურიეს ხაზის მოგებამ, ხომ ბოლო ხანს 41 პროცენტით იმატა, რასაც ვერ ვიტყვით დიორის მთავარ მეტოქეზე, "გუჩიზე". ამ ჯგუფმა დეკემბერში დიდი ზარალი ნახა და ყველაფერი ერაყში შესაძლო ომს დააბრალა.

## კლასიკურის და სექსუალურის ნაზავი

შეიძლება ითქვას, რომ ერაყში ომის საშიშროება ყველაზე მხიარულად სწორედ ჯონ გალიანომ მიიღო. დანარჩენები დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას და რეცესიის საფრთხეს შეუშინდნენ და პარიზის ჩვენებებში მონაწილეობაზე უარი თქვეს. დონატელა ვერსაჩეც, მასშტაბური შოუს ნაცვლად, მაღაზიაში მოწყობილი ექსპოზიციით დაკმაყოფილდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სურდა, თავისი ერთგული კლიენტისთვის (რომელთა რიგში მადონაც იგულისხმება) ახალი კოლექცია ინტიმურ გარემოში წარედგინა.

პარიზის ჩვენებაზე განწყობა აამაღლა ჟან პოლ გოტიეს გამოჩენამაც. დიზაინერმა პოდიუმზე კლასიკური და სექსუალური ტანსაცმლის ნაზავი წარადგინა. მინიატურული ჟაკეტები, ობობას ქსელივით ნაქსოვი კორსეტები, გრძელი და მრავალფენიანი ქვედაბოლოები, მარგალიტები, მწვანე, ვარდისფერი, შავი, თეთრი – ეს და დანარჩენი აქსესუარები მშვენივრად ითავსებდნენ მეოცე საუკუნის სულისკვეთებასა და თეატრალურობასაც.

ასე რომ, გაზაფხული-ზაფხულისთვის გოტიეს რჩევა ასეთია: გაიკეთეთ, რაც შეიძლება უბრალო და ბუნებრივი მაკიაჟი და მთავარი სათქმელი ტანსაცმელს ათქმევინეთ.

ვალენტინომ კი, რომელსაც სალამოს კაბების მაესტროს უწოდებენ, ორიგინალური მოდელებით საზოგადოება გუშინწინაც მოხიბლა. მისი გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია ქალურობას, სექსუალურობას უსვამს ხაზს. ამ მესიჯს ვალენტინო მრავალფეროვანი აქსესუარით გადასცემს: მინიატურული ხელჩანთები, ღრმად დეკოლტირებული პერანგები, ჭრელი ქვედაბოლოები, მოკლე შარვლები – თითოეული მათგანი სხეულის ფორმების გამოკვეთას ემსახურება...

და ბოლოს, გუშინ პარიზელებმა "შანელის" კოლექციაც იხილეს. გალიანოს ექსცენტრიულ და ვალენტინოს ძალიან გამოსასვლელ მოდელებთან შედარებით, კარლ ლაგერფელდის კოლექცია უბრალო და დახვეწილი ჩანდა. ანუ, მთელ დარბაზში იგრძნობოდა კოკო შანელის სულისკვეთება – მან ხომ 20-იან წლებში ქალებს ყოველდღიური ტანსაცმელი შეუქმნა.

ლაგერფელდმა ოციანი წლებიდან 21-ე საუკუნეში შანელის, თითქმის, მთელი ანდერძი გადმოიტანა, მათ შორის - მარგალიტებიც: ერთხელ დიზაინერს უთქვამს: "ქალს მარგალიტების რამდენიმე ასხმა სჭირდება". გერმანელმა დიზაინერმაც, რომელიც შანელის საქმეს უკვე ოცი წელია, ემსახურება, მანეკენები მარგალიტის ულამაზესი მძივებით მორთო. წამყვანი თემა ტვიდის პიჯაკი გახლდათ, რომელთაც ბალერინას სტილში გადაწყვეტილი, მუხლამდე ტულის ქვედაბოლოები, მძივები და ძველებური, ვუალიანი, ცილინდრის ტიპის ქუდები ამშვენებდათ.

მშვენიერი, ნამდვილი პარიზული სანახაობა ელისეს მინდვრებზე, მთლიანად შემინულ დარბაზში გაიმართა. ამიტომ შოუს ხილვის შანსი არა მხოლოდ დარბაზში შეკრებილ ელიტარებს, არამედ ცნობისმოყვარე ტურისტებსაც მიეცათ – ისინი ფანჯრებს მიღმა ადევნებდნენ თვალს "შანელის" სახლის სიახლეებს.

გუშინ გვიან საღამოს კრისტიან ლაკრუას, "ჟივენშისა" და "ბალმეინის" ჩვენებებიც მოეწყო. გაზაფხული-ზაფხულის კოლექციების ჩვენებას პარიზში 23 იანვარს დაასრულებენ.

– კალეიდოსკოპი –

### იყიდება კობეინის გიტარა

გიტარას, რომელზეც ჯურტ კობეინი მთელი თავისი ტურნეს, Nevermind-ის დროს უკრავდა, თებერვალში კუპერ ოუენის როკის ლეგენდების აუქციონზე გაიტანენ. შავი "სტრატოკასტერის" სასტარტო ფასი 15 ათასი ფუნტი სტერლინგი იქნება.

ლოტების სიაში ასევე, ჯონ ლენონისა და მიკ ჯაგერის ძველი, გამოუქვეყნებელი ჩანაწერებია. თუმცა, ყველაზე საინტერესო ათ დიუმიანი მეტალის ყალიბი იქნება, რომელიც 1954 წელს ელვის პრესლის სადებიუტო სინგლის, That's All Right (Mama)-ის შექმნისას გამოიყენეს. აუქციონზე გაიტანენ კიდევ ერთ ყალიბს, რომელზეც 1955 წელს დაიბეჭდა სინგლი Mystery Train. ვარაუდობენ, რომ ამ ლოტების ფასი 20 ათასიდან 30 ათას ფუნტ სტერლინგამდე მიაღწევს.

### "მაკნატუნა" ემინემისა და "ტატუს" შესრულებით

რუსეთში ახალ 10 მილიონი ევროს ბიუჯეტიან მულტიპლიკაციურ პროექტზე მუშაობენ. გეგმის მიხედვით, სრულმეტრაჟიანი ფილმი "მაკნატუნა და თაგვების მეფე" შემოდგომაზე გავა რუსეთის, აშშ-ს, გერმანიისა და საფრანგეთის ეკრანებზე.

კინოკომპანია "არგუს ინტერნეიშენელის" წარმომადგენელთა თქმით, ჰოფმანის ცნობილი ზღაპრის მიხედვით გაკეთებული მულტფილმის საუნდთრეკზე რუსი და დასავლეთ ევროპელი მუსიკოსები იმუშავებენ. ამჟამად მომღერლების კანდიდატურები განიხილება - მულტფილმში შეიძლება იმღერონ ისეთმა ცნობილმა შემსრულებლებმა, როგორებიცაა: ენრიკე იგლესიასი, ემინემი, ჯგუფი Rammstein, რუსული "ლენინგრადი", "ტატუ" და Смысловые галлюцинации.

1999 წელს "მაკნატუნა და თაგვების მეფის" საცდელ ვიდეორგოლს ნიუ იორკის საერთაშორისო კინოფესტივალზე ოქროს მედალი მიანიჭეს, როგორც მსოფლიოს საუკეთესო ანიმაციურ ფილმს. ხოლო, 2000 წელს ის ანესის (საფრანგეთი) კინოფესტივალისთვის შეარჩიეს.

### პირველად სცენაზე

ორი დღის წინ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერლის, სალმან რუშდის "შუაღამის შვილების" მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა ლონდონში, ბარბიქანის ცენტრში გაიმართა. სალმან რუშდის ნაწარმოები პირველად იდგმება სცენაზე. იგი ბრიტანეთის "შექსპირის სამეფო კომპანიის" მიერ დაიდგა.

პაკისტანელი მწერლის ეს რიგით მეორე ნაწარმოები პირველად 1981 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე საერთაშორისო პოპულარობა მოიპოვა. იმავე წელს წიგნი ბუკერის პრემიით დაჯილდოვდა.

"შუაღამის შვილები" თანამედროვე ინდოეთის შესახებ მოგვითხრობს, 1947 წელს აგვიწერს - როცა ინდოეთმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა.

რუშდის ნაწარმოების ადაპტირებაზე მუშაობა 2001 წელს დაიწყო. მასში თავად რუშდი, "შექსპირის სამეფო კომპანიის" დირექტორი, ტიმ საფელი და დრამატურგი, სიმონ რიდი მონაწილეობდნენ.

"შუაღამის შვილები" ბარბიქანის ცენტრში სამი კვირის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი, შემდეგ სპექტაკლი მიჩიგანის და ნიუ იორკის თეატრებს მოივლის, ბოლოს კი მას ბრიტანეთის წამყვანი თეატრები უმასპინძლებენ.

**დღეს**
ოთხშაბათს, 22 იანვარს




**1775 წელი:** ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში პირველად შეიტანეს ქოლერა.

**1947 წელი:** მისისიპში პირველად გაჟღერდა პირდაპირ ეთერში კომერციული ტელე-არხი.

**1964 წელი:** კენეთ კაუნდა ჩრდილოეთ როდეზიის პირველი პრემიერ-მინისტრი გახდა.

**1972 წელი:** ბრიტანეთმა, ირლანდიამ და დანიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საერთო ევროპულ ეკონომიკურ კავშირში შესვლის შესახებ.

**11980 წელი:** საბჭოთა დისიდენტი ფიზიკოსი ანდრეი სახაროვი დააპატიმრეს, შემდეგ კი მოსკოვიდან გორკიში გადაასახლეს.

**2002 წელი:** ამერიკის სიდიდით მეორე საცალო ქსელმა "კეი მარტმა" გააკეთა განცხადება გაკოტრების შესახებ.

© GRAPHIC NEWS

# TV პროგრამა 22 იანვარი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
13.30 მხ. ფილმი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.50 ჰერაკლე
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა“
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „მაღალი ქუსლები“ მთ. როლებში ვიქტორია აბრილი, მარისა პარედესი
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
10.15 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია“
11.30 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნების დიდებულება“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.10 დოკ. ფილმი „სამურაი“
14.10 ქართული ენის გაკვეთილი
14.35 „თქვენი უფლებები“
15.15 მხ. ფილმი „შეთქმულება თეთრ სახლში“ მთ. როლებში კორბინ ბერნსენი, ნიკ მარკუზო
16.50 „ამბები ჩვენზე“
17.20 50-50 18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.55 „ბენი ჰილი“
22.25 „ჰოლივუდის ვარსკვლავები“ (ჯინ ჰეკმანი)
23.00 „დღის ბოლოს“
00.00 მხ. ფილმი „მკვდარ ზონაში“

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „თოვლიანი დღე“
18.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 პა-სეანსი
23.00 ჩაძიროგანა
00.00 ფილმი ბრავო „ცეკვის დროა“
01.45 ფილმი ღამურა „ცხოველები“
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ბიჭები სტადიონზე“

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.20, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 მხ. ფილმი „ბედის ბორბალი“
10.20 მხ.ფ. „გამხდარი ნათლია“
12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით)
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.00 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „შუაღამის მოგონებები“ 1-ლი სერია
22.15 მხ.ფ. „შუაღამის მოგონებები“ მე-2 სერია
00.30 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ტიტანიკი“
15.00 მხ. ფილმი „სამი სურვილი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „დიდიე“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „დიდი ბიზნესი“
22.30 მხ. ფილმი „აფეთქება“

## მეცხრე არხი

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“
11.10 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
12.50 მხ. ფილმი „ტარაკანი“
14.20, 18.50, 19.50, 23.40, 01.40 მუსიკა
14.45 გადაცემა „ჩემი ქვეყანა“
15.00 მხ. ფილმი „მაილო“
16.30 დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება“
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 55-ე სერია
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“ მე-3 სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 98-ე სერია
20.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ „იტალია მეთოთხმეტე გმირი წინ მიიწევს“
21.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
21.50 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ „ტაი - უკანასკნელი ჯუნგლი. სპილოს ძვლის ნაპირი“
22.05 მხ. ფილმი „ცივი გული“
00.05 მხ. ფილმი „გჯეროდეს“

## აჭარა

08.00 დოკუმენტური ფილმი
09.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს“
09.30 საბავშვო ფილმი „პოლიციელი გიჭუნა“
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი „გარიყულნი“
13.40 რომანტიკური კომედია „არლეტი“
15.15 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“
17.25 სათავგადასავლო თრილერი „გატაცება 60 წამში“
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
19.25, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.30 „პირისპირ“
20.25 რომანტიკური მელოდრამა „მის დალოუეი“
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
22.55, 01.10 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.00 მელოდრამა „მისი უკანასკნელი სიყვარული“
01.10 მხატვრული ფილმი „ვარსკლავი“
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 მხატვრული ფილმი „სამი ისტორია“

## VII არხი

09.15 მელოდია
09.30 „აჩიკუდა“
09.55 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.10 კომპიუტერული ტექნიკა
11.45 „ბიორითმი“ - ალსუ.
12.05 მობილურები
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.15 საქართველო
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.50 უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა“
19.25 ეკონომიკა
19.40 მობილურები
20.15 სპორტი
20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
21.05 „ლა-ლა-ლა“
21.55 ასტროლოგიური პროგნოზი
22.00 კომპიუტერული ტექნიკა
22.40 „კინოკლუბი “ - „მიყვარს უსიამოვნებები“.
00.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
00.50 „ბიორითმი“ - ალსუ.

## ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.10 Боевик „Русский транзит“, 2 с.
12.05 „Кумиры“. И.Кириллов
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе“
13.15 Детектив „Сувенир для прокурора“
15.00 „Новый день“. „Формула власти“. Премьер-министр Индии
15.30 „Новый день“. „Подводный мир Андрея Макаревича“
16.15 Сериал „Любовь и предательство“, 2 с.
17.00 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
18.00 „Большая стирка“
19.30 „Смехопанорама“
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Русская рулетка“
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Русские в Городе Ангелов“
23.45 „Живой Высоцкий“, 3 с.
00.50 „Новый день“. „Крылья“
01.20 „Новый день“. „Гении и злодеи“. Этторе Майорана
01.50 „Апология“
02.55 Боевик „Неудержимый“. „За высоким забором“

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Бомж“
10.40 Сериал „Дневник убийцы“
11.30 Экспертиза
11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Квартира на четвертом этаже“
13.10 Телефильм „Черный треугольник“
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Комиссар Рекс“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Трое против всех“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Бомж“
22.50 Сериал „Дневник убийцы“
23.50 „Вести +“
00.20 Вести-спорт
00.30 Детектив „Место встречи изменить нельзя“
01.50 Фигурное катание. Чемпионат Европы. Пары. Произвольная программа
03.10 Дорожный патруль

## НТВ

09.35 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6“
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка“. „Яблоня смерти“
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00, 22.00 Сегодня
12.05 „Шоу Е.Степаненко“
13.05 Сериал „Досье детектива Дубровского“
15.05 Криминал
15.25 Детектив „Она написала убийство“
16.25 „Левши и правши“. Ток-шоу „Принцип „Домино“
18.05 Сериал „Улицы разбитых фонарей“
19.20 Чистосердечное признание
20.35 Сериал „Право на защиту“
21.45 Сериал „Улицы разбитых фонарей“. „Инстинкт мотылька“
23.00 Сегодня вечером
23.35 Сериал „Секс в большом городе“
00.15 Детектив „Право на защиту“
01.20 Гордон
02.15 Сериал „Солдаты удачи“




დაზღვეულია ბრიტანეთში
მშენებარე სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე

პეტრიაშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

- ექსტერიერზე მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვით და ალუმინის დამცავებით
- ტიხრები აშენებული აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- კედლების მაღალი ხარისხის ლესვა გაჯით
- იატაკი მოჭიმული
- ჩართული კომუნიკაციები
- ავტოსადგომი, დისტანციური მართვის კარით
- დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

- საერთო მოხმარების ფართის მოვლა-დასუფთავება
- ტექნიკური მომსახურება
- ნაგვის გატანა

ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი
AXIS

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური-899-56-18-52

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

